

ბიომრავალფეროვნების ინტეგრირებული მართვა
სამხრეთ კავკასიაში

ხე-ტყის ბაზრის კვლევა



ავტორი: მაიკლ გარფორტი, სტენ ნილსონი, ჰაატა ტორჩინავა

საბოლოო ანგარიშის სამუშაო ვერსია

დეკემბერი 2016



შესავალი

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილი კვლევის მიზანი იყო გაგვეცა პასუხი შემდეგ კითხვაზე: შესაძლებელია თუ არა ხე-ტყის სარგებლობაზე დაფუძნებული, ეკონომიკაზე ორიენტირებული, მდგრად პრინციპებზე დაყრდნობით, სატყეო მეურნეობის დაარსება საქართველოში? ეს რთული ამოცანაა, თუ გავითვალისწინებთ მონაცემების უზუსტობას იმის თაობაზე, თუ რა მოცულობის ხე-ტყის მოპოვებაა შესაძლებელი მდგრად საფუძველზე, როგორია მოპოვებული ხე-ტყის ხარისხი და სორტიმენტები, ხე-ტყისა და ხე-ტყის პროდუქტების წარმოებისა და სავაჭრო მონაცემები. ჩვენს მიერ შეფასებული სტრატეგიის, კანონმდებლობის და ხე-ტყის მოძრაობის ჯაჭვისა და ხე-ტყის ეკონომიკური მაჩვენებლების საფუძველზე ჩვენ ვასკვნი: არსებულ პირობებში ეს არ არის შესაძლებელი სატყეო სფეროში არსებული მრავალი ხარვეზის გამო.

საქართველოს ხე-ტყის სექტორი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ

1991 წელს საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ სატყეო მეურნეობა და ხე-ტყის გადამამუშავების სფერო ღრმა კრიზისმა მოიცვა. ოჯახების გაღარიბების და არსებული სავაჭრო კავშირების განადგურების ფონზე ხე-ტყის შიდა გადამამუშავების მრეწველობამ თითქმის მთლიანად დაკარგა გასაღების ბაზრები. ხე-ტყის მასალის იმპორტი ყოიფლი სსრკ-ს რესპუბლიკებიდან შეწყდა, ფასები ენერგოპროდუქტებზე მკვეთრად გაიზარდა, სოფლად არსებული გაზომიარაგების ქსელები განადგურდა. ასობით ათასმა ქართველმა ოჯახმა მიმართა ტყეს საშეშე მერქნის მოსაპოვებლად და ხე-ტყის გადამამუშავებლებს მორების მოსაპოვებლად. სატყეო მეურნეობის ბიუჯეტი ძლიერ შემცირდა. უკანონოდ მოპოვებული საშეშე და სამასალე ხე-ტყის გაყიდვის ყველა შესაძლებლობა კრიმინალური დაჯგუფებების ხელში აღმოჩნდა. ტყეები შინაური პირუტყვის საძოვრებად გადაიქცა. ეს თავისთავად ხელს უწყობდა მათ დეგრადაციას, რომელიც, ხე-ტყის არამდგრადი, უკანონო ჭრების გამო, სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა.

1990-იანი წლების ბოლოს სატყეო სფეროში იმედისმომცემი რეფორმები დაიწყო. 1999 წელს დამტკიცდა სატყეო კოდექსი, 2003 წელს 15 მილიონიანი (აშშ დოლარი) სესხით დაფინანსებული რეფორმების პროექტი დაიწყო. 2003 წლის შემდეგ ეკონომიკის ლიბერალიზაციის მიზნით განხორციელებული სტრატეგიული ცვლილებების შედეგად აღნიშნული მცდელობები დამუხრუჭდა. შეჩერდა სახელმწიფო სატყეო კონცეფციის შექმნაზე მიმართული ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ სატყეო პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც დაეფუძნებოდა ტყის მრავალრიცხოვან ღირებულებებს და სატყეო მეურნეობის მდგრად პრინციპებს. მთავარი სახელმწიფო სატყეო მეურნეობის ორგანო, რომელიც იმ დროს პასუხისმგებელი იყო საქართველოს ტყეების დაახლოებით 70%-ზე, პრეზიდენტის წინაშე ანგარიშვალდებული სახელმწიფო დეპარტამენტის რანგიდან ჩამოქვეითებული იქნა ენერგეტიკის სამინისტროსთან არსებულ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს შემადგენლობაში არსებული დეპარტამენტის დონეზე. სახელმწიფოს განვითარების სტრატეგიაში პრიორიტეტი მიენიჭა ჰიდრო-ელექტროსადგურების მშენებლობას, სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის განვითარებას. ხოლო სატყეო სექტორის

მთავარი ფუნქცია - გარდა გრძელვადიანი ლიცენზიებით გაცემული ტერიტორიებისა - სოციალურად დაუცველი ოჯახების საშეშე და სამეურნეო ხე-ტყით მომარაგება გახდა.

დაწყებული 2012 წლიდან, გადაიდგა რამდენიმე პოზიტიური ნაბიჯი. 2013 წელს გარემოს და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შემადგენლობაში შეიქმნა ახალი სახელმწიფო ტყის მართვის ორგანო, რომლის მთავარ ფუნქციად განისაზღვრა კონტროლი გარემოსდაცვით რეგულაციებთან შესაბამისობაზე, მათ შორის სატყეო კანონმდებლობასთან და ახალ სატყეო პოლიტიკის ჯგუფთან. იმავე წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტმა მიიღო ეროვნული სატყეო კონცეფცია, რაც ფაქტიურად საქართველოს პირველ ეროვნულ სატყეო პოლიტიკას წარმოადგენდა. მომზადდა ახალი სატყეო კოდექსის დრაფტი, დაიწყო მეორადი კანონმდებლობის შემუშავება. დონორების დახმარებით ხორციელდება სატყეო მეურნეობასთან დაკავშირებული ცოდნის და უნარ-ჩვევების გამაძლიერებელი პროგრამები.

ზემოთ აღნიშნული პოზიტიური ნაბიჯები ნამდვილად მნიშვნელოვანია, მაგრამ გასაკეთებელი გაცილებით უფრო მეტია. საქართველოს ტყეები ჯერ კიდევ უზარმაზარი წნეხის ქვეშ იმყოფება იგივე ფაქტორების გამო, რომლებიც ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ გაჩნდა: სიღარიბე, ალტერნატიულ ენერგოწყაროებზე ხელმიუწვდომლობა, უკანონო ჭრებიდან მიღებული შემოსავალი. ამ ყველაფერს ემატება არასაკმარისი კონტროლი. ტყის დაცვისა და მისი მოვლა-პატრონობისათვის გამოყოფილი ბიუჯეტი ჯერ კიდევ მცირეა. სტრატეგია და კანონმდებლობა არ იძლევა ხე-ტყის რესურსების ოპტიმალური გამოყენების საშუალებას. ხე-ტყის დამუშავების სფეროში არასაკმარისი ინვესტიციები იდება, იგი არაეფექტური და არაკონკურენტუნარიანია. თუმცა, ყველა ამ პრობლემის მიუხედავად, შესაბამისი პოლიტიკური ნების შემთხვევაში შესაძლებელია სექტორის გაუმჯობესება ისეთ დონემდე, რომ მომავალში იგი შეძლებს შექმნას მყარი საფუძველი მდგრადი სატყეო მეურნეობისათვის და გაცილებით მეტი წვლილის შეტანას საქართველოს ეკონომიკაში.

რა ვიცი საქართველოს ტყეების შესახებ

სატყეო სექტორის დეგრადაციის ერთ-ერთ გამომწვევ მიზეზს ინფორმაციის სიმცირე წარმოადგენს. ჩვენ არ ვიცით დანამდვილებით რა მოცულობის პროდუქტიული ტყე არსებობს საქართველოში, ან თუ რა რაოდენობის ხე-ტყის მოჭრაა შესაძლებელი მდგრადი პრინციპების საფუძველზე. საქართველოს ტყეების დიდი ნაწილის ინვენტარიზაცია უკვე 20 წელზე მეტია არ ჩატარებულა. არანაირი მონაცემები ამ ხნის განმავლობაში ჩატარებულ ჭრებზე არ არსებობს. ამჟამად მიმდინარეობს მზადება საქართველოს ყველა ტყის ინვენტარიზაციის ჩატარებისათვის. თუმცა, საუკეთესო შემთხვევაში, მის შედეგებს 2018 წლამდე ვერ მივიღებთ.

ჩვენ მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ საქართველოს დაახლოებით 2.8 მილიონი ჰექტარის ფართობის ტყე გააჩნია, რაც ქვეყნის მთლიანი ფართობის დაახლოებით 40%-ს შეადგენს. დაახლოებით 0.5 მილიონ ჰექტარზე საქართველოს დაცული ტერიტორიების ქსელია განთავსებული, ხე-ტყის ჭრა კი აკრძალულია კიდევ დამატებით 1.1 მილიონ ჰექტარზე. მიუხედავად ამისა, კიდევ რჩება 1.2 მილიონი ჰექტარი, სადაც ჭრები დაშვებულია

იმ პირობით თუ ისინი გარკვეულ გარემოსდაცვით სტანდარტებთან შესაბამისობაში ხორციელდება. ინვენტარიზაციის შესახებ ახალი მონაცემების არქონის ფონზე გაცილებით რთულია იმის დადგენა, თუ რა რაოდენობის ხე-ტყის მოჭრაა შესაძლებელი ტყეში მდგრადი პრინციპების საფუძველზე. ბოლო წლების მანძილზე ჩატარებული კვლევების მიხედვით ეს რაოდენობა 300 000 მ³/წ -დან 1 000 000მ³/წ-მდე მერყეობს (აღნიშნული დათვლებისას ტყის პროდუქტიული ნაწილის შესახებ სხვადასხვა მეთოდები და დაშვებები იქნა გამოყენებული. ამიტომაც, აღნიშნული გამოთვლები მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება ჩაითვალოს დასაბუთებულად). წინამდებარე კვლევის შემსრულებელი ჯგუფის მონაცემია დაახლოებით 600 000 მ³/წ.

სატყეო სექტორი საქართველოს ეკონომიკაში

სატყეო სექტორი საქართველოს ეკონომიკის მხოლოდ ერთ მცირე ნაწილს წარმოადგენს. 2014 წელს კანონიერი ჭრების, ტრანსპორტირების და ხე-ტყის დამუშავების წვლილმა საქართველოს მშპ-ში დაახლოებით 75 მილიონი ლარი შეადგინა¹. აღნიშნული ციფრი არ შეიცავს უკანონო ჭრებს და საქმიანობას, რომლებიც დამატებით ღირებულებას ანიჭებს უკანონოდ მოჭრილ მორებს. 2014 წელს მთლიანმა მშპ-მ 25,190 მილიონი ლარი შეადგინა. შესაბამისად, კანონიერი სატყეო სექტორის წვლილმა მხოლოდ და მხოლოდ 0.3% შეადგინა. შედარებისათვის, სოფლის მეურნეობის სექტორმა 8.9% შეადგინა.

მშპ იქმნება იმ ტრანზაქციების საფუძველზე, რომლებშიც ფულადი თანხები ხელიდან ხელში გადადის. ტყეების ღირებულების დიდი ნაწილი მომსახურების იმ სფეროებშია განთავსებული, რომლებშიც არავინ არაფერს არ იხდის - მაგალითად, ნიადაგის ეროზიის შემცირება (რასაც სარგებლობა მოაქვს ჰიდროელექტროენერჯის წარმოებისა და სოფლის მეურნეობის სფეროსათვის), მიმზიდველი ლანდშაფტების შექმნა (სარგებელი მოაქვს ტურიზმისათვის), სათბური გაზების გამოფრქვევის და კლიმატური ცვლილებებით გამოწვეული ზეგავლენის შემცირება (რაც ყველასათვის სასარგებლოა). შესაბამისად, საქართველომ უნდა მოახდინოს ინვესტირება სატყეო სექტორში, და განიხილოს ეს უკანასკნელი როგორც მისი განვითარების სტრატეგიის ნაწილი, სადაც პრიორიტეტი ჰიდროელექტროენერჯის წარმოებას და ტურიზმს ენიჭება.

ტყის პროდუქტების თვალსაზრისით საქართველო უზარმაზარ სავაჭრო დეფიციტს განიცდის. 2014 წელს განხორციელდა 197 მილიონი ლარის ღირებულების ხე-ტყისა და ტყის სხვა პროდუქტების იმპორტი და 23 მილიონი ლარის ღირებულების ექსპორტი. დეფიციტმა შესაბამისად 174 მილიონი ლარი შეადგინა. ხის პანელებმა და ავეჯმა ღირებულებით გამოხატვაში შესაბამისად იმპორტის - 36% და 35% შეადგინა. აღნიშნული პროდუქტების დამატებითი ღირებულება გაცილებით მაღალია ვიდრე პროდუქტები, სადაც საქართველოში

¹ საქსტატის მიერ გამოანგარიშებული ციფრი 75 მილიონი ლარის ოდენობით დადგინდა გამარტივებული მეთოდის გამოყენებით, რომელიც ეფუძნება საგადასახადო ორგანოებისათვის წარდგენილ სახელფასო ანგარიშებს. მთლიანი მშპ და სასოფლო-სამეურნეო სექტორის წვლილი მშპ-ში დაანგარიშებულია სხვა მეთოდით. შესაბამისად, წინამდებარე პარაგრაფში ცოტა მოგვიანებით მოყვანილი შედარება სატყეო სექტორთან არ არის ზუსტი.

მოჭრილი ხე-ტყის უმეტესი ნაწილი მიდის. აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს შესაძლებლობა იმისა, რომ ქვეყანაში გაიზარდოს დამატებითი ღირებულება და ამასთანავე შემცირდეს ტყის პროდუქტებში არსებული სავაჭრო დეფიციტი.

ხე-ტყის ეკონომიკა საქართველოში

წინამდებარე კვლევის შეფასებით 2014 წელს საქართველოს ტყეებში 2.7 – 3.0 მილიონი მ³ მრგვალი მორი იქნა მოპოვებული; ეს თითქმის ხუთჯერ მეტია მდგრად მოცულობაზე. აღნიშნული რაოდენობიდან 0.7 მილიონი მ³ კანონიერად იქნა მოჭრილი, ხოლო 2.0 – 2.3 მილიონი მ³ - უკანონოდ; შესაბამისად, ჭრების 75% არაკანონიერად განხორციელდა. 2.2 – 2.3 მილიონი მ³ მოჭრილი ხე-ტყისა მოხმარებული იქნა საშემედ, 0.48-0.66 მილიონი მ³ - დასამუშავებლად (ძირითადად სამხერხაოებში, თუმცა, ნაწილი - ფანერის დასამზადებლად).

კანონიერად მოჭრილი ხე-ტყის გაყიდვებიდან მიღებულმა მთლიანმა შემოსავალმა საქართველოში 2014 წელს შეადგინა 36 მილიონი ლარი. ამ თანხის ძირითადი ნაწილი საქართველოს სახელმწიფო (ლიცენზიების მფლობელთა მიერ აუქციონზე გადახდილი თანხა) და მუნიციპალურ ბიუჯეტებში შევიდა (ბუნებრივი რესურსების გამოყენების გადასახადი), ნაწილმა შეადგინა ლიცენზიის მფლობელთა შემოსავალი, ხოლო ნაწილი მიიღო საქართველოს ეროვნულმა სატყეო სააგენტომ, აჭარის სატყეო სააგენტომ და თბილისის მერიამ ტყეკაფების მარკირების, ხე-ტყის წარმოშობის სერტიფიკატებისა და მორების საიდენტიფიკაციო ეტიკეტების გაცემის მოსაკრებლებსა და ასევე, „სპეციალური ჭრებიდან“ დამზადებული ხე-ტყის გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლების სახით. სატყეო მეურნეობის 2014 წლის ბიუჯეტმა (ეროვნული სატყეო სააგენტო, აჭარის სატყეო სააგენტო და თბილისის მერია) დაახლოებით 15.5 მილიონი ლარი შეადგინა. შესაბამისად, კანონიერი ჭრებიდან მიღებული შემოსავლის 45%-ზე ნაკლები დაიხარჯა ტყის დაცვაზე, აღდგენაზე და მოვლა-პატრონობაზე; დანარჩენი თანხა სატყეო სექტორს მიღმა დარჩა.

2014 წელს 0.7 მილიონი მ³ კანონიერად მოჭრილი ხე-ტყიდან დიდი ნაწილი - 0.52 მილიონი მ³ - გაიცა სოციალური პროგრამის ფარგლებში (პროგრამის ფარგლებში სოციალურად დაუცველ ოჯახებზე სუბსიდირებულ ფასად გაიცა საშემე და სამეურნეო ხე-ტყის მასალა). სუბსიდირების თანხამ მინიმუმ 30 მილიონი ლარი შეადგინა. სოციალური ხე-ტყის მასალის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც მოხმარებული იქნა როგორც საშემე ხე-ტყე, გამოსადეგი იქნებოდა დახერხისათვის, რის გამოც სუბსიდირების რეალური ღირებულება მნიშვნელოვნად გადააჭარბებდა 30 მილიონ ლარს. 2014 წელს უკანონოდ მოჭრილი ხე-ტყის გაყიდვებიდან მიღებულმა შემოსავალმა 100 მილიონ ლარს გადააჭარბა.

მერქნის ბალანსის გამოთვლებმა მნიშვნელოვანი განსხვავებები (დისბალანსი) გამოავლინა ხე-ტყის მოძრაობის ჯაჭვში ერთი საფეხურის ფარგლებში შესულ და გამოსულ პროდუქციას შორის (მაგ. მასალა, რომელიც შედის სახერხში არ უტოლდება სახერხიდან გამოსულ პროდუქტს). აღნიშნული დისბალანსი გასაკუთრებულად მაღალი იყო წიწვოვანი ხე-ტყის შწემთხვევაში. სავარაუდოდ, აღნიშნული დისბალანსი გამოწვეულია სატყეო სექტორის მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაციული ხარვეზებითა და სექტორის მიერ

ინფორმაციის არასწორი მოწოდებით, რისი მიზეზიც ნაწილობრივ არის უკანონო ჭრებიდან დამზადებული ხე-ტყისა და მისი პროდუქტების დამალვა.

საქართველოს ტყეებში მოპოვებული სამასალე მორის მიწოდების ღირებულება უფრო მაღალი ჩანს საერთაშორისო ბაზრებზე არსებულ ღირებულებებზე. გარდა ამისა, ანგარიშებში არსებული მონაცემების თანახმად, შიდა ბაზარზე არსებული მორის და დახერხილი მერქნის ფასი იმპორტირებულ მორზე და დახერხილ ხე-ტყეზე მაღალია. თუ

რეალობა მართლაც ასეთია, მაშინ საქართველოს სატყეო მრეწველობას შიდა და საერთაშორისო ბაზრებზე მძაფრი კონკურენციის პირობებში მოუწევს არსებობა.

წინამდებარე კვლევაში ჩვენ შევადარეთ ადგილობრივი სამხერხაოების მიერ დახერხილი მერქნისფიცრის ფასი, რომელიც დადგინდა სამხერხაოებში შესული და მათ მიერ გადამუშავებული მ³/მორის შედარებით. მორიდან დახერხილ ფიცრის სტანდარტული გადაანგარიშების კოეფიციენტის გამოყენებით (გადაანგარიშების კოეფიციენტი, რომელიც სავარაუდოდ გამოიყენება თანამედროვე სამხერხაოებში სხვა ქვეყნებში), დახერხილი მერქნის ფასი თითო მ³/მორზე ნაკლებია ვიდრე მისი მიწოდების ღირებულება; ანუ, დახერხვა არ არის რენტაბელური. არასტანდარტულად მაღალი გადაანგარიშების კოეფიციენტების გამოყენებით, რომლებიც ჩვენ საკვლევ ჯგუფს ადგილობრივმა სამხერხაოებმა მიაწოდეს, წიწვოვანი ხე-ტყის დახერხვა მიუთითებს მცირე მოგებაზე სხვა ხარჯების გამოკლებამდე, ხოლო ფოთლოვანი ფოთლოვანი ხე-ტყის დახერხვა მიუთითებს უფრო მნიშვნელოვან მოგებაზე. ამ მაჩვენებლების ახსნა რთულია რაიმე სხვა ფაქტორით თუ არა უკანონოდ მოჭრილი ხე-ტყით, რომელთა მიწოდება სამხერხაოებში უფრო დაბალ ფასად ხდება ვიდრე კანონიერად მოჭრილი მორებისა.

საქართველოს პირველადი გადამუშავების მრეწველობა ორიენტირებულია დაბალი ფასის და ხარისხის ბაზრებზე და შედარებით დაბალ დამატებით ღირებულებას ქმნის. ამის საპირისპიროდ, ხე-ტყის მეორადი გადამუშავება - მაგალითად, სადურგლო - ქმნის გაცილებით უფრო მაღალ დამატებით ღირებულებას თითო მ³/მორზე, ვიდრე დახერხილი ხე-ტყე, რომელიც მოიხმარება სამშენებლო ხარაჩოებისათვის, სადაც ძირითადად მიეწოდება წიწვოვანი დახერხილი ხე-ტყე. ამკარაა, რომ საქართველოს სატყეო სექტორმა სასწრაფოდ უნდა აიღოს ორიენტაცია უფრო მაღალი დამატებითი ღირებულების წარმოების შექმნაზე სექტორის ეკონომიკის გაჯანსაღების მიზნით.

სტრუქტურული შეზღუდვები საქართველოს სატყეო სექტორში

სატყეო მეურნეობის და სექტორის არამდგრადობა და არადამაკმაყოფილებელი ეკონომიკური მაჩვენებლები სათავეს სტრუქტურული შეზღუდვებიდან და არაეფექტური პოლიტიკიდან იღებენ.

მართვის სტრუქტურებში არსებული ხარვეზები

არ არსებობს პოლიტიკური პრიორიტეტი ან ნება ეფექტური, ყოვლისმომცველი სექტორის შექმნისათვის. საქართველოს სატყეო სექტორი სამი კომპონენტისაგან შედგება: სატყეო

მეურნეობა, სატყეო მრეწველობა და ბაზრები. სატყეო მეურნეობა დამოკიდებულია მრეწველობაზე, რომელიც იხდის საფასურს მის მიერ მოხმარებულ ხე-ტყეში, ხოლო

მრეწველობას, თავის მხრივ, ჭირდება ბაზრები საკუთარი პროდუქტების გასაყიდად, რომ შეძლოს მის მიერ მოხმარებული ხე-ტყის საფასურის გადახდა. მთლიანი სატყეო სექტორი უნდა იმართებოდეს ეფექტური და ყოვლისმომცველი მართვის სისტემის საფუძველზე.

სანდო მონაცემები - სექტორის განვითარებისათვის აუცილებელი პირობა - არ არსებობს. მთლიანად, ტყის ფონდის შესახებ ახალი ინვენტარიზაციის მონაცემების არარსებობის პირობებში, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ არ არსებობს შესაბამისი მონაცემები მთელი დანარჩენი სატყეო სექტორის შესახებ, შეუძლებელია ტყის სხვადასხვა სექტორებს შორის ურთიერთდამოკიდებულებების დაბალანსება, ხოლო მთავრობა და თავად სატყეო მრეწველობა ვერ შეძლებს სათანადოდ ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას ინვესტირების შესახებ.

ეროვნული სატყეო კონცეფციის პრიორიტეტები კონტრპროდუქტიულია. პრიორიტეტი, რომლის მიზანი სოფლის მოსახლეობის საჭიროებების დაკმაყოფილებაა, ცალსახად კონტრპროდუქტიულია ეკონომიურობაზე დაფუძნებული სატყეო სექტორისათვის.

სატყეო მეურნეობის მმართველ და ზედამხედველობის ორგანოებს არ ყოფნით ცოდნა და გამოცდილება სატყეო მეურნეობის მართვის მდგრად პრინციპებზე გადასვლისათვის. აღნიშნული ხარვეზის აღმოსაფხვრელად ამჟამად ხორციელდება გარკვეული ღონისძიებები, მაგრამ ეს არ არის საკმარისი.

სექტორის მდგრად განვითარებას მთლიანი ხე-ტყის მოძრაობის ჯაჭვში არსებული უკანონო პროცედურები აფერხებს. მდგრადი სატყეო მეურნეობისა და სექტორის მიღწევა შეუძლებელია აღნიშნული უკანონო პროცედურების აღმოფხვრის გარეშე. სექტორი უნდა ფუნქციონერებდეს კანონიერ და გამჭვირვალე საქმიანობის საფუძველზე და არა ისე, როგორც დღეს, როდესაც მეტწილად იგი უკანონო პროცედურებს ეყრდნობა. ამჟამად ხორციელდება გარკვეული ღონისძიებები აღნიშნული უკანონო საქმიანობის წინააღმდეგ, მაგრამ აუცილებელია ამ ღონისძიებების გაძლიერება და დაჩქარება.

სატყეო მეურნეობის მმართველი ორგანოები ხელფებშეკრულები არიან. კანონმდებლობა მკაცრად ზღუდავს სატყეო მეურნეობის მმართველი ორგანოების უფლებამოსილებებს შექმნან, შეინარჩუნონ და მოახდინონ რეინვესტირება ჭრებიდან მიღებული შემოსავლისა. სააუქციონო ფასების და ბუნებრივი რესურსების გამოყენების გადასახადის განაწილება სექტორიდან შემოსავლის გადინებას იწვევს.

სატყეო სექტორში არ არის ჩამოყალიბებული სერტიფიცირების სისტემა. სერტიფიცირება აუცილებელია როგორც სატყეო მეურნეობისათვის, ასევე მრეწველობისათვის. საერთაშორისო ბაზრები მხოლოდ სერტიფიცირებული ხე-ტყით ვაჭრობენ. საქართველოს შიდა ბაზარზე არ არსებობს დაინტერესება ხე-ტყის კანონიერებით ან მდგრადობით, არ არის მოთხოვნა სერტიფიცირებაზე, რაც უკანონო საქმიანობის სწრაფ განვითარებას უწყობს ხელს.

საბაზრო პირობები და შესაძლებლობები

სატყეო მრეწველობის პროდუქტების ბაზარი დაბალფასიანი და დაბალხარისხიანია. ქართველი მომხმარებლები უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ ფასს და არა ხარისხს. ისინი ყიდულობენ შედარებით დაბალი ხარისხის პროდუქტებს და ამჯობინებენ ნავთობშემცველ

პროდუქტებს, როგორც არის მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯარა, და არა უფრო ძვირად ღირებულ ტრადიციულ, ხისაგან დამზადებულ პროდუქტებს. სამშენებლო მასალების ბაზარზე დომინირებს ცემენტი, ფოლადი და შუშა. ხის მასალა მხოლოდ ხარაჩოებისათვის გამოიყენება. გამოყენებული ხე-ტყის მასალის ხარისხის იდენტიფიცირებისათვის არანაირი სამშენებლო კოდები არ არსებობს. აღნიშნული ფაქტორებით გამოწვეული დაბალი ფასები ხელს უშლის სატყეო ინდუსტრიას სოლიდური, მდგრადი ეკონომიკური მოგების მიღებაში, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს უკანონო საქმიანობას და დაბალ გადახდისუნარიანობას მოხმარებულ ხის მასალაზე.

არსებობს შიდა ბაზრის განვითარების აუცილებლობა. ეს ნიშნავს მომხმარებლის ინფორმირებულობას და მისი ცნობიერების ამაღლებას იმ უპირატესობათა შესახებ, რაც ხის მასალის სხვადასხვა მიზნით გამოყენებას მოაქვს. კერძოდ: პროდუქტების ვარგისიანობის ვადა, გარემოზე და ჯანმრთელობაზე ზემოქმედება, რეალური ღირებულება სხვა პროდუქტებთან შედარებით და სხვა. ნებისმიერი, ვაჭრობის ჯაჭვში მოხვედრილი ხის მასალა უნდა იყოს სერტიფიცირებული.

საერთაშორისო ბაზრებზე არსებობს შესაძლებლობები, მაგრამ საქართველო არ არის მათ გამოყენებაზე ორიენტირებული. საერთაშორისო ბაზრები მწვავე კონკურენციის პირობებში არსებობენ როგორც ხარისხის, ასევე ფასების თვალსაზრისით. ისინი ითხოვენ მაღალ ხარისხს კონკურენტუნარიან ფასად. ექსპორტირებული ქართული დახერხილი ხე-ტყე სავარაუდოდ ითვლება დაბალი ხარისხის პროდუქციად სამუშაოების არქონის, შეზღუდული ხარისხობრივი სორტირების, მომრგვალებული და ბლაგვი კუთხეების გამო. ქართველი მწარმოებლებისათვის არსებობს შესაძლებლობები თურქეთის ბაზარზე და, უფრო ნაკლებად, ირანის ბაზარზე (პოლიტიკური სტაბილურობის კუთხით), აგრეთვე ჩინეთში (დაბალფასიანი ბაზრის არსებობის გამო). საქართველოს ასევე შეუძლია ივაჭროს ევროკავშირთან თუ საქართველოდან ექსპორტირებული პროდუქტები იქნება სერტიფიცირებული, გამშრალი, მაღალი ხარისხის და კონკურენტუნარიანი ფასის მქონე. დღეს ეს ასე არ არის. საექსპორტო ბაზრებზე წარმატებისათვის აუცილებელია აქტიურობა და მონდომება. ქართულ კომპანიებს საერთაშორისო ბაზრებზე მუშაობის თითქმის არანაირი გამოცდილება არ გააჩნიათ. გარდა ამისა, ქართული კომპანიები ძალიან პატარაა იმისათვის, რომ ჰქონდეთ შესაძლებლობა განახორციელონ შესაბამისი ბაზრების შესწავლა. თუნდაც კომპანიებმა შექმნან საბაზრო გაერთიანებები, ისინიც კი მეტისმეტად მცირე იქნებიან აღნიშნული მასშტაბური ამოცანისათვის. ბაზრის კვლევისათვის საჭირო ეფექტური ინსტრუმენტის შექმნისათვის საჭიროა ფინანსური დახმარება სახელმწიფოს მხრიდან.

საქართველოში არსებული სატყეო-სამრეწველო სტრუქტურა პრობლემებს განიცდის. მრეწველობის ძირითადი ნაწილი (დაახლოებით 90%) კლასიფიცირებულია როგორც მცირე

საწარმოები. არსებული სამხერხაოების დაახლოებით ნახევარი და არსებული სამხერხაოების დატვირთვის 35% შეფასებულია, როგორც ჩრდილოვანი მრეწველობა. დარგში სახეზეა მართვისა და ტექნოლოგიების, საბაზრო ცოდნისა და პროფესიონალური უნარ-ჩვევების დეფიციტი. დარგში მომუშავე ბევრ მენეჯერს და ხელმძღვანელს გააჩნია ან მცირე, ან საერთოდ არანაირი გამოცდილება სატყეო სექტორში მუშაობისა, არ გააჩნია ცოდნა საერთაშორისო ბაზრების, ზოგადად მარკეტინგისა და გაყიდვების სტრატეგიების ჩამოყალიბების უნარი. დანადგარები უმეტესად დაბალი წარმადობისაა, ხოლო თავად მრეწველობა არაეფექტური და არაეკონომიური საწარმოო სქემებით მუშაობს. არ არსებობს შესაბამისი სისტემური ბიზნეს დაგეგმარება და ხარისხის კონტროლის სისტემა. ყველაფერი ზემოთხსენებულის შედეგია დაბალი ხარისხის პროდუქცია, რაც აიძულებს სატყეო მრეწველობას გაიტანოს საკუთარი პროდუქცია მხოლოდ დაბალფასიან ბაზრებზე.

საშეშე ხე-ტყის განაწილება სოციალური პროგრამების ფარგლებში

სოციალური ჭრების პროგრამა იწვევს დიდ გადინებებს სატყეო სექტორიდან. საშეშე ხე-ტყის განაწილება სოციალური პროგრამების ფარგლებში იწვევს მნიშვნელოვან ფინანსურ დანაკარგებს სატყეო მეურნეობისა და სახელმწიფოსათვის, ამცირებს სატყეო მეურნეობაში შექმნილ დამატებით ღირებულებას და სატყეო მრეწველობაში რეინვესტირების შესაძლებლობებს. თუ გავითვალისწინებთ საშეშე ხე-ტყის უკანონო ჭრებს, აღნიშნული პრობლემა კიდევ უფრო მწვავედ გამოიყურება. უკანონო ჭრების სრული მოცულობა, რომელიც მოიხმარება შეშისათვის, შედეგად იწვევს ტყის არამდგრად მართვას და არსებული სატყეო რეზერვის ახლო მომავალში გაქრობის საფრთხეს. არის მწვავე აუცილებლობა სოფლის ენერგეტიკული საჭიროებების უზრუნველსაყოფად მოძიებული იქნას ალტერნატიული საშუალებები. პრობლემის ნაწილობრივი გადაწყვეტა შესაძლებელია საშეშედ მოხმარებული შეშის უფრო ეფექტური გამოყენებით. შესაძლებელია, აგრეთვე, ნარჩენების მოპოვება და გადამუშავება; მაგალითად, ხე-ტყის გაშრობა მისი დაწვის წინ, და ხე-ტყის მასალისა და მისი ნარჩენების ბრიკეტებად ან გრანულებად გარდაქმნა. ეს არ იქნება საკმარისი: მთავრობამ უნდა შეისწავლოს გაზის, ქარის და მზის ენერჯის და სხვა წყაროების გამოყენების შესაძლო ალტერნატივების კომბინაცია, აგრეთვე მდგრადი ბიომასის შესაძლო გამოყენება, რათა გამოინახოს მდგრადი საშუალება სოფლების ენერგეტიკული უზრუნველყოფისათვის. ეს პრობლემა სამინისტროს დონეზე უნდა გადაწყდეს.

საინვესტიციო გარემო

სატყეო მეურნეობა, სატყეო მრეწველობა და ბაზრის განვითარება არასაკმარის ინვესტირებას განიცდიან. არასაკმარისი ინვესტირება სატყეო მეურნეობაში ნაწილობრივ ადგილობრივი მიზეზებით არის გამოწვეული: სატყეო მეურნეობაში ინვესტირებას თავად კანონმდებლობა ზღუდავს; ის ფაქტი, რომ სოციალური ჭრები პოლიტიკურ პრიორიტეტად არის აღიარებული, საინვესტიციო კაპიტალის შექმნის შესაძლებლობას ამცირებს; უკანონო ჭრებზე და წარმოებაზე სუსტი კონტროლი იწვევს უზარმაზარ დანაკარგებს ფინანსური საშუალებებისა, რომლებიც, პოტენციურად, შესაძლებელია, სატყეო მეურნეობაში იქნას გამოყენებული ინვესტიციების სახით.

არასაკმარისი ინვესტირების შედეგად სატყეო მრეწველობას უჭირს მოჰადობელი წრიდან გამოსვლა - „არაეფექტური წარმოება-დაბალი ხარისხი - დაბალფასიანი ბაზრები“. საჭიროა უზარმაზარი კაპიტალი მთელი სატყეო სექტორის მდგრად საფუძველზე გადაყვანისათვის. აღნიშნული კაპიტალი მეტწილად საერთაშორისო ინვესტორებისა და დონორებისაგან უნდა წამოვიდეს. ამჟამინდელი პირობები საქართველოში - გაურკვეველობა ტყის სექტორის მართვის სტრუქტურებში, დაუზუსტებელი მონაცემები, ტყის მარაგების ბუნდოვანი მომავალი და ინტენსიური უკანონო ქმედებები სექტორში - სულაც არ უწყობს ხელს საერთაშორისო ინვესტორების დაინტერესებას საქართველოს სატყეო სექტორით.

დასკვნები და რეკომენდაციები

ჩვენ მივედით დასკვნამდე, რომ ხე-ტყის სარგებლობაზე დაფუძნებული, ეკონომიკაზე ორიენტირებული, მდგრად პრინციპებზე დაყრდნობით, სატყეო მეურნეობის დაარსება საქართველოში არსებულ პირობებში შეუძლებელია. თუმცა, აქვე უნდა დავძინოთ, რომ დღეს არსებული სიტუაციის შეცვლა შესაძლებელია.

საკმარისია დაიწყოს მრგვალი მორის გაყიდვა საბაზრო ფასებში, და არა სუბსიდირებულ ფასებში სოციალური ჭრების პროგრამის ფარგლებში, სექტორი შეძლებს შექმნას მინიმუმ 40 მილიონი ლარის დამატებითი შემოსავალი წლიურად.

გარდა ამისა, ხე-ტყის გადამუშავების მრეწველობის ტრანსფორმირებით მისი ამჟამინდელი მოძველებული შიდა ორგანიზაციიდან, რომლის უმეტესი ნაწილი ეფუძნება უკანონო ჭრებს და წარმოებას, მრეწველობა შეძლებს მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს ფინანსური მაჩვენებლები, ხოლო თავად სექტორი, საზოგადოდ, გაზრდის თავის ფინანსურ წვლილს საქართველოს მოსახლეობაში.

სექტორის გაუმჯობესება და მისი გადაყვანა მდგრად საფუძველზე მოითხოვს ძირეულ სტრუქტურულ ცვლილებებს, რის მიღწევაც შესაძლებელია მხოლოდ სამთავრობო დონეზე მიღებული გადაწყვეტილებებით. ამიტომ, ჩვენი *რეკომენდაციაა, რომ პრემიერ-მინისტრმა უზრუნველყოს სამინისტროთაშორისი კომისიის ჩამოყალიბება, რომელიც იმუშავებს “საქართველოს სატყეო სექტორის მობილიზაციაზე”*. კომისიის მიზანი უნდა იყოს ეკონომიკურად მომგებიანი კონცეფციისა და სტრატეგიის შექმნა საქართველოს სატყეო სექტორის მდგრადი განვითარებისათვის. აღნიშნული კონცეფციისა და სტრატეგიის მიხედვით მთელი სატყეო სექტორი (სატყეო მეურნეობა, მრეწველობა და ბაზრები) უნდა განიხილებოდეს როგორც ერთიანი ინტეგრირებული სისტემა. კომისიამ უნდა აღმოფხვრას წინამდებარე კვლევის მიერ გამოვლენილი ყველა სტრუქტურული შეზღუდვა და უნდა ჩართოს და დიალოგის რეჟიმში იმუშაოს სექტორის ყველა დაინტერესებულ პირთან თუ ორგანიზაციასთან.

კომისიის ჩამოყალიბება და მუშაობა დროს მოითხოვს. თუმცა, ძალისხმევის გააქტიურება ტყის ინვენტარიზაციის დასრულებისათვის და მონაცემთა ხარისხის გასაუმჯობესებლად დანარჩენი სექტორისათვის უკიდურესად აუცილებელია. ეს ინფორმაცია სასიცოცხლოდ

მნიშვნელოვანია კომისიის მუშაობისათვის. ახალი მონაცემების ხარისხი უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რათა გარანტირებული იყოს სიზუსტის მაღალი დონე.

უკანონო პროცედურების პრევენციაზე, გავლენაზე და რეაგირებაზე მიმართული ღონისძიებები მნიშვნელოვნად უნდა გაძლიერდეს და დაჩქარდეს. აღნიშნული ღონისძიებები დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს და ვეღარ დაუცდის შემოთავაზებული კომისიის მუშაობის პირველ შედეგებს.

შინაარს

შესავალი.....	i
ცხრილები.....	xiv
გრაფები.....	xv
აბრევიატურა.....	xvi
1. შესავალი.....	1
2. ქვეყნის მიმოხილვა.....	3
2.1 შესავალი.....	3
2.2 ეკონომიკური და სოციალური მაჩვენებლები.....	4
2.2.1 მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ).....	4
2.2.2 მშპ სექტორული სტრუქტურა.....	4
2.2.3 უცხოური პირდაპირი ინვესტიციები.....	5
2.2.4 საგარეო ვაჭრობა.....	6
2.2.5 დემოგრაფია.....	6
2.2.6 დასაქმება და უმუშევრობა.....	7
2.2.7 სიღარიბე.....	7
2.2.8 ათასწლეულის განვითარების მიზნები.....	8
2.3 განვითარების სტრატეგია.....	8
2.4 საშუალო ვადიანი ეკონომიკური პროგნოზი.....	9
2.4.1 ეკონომიკის ზრდის შესაძლებლობები.....	10
2.5 გარემო ბიზნესისათვის.....	11
2.5.1 მსოფლიო ბანკის “ბიზნესის კეთების” ანგარიში.....	11
2.5.2 ბიზნესის გარემოს სხვა ასპექტები.....	13
3. საქართველოს ტყეები.....	25
3.1 ფართობი და შემადგენლობა.....	25
3.2 ღირებულება.....	25
3.3 ხე-ტყის მდგრადი დამზადების პოტენციალი.....	26
3.4 მმართველობისა და ტყითსარგებლობის ისტორია.....	27
3.4.1 მეფის რუსეთის პერიოდი.....	27
3.4.2 კომუნისტური რუსეთისა და საბჭოთა კავშირის პერიოდი.....	28
3.4.3 დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომი პერიოდი.....	29

4. სამართლებრივი ბაზა.....	33
4.1 შესაბამისი საკანონმდებლო აქტების მიმოხილვა	33
4.2 სატყეო პოლიტიკის პრიორიტეტები	35
4.3 ხე-ტყის სოციალური პროგრამა.....	36
4.4 ხე-ტყის დამზადების ორგანიზებასა და ბაზარში განთავსებაზე პასუხისმგებელი ორგანო.....	36
4.5 ხე-ტყის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის განაწილება.....	38
4.6 წესები და პროცედურები	38
5. ტყის და ტყის პროდუქტების დამზადება, ვაჭრობა და მოხმარება საქართველოში	39
5.1 მერქნის ბალანსის ანალიზის კონცეფცია	39
5.2 ქართული მონაცემები.....	40
5.3 მერქნის ბალანსის შედეგები.....	40
5.3.1 ხე-ტყის დამზადება 2014 წელს.....	40
5.3.2 პირველადი გადამამუშავების მრეწველობის მერქნის ბალანსი – წიწვოვანი.....	44
5.3.3 მერქნის ბალანსი სამრეწველო პირველადი გადამამუშავებაში - ფოთლოვანი	47
5.3.4 მერქნის ბალანსი ხე-ტყის მეორადი მრეწველობისათვის.....	52
5.3.5 მერქნის ბალანსი ხე-ტყის გადამამუშავების მრეწველობის ქვე-სექტორებში.....	52
5.3.6 დახერხილი მერქნით ვაჭრობის კომპონენტის ბალანსი ხე-ტყის გადამამუშავების მრეწველობაში.....	53
5.4 საბოლოო კომენტარები მერქნის ბალანსის შესახებ	54
6. ეკონომიკური შეფასება	55
6.1 ტყის ეკოსისტემების ღირებულებების ტიპები	55
6.2 ეკონომიკური ღირებულებები პირდაპირი სარგებლობის ღირებულებებში.....	56
6.3 ხე-ტყის ღირებულება- საძირკვე გადასახადი	57
6.4 ქარხნამდე მიწოდებული მერქნის ფასი	59
6.5 სამასალე მორების სავაჭრო ფასები	60
6.6 დახერხილი მერქნის (ფიცრის) დამზადების ეკონომიკა საქართველოში	61
6.6.1 ფიცრის ფასები	61
6.6.2 მორის ფასების დახერხილი მერქნის (ფიცრის) ფასებთან შედარება.....	62
6.6.3 ხე-ტყის გადამამუშავებელი მრეწველობიდან მიღებულ პროდუქტებში დახერხილი მერქნის (ფიცრის) გასაყიდი ღირებულება.....	63
6.6.4 გასაყიდი ფასების მიმოხილვა.....	65

6.7 დამატებითი ღირებულების შეფასება მერქნის ბალანსის შეფასების საფუძველზე	65
6.8 დამატებითი ღირებულება – მშპ-ს გამოთვლა	66
6.8.1 დამატებითი ღირებულება მშპ-ს გამოთვლა. დეტალური ანგარიში.....	67
6.9 საგადასახადო ბალანსი.....	69
6.10 ეკონომიკური დანაკარგები სოციალური და უკანონო ჭრების გამო.....	69
6.11 ეკონომიკური შეფასების მოკლე მიმოხილვა	70
7. სტრუქტურული შეზღუდვები.....	73
7.1 მართვაში არსებული ნაკლოვანებები.....	73
7.2 საბაზრო პირობები და შესაძლებლობები.....	74
7.3 სამრეწველო სტრუქტურა.....	77
7.4 საშემე ხე-ტყის ალტერნატივა.....	77
7.5 საინვესტიციო გარემო	79
8. დასკვნები და რეკომენდაციები	81
9. წყარო	83
10. დანართი.....	86

ცხრილები

ცხრილი 2-1. წვლილი მშპ-ში აქტივობების მიხედვით	5
ცხრილი 2-2. უცხოური პირდაპირი სუფთა ინვესტიცია ქვეყნების მიხედვით (მლნ აშშ დოლარი)	6
ცხრილი 3-1. ტყეების ფულადი ღირებულება (მლნ აშშ დოლარი)	25
ცხრილი 6-1. ხე-ტყის ფასი – სანიხრე გადასახადი 2014 წელს (ლარი/ მ ³).	58
ცხრილი 6-2. მიწოდებული ხე-ტყის ფასი 2014 წელს (ლარი/მ ³) – სამასალე მორი.	59
ცხრილი 6-3. სამასალე მორის საიმპორტო-საექსპორტო ფასების შეფასება 2014 წელს (ლარი/ მ ³)	60
ცხრილი 6-4. დახერხილი მერქნის (ფიცრის) საბაზრო ფასები (გაყიდვების ღირებულება) 2014 წელს (ლარი/ მ ³).....	61
ცხრილი 6-5. მორის და დახერხილი მერქნის (ფიცარი) ფასი 2014 წელს (ლარი/მ ³).....	62
ცხრილი 6-6. ხე-ტყის გადამუშავების მრეწველობის გასაყიდი ფასები დახერხილი მერქნის (ფიცრის) კომპონენტისათვის - შიდა ბაზარი, 2014 წელი (ლარი/მ ³ გამოყენებული მორი)	64
ცხრილი 6-7. გასაყიდი ფასები 2014 წელს (ლარი/ მ ³ თითო მორი)	65
ცხრილი 6-8. მერქნის ბალანსის შეფასებაზე დაფუძნებული დამატებითი ღირებულება სამასალე მორებისათვის, 2014 (ლარი/მ ³)	65
ცხრილი 6-9. საქსტატი მშპ (დეტალური), 2012	68
ცხრილი 6-10. ტყის პროდუქტების წვლილი სავაჭრო ბალანსში 2014 წელს	69

გრაფები

სურათი 2-1.საქართველოში ბიზნესის წარმოების შედარებითი რეიტინგი.....	12
სურათი 2-2. რეიტინგი და „საზღვრამდე მანძილის“ ქულები მსოფლიო ბანკის „ბიზნესის წარმოების“ მიხედვით 2016 წლისთვის.....	13
სურათი 4-1. ჭრების ორგანიზებაზე პასუხისმგებელი ორგანო	37
სურათი 4-2. ხე-ტყის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის განაწილება	38
სურათი 5-1. სულ ხე-ტყის დამზადება 2014 წელს მლნმ ³	41
სურათი 5-2. ხე-ტყის დეტალური დამზადება 2014 წელს მლნმ ³	49
სურათი 5-3. პირველადი გადამუშავება - წიწვოვანი	50
სურათი 5-4. პირველადი გადამუშავება - ფოთლოვანი სამასალე ხე-ტყე	51
სურათი 5-5. დახერხილი მერქნის შიდა მოხმარება (მ ³) მეორად მრეწველობაში 2014 წელს.	52
სურათი 5-6. დახერხილი მასალის წვლილი ხე-ტყის გადამუშავების მრეწველობაში 2014 წელს.	54
სურათი 6-1. სრული ეკონომიკური ღირებულებების ზოგადი სტრუქტურა.....	55

აბრევიატურა

AAC	წლიური ნებადართული ჭრა
AFA	აჭარის სატყეო სააგენტო
AR	ავტონომიური რესპუბლიკა
CENN	კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი
DCFTA	ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება (საქართველოსა და ევროკავშირს შორის)
EBRD	ევროპული ბანკი რეკონსტრუქციისა და განვითარებისათვის
ECA	ევროპა და ცენტრალური აზია
EU	ევროკავშირი
FAO	გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია
FDI	უცხოური პირდაპირი ინვესტიცია
GAIN	შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის საერთაშორისო სოფლის მეურნეობის სამსახურის გლობალური საინფორმაციო ქსელი
GCF	საქართველოს თანა-ინვესტიციის ფონდი
GDP	მთლიანი შიდა პროდუქტი
GEL	ქართული ლარი
MGEL	მილიონი ქართული ლარი
GEOSTAT	საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახური
GIZ	Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit
GSE	ქართული საფონდო ბირჟა
ICSID	საინვესტიციო უთანხმოების დარეგულირების საერთაშორისო ცენტრი
ICT	ინფორმაციისა და კომუნიკაციების ტექნოლოგია
IDP	იძულებით გადაადგილებული პირი
IFC	საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია
IMF	საერთაშორისო სავალუტო ფონდი
IPR	უფლებები ინტელექტუალურ საკუთრებაზე
LEPL	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
m³	კუბური მეტრი
Mm³	მილიონი კუბური მეტრი
MCC	ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია
MDF	საშუალო სიმკვრივის ბოჭკოვანი ფიბროლიტი
MoENRP	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
MDG	ათასწლეულის განვითარების მიზნები
NBG	საქართველოს ეროვნული ბანკი
NFA	ეროვნული სატყეო სააგენტო
OECD	ევროპული თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია

OPIC	კერძო გარე ინვესტიციების ორგანიზაცია
OSB	ორიენტირებული მსხვილი ბურბუშელის ფილები
SDS	საქართველოს მთავრობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია
SMEs	მცირე და საშუალო ზომის საწარმოები
TEV	სრული ეკონომიკური ღირებულება
ToR	ტექნიკური დავალება
TSA	მიზნობრივი სოციალური დახმარება
TURKSTAT	თურქეთის სტატისტიკის ინსტიტუტი
UNCITRAL	საერთაშორისო სავაჭრო სამართლის გაერთიანებული ერების კომისია
UNECE	გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია
USD	აშშ დოლარი

1. შესავალი

წინამდებარე ანგარიში და კვლევა, რომელსაც ეფუძნება ეს ანგარიში განხორციელდა GIZ-ის ფინანსური მხარდაჭერით საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს თხოვნის შედეგად. კვლევის ზოგადი ამოცანა იყო შესაძლებელია თუ არა „ხე-ტყით სარგებლობაზე დაფუძნებული, ეკონომიკაზე ორიენტირებული (მდგრად პრინციპებზე დაყრდნობით) სატყეო მეურნეობის დაარსება საქართველოში“². ამ კვლევისათვის შემუშავებული ტექნიკური დავალება მოცემულია დანართში 1³.

კვლევა განხორციელდა 2016 წლის აპრილიდან სექტემბრამდე პერიოდში. GFA მიერ მოპოვებულ იქნა დამატებითი ინფორმაცია პუბლიკაციების, ინტერნეტ პორტალისა და მონაცემთა ბაზებზე დაყრდნობით, რომლის ჩამონათვალიც მოცემულია „კვლევაში გამოყენებული ლიტერატურა და საინფორმაციო წყაროების“ განყოფილებაში, ძირითადი ინფორმაცია მიღებულ იქნა სახერხი საამქროების და ხე-ტყის გადამამუშავებელი კომპანიების კვლევის ბაზაზე (კვლევის დეტალები მოცემულია დანართში 2).

ანგარიშის სტრუქტურა შემდეგნაირია:

- ნაწილი 2 – ქვეყნის მიმოხილვა - რომელშიც მოცემულია ზოგადად საქართველოში სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა, რაც საშუალებას გვაძლევს საქართველოს სატყეო და ხე-ტყის მრეწველობის სფეროში შესაძლო ინვესტიციების გარემოს გაანალიზებას.
- ნაწილი 3 – საქართველოს ტყეები - აღწერილია საქართველოს ტყის ტიპები, ღირებულებები, მდგომარეობა და საქართველოს ტყეების განვითარების ტენდენციები, უარყოფითი ტენდენციების უშუალო გამომწვევი მიზეზები და წარმოდგენილია მდგრად პრინციპებზე დაყრდნობით ხე-ტყის მოპოვების მთელი რიგი ასპექტები.
- ნაწილი 4 –სამართლებრივი ბაზა - იდენტიფიცირებულია შემზღვეველი ფაქტორები, რომლებსაც ადგილი აქვთ ხე-ტყის დამზადებასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტებსა და ხე-ტყის ბაზარზე განთავსების საკითხებში.
- ნაწილი 5 –ხე-ტყისა და მისი პროდუქტის წარმოება, ვაჭრობა და მოხმარება - ასახავს მერქნის ბალანსს საქართველოს ხე-ტყის სექტორისათვის დაწყებული ხე-ტყის დამზადებით და დასრულებული საბოლოო ბაზრით ექვსი ქვე-ტყის ბალანსის ფორმით.
- ნაწილი 6 - ეკონომიკური შეფასება - წარმოდგენილია სატყეო სექტორის ღირებულების შეფასება და ტყის სექტორის წვლილი საქართველოს ეკონომიკაში.
- ნაწილი 7 – სტრუქტურული დაბრკოლებები - მოცემულია ის ფაქტორები, რომლებიც ზღუდავენ სატყეო სექტორის შემოსავლიანობის უნარს და მის წვლილს საქართველოს ეკონომიკაში.

²სიტყვა “მდგრადი” არ იყო აღნიშნული ტექნიკურ დავალებაში და იგი დამატებულ იქნა GFA მიერ.

³დანართ 1 მოცემული ტექნიკური დავალება მოიცავდა იმ შესწორებებსა და დამატებებს, რომლებიც განხორციელდა კონტრაქტის განხორციელების პერიოდში GFA და GIZ შორის დადებული ხელშეკრულებითა და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მოწონებით.

- ნაწილი 8 - წარმოდგენილია კონსულტანტის მიერ გაკეთებული დასკვნები და რეკომენდაციები.

დანართი 3 მოცემულია იმ ინგლისური ტერმინების ჩამონათვალი და ქართული ექვივალენტები თავისი განმარტებებით ინგლისურ და ქართულ ენებზე, რომლებიც შეეხება ხე-ტყის ბაზარს.

კონსულტანტს სურს მადლობა გადაუხადოს ყველა იმ ადამიანს, ვინც დაუთმო გარკვეული დრო და მიაწოდა ინფორმაცია ან/და თავისი შეხედულება კონსულტანტებს. ჩვენ განსაკუთრებით გვინდა მადლობა გადაუხადოთ:

- ქ-ნ ნათია იორდანიშვილს, ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილეს და ბ-ნ კარლო ამირგულაშვილს, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ბიომრავალფეროვნების დაცვის დეპარტამენტის უფროსს, გაწეული დახმარებისათვის და წვლილისათვის, რომელიც მათ გაიღეს კვლევის შედეგების ჩამოყალიბების დროს;
- ბ-ნ იორგენ გელბახს, სატყეო პროექტების მენეჯერს, GIZ ბიომრავალფეროვნების ინტეგრირებული მენეჯმენტისათვის - სამხრეთ კავკასიის პროგრამა საქართველოში, მისი წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად კონსტრუქციული მიდგომისათვის;
- დოქ. მამუკა ხოშტარიას, საქართველოს ხე-ტყის გადამუშავებისა და ავეჯის მწარმოებელთა ასოციაციის დირექტორს, ხე-ტყის გადამუშავების სექტორის კვლევისათვის კომპანიებთან დაკავშირების უზრუნველყოფისათვის;
- ბ-ნ არსენ ჩინჩალაძეს, გბრდს მეტყევე სპეციალისტს, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი, ხე-ტყის პირველადი გადამუშავების კვლევისათვის სამხერხაობთან დაკავშირების უზრუნველყოფისათვის.

2. ქვეყნის მიმოხილვა

2.1 შესავალი

საქართველო საშუალოზე მაღალი შემოსავლის ქვეყანად ითვლება⁴, მისი მოსახლეობა 3.68 მლნ⁵ და მას უკავია ხმელეთის 69.490 კვ.კმ⁶ - დაახლოებით გერმანიის ერთი მეხუთედი ტერიტორია. ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით 20% კონტროლირებულია რუსეთის ფედერაციის სეპარატისტული ძალების მიერ.

2016 წელს აღინიშნება კომუნისტების 70 წლიანი მმართველობის შემდგომ საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან 25 წელი. დამოუკიდებლობის აღდგენიდან პირველი ოთხი წელი სავსე იყო სოციალური და ეკონომიკური სირთულეებით: 1991-1992 წლებში სამხრეთ ოსეთში და 1992-1994 წლებში აფხაზეთში მომხდარმა სამოქალაქო ომებმა შეიწირა ათასობით ადამიანის სიცოცხლე და ასობით ათასი საქართველოს სხვა კუთხეში იძულებით განსახლებული ეთნიკურად ქართველი (და ეთნიკურად ოსი რუსეთის ფედერაციის ჩრდილოეთ ოსეთში). მთლიანი ეროვნული შემოსავალი დამოუკიდებლობამდე პერიოდთან შედარებით დაეცა 80%. ქვეყანაში ადგილი ჰქონდა სწრაფ ინფლაციას; გადასახადის გადაუხდელობამ გამოიწვია დეფიციტი ბიუჯეტში. მსოფლიო ბანკისა და სავალუტო ფონდის ინტერვენციები ქვეყანას დაეხმარა ეკონომიკის სტაბილიზებაში. გატარდა მთელი რიგი ღონისძიებები მმართველობის გასამდიერებლად და ეკონომიკის ლიბერალიზაციისათვის, მათ შორის სახელმწიფო საწარმოების დერეგულაცია და პრივატიზაცია, მაგრამ გავრცელებულმა კორუფციამ და ეკონომიკაში არსებულმა პრობლემებმა გამოიწვია ქვეყნის, როგორც არ შემდგარი სახელმწიფოს ჩამოყალიბება. (US Department of State, 2015).

2003 წელს ე.წ. ვარდების რევოლუციის შემდგომ მიხეილ სააკაშვილის მთავრობამ განახორციელა რადიკალური ეკონომიკური და ინსტიტუციონალური რეფორმები, რომელთა მიზანიც იყო ეკონომიკის შემდგომი ლიბერალიზაცია, კორუფციის აღმოფხვრა და ინვესტიციების მოზიდვა, რამაც ქვეყანა შეაბრუნა დასავლეთისკენ პოლიტიკის, თავდაცვისა და ვაჭრობის საკითხებში. რუსეთთან ომმა სამხრეთ ოსეთის საკითხზე, 2008 წლის აგვისტოში, რომელსაც მოჰყვა ტერიტორიების დაკარგვა და გლობალური ფინანსური კრიზისი 2007-2009 წლებში, გამოიწვია საქართველოს პროგრესის შეფერხება. რის შედეგებსაც ქვეყანა აქამდე იძვის.

2012 წელს განხორციელდა ძალაუფლების პირველი დემოკრატიული გადაცემა, როდესაც კოალიცია „ქართული ოცნებამ“ მოიპოვა საპარლამენტო უმრავლესობა. ახალმა მმართველობამ გააგრძელა მისი წინამორბედის დაბალი რეგულაციების, დაბალი საგადასახადო სისტემის, თავისუფალი საბაზრო პოლიტიკა, ამავე დროს გაზარდა სოციალური ხარჯები, გაამდიერა ანტი-მონოპოლიური პოლიტიკა, ცვლილებები შეიტანა

⁴მსოფლიო ბანკი განსაზღვრავს საშუალოზე მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნებს როგორც ქვეყნებს, რომელთა მემ ერთ მოსახლეზე შეადგენს \$4,036 - \$12,475

⁵წყარო: მსოფლიო ბანკი, ქვეყნის მონაცემთა პორტალი <http://data.worldbank.org/country/georgia>

⁶წყარო: მსოფლიო ბანკი, ქვეყნის მონაცემთა პორტალი <http://data.worldbank.org/country/georgia>

შრომის კოდექსში მშრომელების დაცვის თვალსაზრისით და აწარმოა კონსულტაციები კერძო სექტორთან ჯანსაღი ეკონომიკური პოლიტიკის განვითარების თვალსაზრისით. 2014 წელს მთავრობამ გამოაქვეყნა თავისი საშუალო ვადიანი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „ საქართველო 2020“, რომელშიც ჩამოყალიბებულია საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტები. სტრატეგიაში აქცენტი კეთდება მთავრობის ვალდებულებაზე შექმნას ბიზნესისათვის „მეგობრული“ პოლიტიკა, რაც გამოიხატება დაბალ საგადასახადო ტარიფებში და ადამიანურ კაპიტალში ინვესტირებაში, ასევე მთელი ქვეყნის და არა მარტო თბილისის განვითარებაზე. სტრატეგია ასევე ხაზს უსვამს საქართველოს როგორც სავაჭრო და ლოჯისტიკური ცენტრის გეოგრაფიულ პოტენციალს „ახალი აზრემუმის გზის“ გასწვრივ, რომელიც აკავშირებს აზიასა და ევროპას კავკასიის გავლით. 2014 წლის ივნისში, საქართველომ ხელი მოაწერა ასოცირების ხელშეკრულებას, რომელიც მოიცავდა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას ევროკავშირთან. ხელშეკრულება ძალაში შევიდა 2016 წლის 1 ივლისიდან.

2016 წლის ოქტომბრის არჩევნების შედეგად, „ქართულმა ოცნებამ“ საკონსტიტუციო უმრავლესობით გაიმარჯვა პალმანეტში და ამით მიიღო მანდატი გააგრძელოს თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის გზა ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის მიმართულებით.

2.2 ეკონომიკური და სოციალური მაჩვენებლები

2.2.1 მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ)

დამოუკიდებლობის მოპოვებისა და 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მშპ სწრაფად დაეცა. ამ მდგომარეობიდან გამოსვლას, რომელიც 2003 წლამდე მიმდინარეობდა, დიდი დრო დასჭირდა, მაგრამ 2003 წლის შემდგომ იგი დაჩქარდა. 2004-2013 წლებში მშპ ზრდა საქართველოში საშუალოდ შეადგენდა 6 % წელიწადში, და მან მიაღწია 12,3% 2007 წელს. თუმცა საქართველო კვლავ რჩება იმ მცირერიცხოვან ქვეყნებს შორის ევროპასა და ცენტრალურ აზიაში რომლებსაც ჯერ არ მიუღწევიათ 1990 მშპ დონისთვის. მშპ ერთ სულ მოსახლეზე 2010 წლის ფასების პირობებში გაიზარდა \$ 1.814-დან 2003 წელს \$ 4.010 2015 წელს, თუმცა იგი კვლავ ყველაზე დაბალი მონაცემია ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის. (World Bank, 2014).

2.2.2 მშპ სექტორული სტრუქტურა

2015 წელს მშპ წვლილი სექტორების მიხედვით მოცემულია ცხრილში 2-1. ყველაზე დიდი წვლილი მოდის სავაჭრო მომსახურებაზე (16.6%) და მრეწველობაზე (16.5%), მას მოჰყვება სატრანსპორტო და საკომუნიკაციო მამსახურებები (10.7%), საჯარო ადმინისტრაცია (9.3%), სოფლის მეურნეობა, სატყეო და თევზჭერა (9.2%), მშენებლობა (8.0%) და უძრავი ქონება, გაქირავება და ბიზნესი (6.6%). ეკონომიკის სტრუქტურა შეიცვალა დამოუკიდებლობამდე არსებულ მდგომარეობასთან შედარებით: 1990 წელს, მრეწველობის წვლილი მშპ-ში იყო 33%-და სოფლის მეურნეობის, სატყეოსა და თევზჭერის - 31%. განსაკუთრებით აღსანიშნავია სოფლის მეურნეობის წვლილის შემცირება: დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ ექსპორტის ბაზრის დაკარგვამ გამოიწვია სწრაფი დაცემა, რომელიც გაგრძელდა წლების განმავლობაში და საბოლოოდ გამოიწვია სტაგნაცია. უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში მიზნობრივმა ინტერვენციებმა მნიშვნელოვანი

შედეგი გამოიღეს: 2013-2015 წლების განმავლობაში სოფლის მეურნეობის სექტორის წვლილი იყო დაახლოებით 14% მაღალი ვიდრე 2010-2012 წლებში.

ცხრილი 2-1. წვლილი მშპ-ში აქტივობების მიხედვით

აქტივობა	მილიონი ლარი	მთელის %
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტო და მოტო ნაწილების, პირადი და საყოფაცხოვრებო ნივთების შეკეთება	4,554.8	16.6%
წარმოება	2,679.0	9.8%
საჯარო ადმინისტრაცია	2,546.2	9.3%
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო, თევზჭერა	2,518.2	9.2%
ტრანსპორტი	2,210.3	8.1%
მშენებლობა	2,187.4	8.0%
უძრავი ქონება, გაქირავება და ბიზნესი	1,805.3	6.6%
ჯანმრთელობა და სოციალური სამსახური	1,634.3	6.0%
განათლება	1,341.1	4.9%
სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	1,200.1	4.4%
ფინანსური მომსახურება	1,004.8	3.7%
საკუთარი საცხოვრებელი ადგილების გაქირავება	896.8	3.3%
ელექტროენერჯის, გაზისა და წყლის მიწოდება	845.5	3.1%
კომუნიკაცია	714.8	2.6%
შიდამეურნეობების მიერ პროდუქციის გადამუშავება	713.1	2.6%
სასტუმროები და რესტორნები	693.9	2.5%
სამთო წიაღისეულის მოპოვება	294.6	1.1%
კერძო პირების მიერ შიდა პერსონალის დაქირავება და არადიფერენცირებული საწარმოო საქმიანობა საკუთარი მოხმარებისათვის	30.3	0.1%
ფინანსური საშუალებლო მომსახურეობა	-466.4	-1.7%
სულ მშპ საბაზისო ფასებში	27,404.4	100%

წყარო: საქსტატი, ელექტრონული მონაცემთა ბაზა

საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად განვითარებადი სექტორი არის ტურიზმი, რომელზეც მოდის მთლიანი დასაქმების 14.2% 2013 წელს და მშპ-ში 16% (პირდაპირ და არა-პირდაპირ). ტურიზმის წვლილის პროგნოზირებული ზრდა შეადგენს 4.8% წელიწადში. ამჟამად სექტორი უზრუნველყოფს საექსპორტო მოგების 20% (US Department of State, 2015).

2.2.3 უცხოური პირდაპირი ინვესტიციები

წმინდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შეადგენდა საშუალოდ 1.259 მლნ აშშ დოლარს 2011-2015 წლებში (შემოდინება - 2.296 მლნ აშშ დოლარი; გადინება 1.037 მლნ აშშ დოლარი) და იგი მერყეობდა 912-სა და 1.758 მლნ აშშ დოლარს შორის. ძირითადი ინვესტორი ქვეყნები მითითებულია ცხრილში 2-2.

ცხრილი 2-2. უცხოური პირდაპირი სუფთა ინვესტიცია ქვეყნების მიხედვით (მლნ აშშ დოლარი)

	2011	2012	2013	2014	2015
სულ, საიდანაც:	1,117	912	942	1,758	1,564
აზერბაიჯანი	138	59	82	341	550
გაერთიანებული სამეფო	55	94	55	108	386
ნიდერლანდები	242	35	153	374	155
ლუქსემბურგი	43	42	143	110	106
თურქეთი	76	81	43	63	73
ჩინეთი	10	36	90	218	67
რუსეთი	55	20	2	82	46
საერთაშორისო ორგანიზაციები	95	63	55	-106	40
სხვა ქვეყნები	404	480	320	569	142

წყარო: საქსტატი, ელექტრონული მონაცემთა ბაზა

2.2.4 საგარეო ვაჭრობა

2015 წელს საქართველოს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი შეადგენდა 5.524 მლნ აშშ დოლარს (ექსპორტი - 2.205 მლნ აშშ დოლარი; იმპორტი - 7.730 მლნ აშშ დოლარი). 2006 - 2015 წლებში დეფიციტი საშუალოდ შეადგენდა 4.537 მლნ აშშ დოლარს, ყველაზე მაღალი იყო 2014 წელს - 5.740 და ყველაზე დაბალი 2006 წელს - 2.739 (ADB, 2014a). ექსპორტის წვლილი მშპ-ში დაბალია; 2012 წელს იგი შეადგენდა მხოლოდ 38%, მაშინ როდესაც ესტონეთში და სლოვაკიის რესპუბლიკაში ანალოგიური მაჩვენებელი ტოლი იყო 90%; ლიტვაში - 78% და ლატვიაში 59% (US Department of State, 2015). მიუხედავად იმისა, რომ არ ყოფილა ექსპორტის ზრდა, საქსპორტო კალათის დინამიკისა და შემადგენლობის ანალიზი გვიჩვენებს მნიშვნელოვან სისუსტეებს: (i) ძირითად ბაზრებსა და პროდუქტებზე საბაზრო წვლილის დაკარგვა; (ii) მისი განვითარების დონისათვის შეუფერებელი პროდუქტის გაყინული და დაბალი ხარისხი; (iii) პროდუქტის დივერსიფიკაციის ნაკლებობა, დომინირებს მხოლოდ ჯართი, გამოყენებული მანქანების რეექსპორტი, ღვინო და დამუშავებული საკვები, წყალი და ტურიზმი; და (iv) ექსპორტიორი ფირმების გადარჩენის დაბალი დონე (US Department of State, 2015).

2.2.5 დემოგრაფია

2015 წელს საქართველოს მოსახლეობა შეადგენდა 3.7 მლნ-ზე ოდნავ მეტს - მაშინ როცა 1989 წელს დამოუკიდებლობის მიღებამდე ორი წლით ადრე, ეს მონაცემი უტოლდებოდა 5.4 მლნ. მოსახლეობის ასეთი შემცირება ძირითადად გამოწვეული იყო ემიგრაციის ზრდით⁷. შემცირდა შობადობის რიცხვიც. მოსახლეობის 42.6% ცხოვრობს სოფლადა⁸ - მხოლოდ 1.6% ნაკლები ვიდრე 1989 - ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ევროპისა და ცენტრალური

⁷წყარო: საქსტატი, მონაცემთა ელექტრონული პორტალი

⁸წყარო: საქსტატი, მონაცემთა ელექტრონული პორტალი

აზიის ქვეყნებში; შედარებისათვის, 2013 წელს ევროკავშირის მოსახლეობის დაახლოებით 22% გადასახლდა სოფლებში⁹.

2.2.6 დასაქმება და უმუშევრობა

სამუშაო ძალის უმეტესობა - 55%-ზე მეტი - დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში (ძირითადად თვითდასაქმებული), რაც დამახასიათებელია ოჯახზე დაფუძნებული ნატურალური მეურნეობისათვის შედარებით მცირეა გრობიზნესის სექტორში. სოფლის მეურნეობაში წარმოების დაბალმა დონემ მნიშვნელოვანიწვლილი შეიტანა სოფლად მოსახლეობის სიღარიბის მაღალ მაჩვენებლებში. (ADB, 2014b).

უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკური ზრდის ძლიერი მაჩვენებლებს თან სდევდა უმუშევრობის მაღალი დონე. უმუშევრობა უფრო გაუარესდა ეკონომიკური ზრდის წლებში 2003-2007. ამის მთავარი მიზეზები იყო (i) სამოქალაქო სამსახურების არსებითი შემცირება; (ii) საბანკო სისტემასა და უძრავ ქონებაზე აქცენტირებული უცხოური ინვესტიციები, რომლის შედეგადაც შეიქმნა მცირე რაოდენობის სამუშაო ადგილები და (iii) მცირე და საშუალო ზომის საწარმოების უმნიშვნელო ზრდა პროდუქტიულობაში, ფინანსებსა და ბაზრის წვდომაში არსებული დაბრკოლებების გამო. ეკონომიკური ზრდის სექტორებმა, განსაკუთრებით კი ტურიზმისა და მომსახურეობის სხვა სექტორებში, ვერ შეძლეს დასაქმების უზრუნველყოფა ისე ეფექტურად, როგორც ამას შეძლებდა აგრო-ბიზნესის ან წარმოების სექტორი იმ შემთხვევაში თუ ამ სექტორებში განხორციელდებოდა დიდი მოცულობის ინვესტიციები. (US Department of State, 2015).

2.2.7 სიღარიბე

საქართველოში, რეგიონის სხვა ქვეყნებთან შედარებით მაღალია სიღარიბისა და უკიდურესი სიღარიბის მაჩვენებლები. 2012 წელს მოსახლეობის 14,8 % და 3,7% ცხოვრობდა სიღარიბესა და უკიდურეს სიღარიბეში. მოსახლეობის 40% მოხმარების ზრდის მაჩვენებელი, მსოფლიო ბანკის საერთო კეთილდღეობის მაჩვენებელი, ასევე დაბალი იყო ვიდრე მთლიანი მოსახლეობისათვის 2006-2010 წლებში. 2010-2012 წლებში მოხდა ამ მონაცემების გადასინჯვა, ძირითადად იმის გამო, რომ შემოვიდა ფისკალური სტიმულირების სარგებელი გლობალური ეკონომიკური კრიზისის პერიოდის შემდგომ რომელმაც გაზარდა სოციალური გადარიცხვების მოცულობა და საბოლოოდ გამოიწვია მოსახლეობის 40% კეთილდღეობა. ბევრი ოჯახი დამოკიდებულია საზღვარგარეთიდან მიღებულ გზავნილებზე, რომელიც ხუთი წლის პერიოდში 2011-2015 საშუალოდ შეადგენდა 284 მლნ ლარს წელიწადში - მთლიანი ოჯახის შემოსავლის 3%. (ADB, 2014b).

საქართველოს აქვს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იძულებით გადაადგილებულ პირთა მიხედვით (მოსახლეობის 5,6%; 253 000 ადამიანი 2014 წელს). იძულებით გადაადგილებული პირები დამოკიდებულნი არიან არსებობისათვის სოფლის მეურნეობასა და სოციალურ დახმარებაზე, მათ აქვთ საცხოვრებელი ადგილისათვის, არსებობისა და დასაქმებისათვის შეზღუდული რესურსები. იძულებით გადაადგილებულ

⁹ წყარო: http://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/Agriculture_-_rural_development_statistics

პირთა დასაქმებისა და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მაჩვენებლები დაბალია და ისინი შეადგენენ ღარიბების არაპროპორციულად დიდ რაოდენობას. (ADB, 2014b).

2.2.8 ათასწლეულის განვითარების მიზნები

საქართველო ადგას ათასწლეულის განვითარების რამოდენიმე მიზნის მიღწევის გზას¹⁰. უკანასკნელი წლების განმავლობაში შეიმჩნეოდა მნიშვნელოვანი წინსვლა, შემცირდა ახალშობილთა და დედათა სიკვდილიანობა, ხორციელდება დაწყებით საგანმანათლებლო უწყებებში ბავშვების სრული ჩარიცხვა გოგოების უმეტესი თანაფარდობით ბიჭებთან შედარებით დაწყებით და საშუალო სკოლებში, და მოსახლეობის ზრდად რაოდენობას ხელი მიუწვდება წყლის უსაფრთხო წყაროზე. მიუხედავად ამისა მნიშვნელოვანი უთანასწორობა შეინიშნება საბაზისო მომსახურებებისა და ეკონომიკური შესაძლებლობების წვდომაზე ღარიბებს, ნაკლებად შეძლებულ და მარგინალურ მოსახლეობასა და დანარჩენ მოსახლეობას შორის. (US Department of State, 2015).

2.3 განვითარების სტრატეგია

საქართველოს საშუალო ვადიანი განვითარების ხედვა ჩამოყალიბებულია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში „საქართველო 2020“ (ჩანართი 1). სეგს-ის მიზანია წელიწადში საშუალოდ 7% ეკონომიკის სწრაფი, ინკლუზიური და მდგრადი ზრდის მიღწევა. ეს იმას გულისხმობს, რომ სტრუქტურული რეფორმები ხელს შეუწყობს ინვესტიციების, დასაქმებისა და პროდუქტიულობის სწრაფ ზრდას და ასევე უზრუნველყოფს პოტენციური სარგებლის რეალიზება, რომელიც ასოცირებულია DCFTA-ეკსპორტის მაღალი დონისა და FDI თვალსაზრისით. სეგს ითვალისწინებს კერძო სექტორის დახმარებას და ამავე დროს ხაზს უსვამს სახელმწიფოს როლს ჩაერთოს ამ ქმედებაში სახელმწიფო მომსახურებების მიწოდების, ბაზრის წარუმატებლობის აღმოფხვრისა და შესაბამისი შეზღუდვების დარეგულირების თვალსაზრისით.

ჩანართი 1: საქართველოს მთავრობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის წინაპირობები

წინაპირობა 1: სტაბილური მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა, ეფექტური საჯარო მმართველობის უზრუნველყოფა და ფისკალური ეფექტურობა და პასუხისმგებლობა; (i) ინფლაცია და ვალუტის გაცვლის კურსის სტაბილურობა; (ii) ფისკალური სივრცის შექმნა და შენარჩუნება სასუალო ვადიანი დანახარჯებისა და სახელმწიფო ვალების მართვის საფუძველზე, საპენსიო რეფორმა, და შედეგებსა და ეფექტურ მონიტორინგსა და შეფასებებზე დაფუძნებული პრიორიტეტული ხარჯები; (iii) საჯარო სექტორის ეფექტური მართვა; და (iv) საგარეო მდგრადობა ჯანსაღი მაკრო-პრუდენციული რეგულაციების, დანაზოგების ხელშესაწყობი პოლიტიკის, და სანდოობის გაძლიერების სისტემისმეშვეობით, და ასევე დე-დოლარიზაციის მხარდაჭერა.

წინაპირობა 2: ადამიანური კაპიტალის გაძლიერება- ჯანმრთელობა, განათლება და სოციალური უსაფრთხოება; (i) სკოლამდელი განათლების 100% უზრუნველყოფა; ამჟამად ბავშვების მხოლოდ 46% დადის საბავშვო ბაღში ; (ii) ეფექტური პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემის მხარდაჭერა, რომელიც შესაბამისობაში იქნება კერძო სექტორის

¹⁰ათასწლეულის განვითარების მიზნები წარმოადგენენ რვა საერთაშორისო განვითარების მიზანს 2015 წლისათვის, რომელიც ჩამოყალიბდა 2000 გაეროს ათასწლეულის სამიტის შესაბამისად, გაეროს ათასწლეულის დეკლარაციის მიღების შემდგომ.

საჭიროებებთან; (iii) ზოგადად საგანმანათლებლო სისტემის ხარისხის გაუმჯობესება; (iv) შრომის ბაზრის შესახებ ინფორმაციის გაუმჯობესება და TSA პროგრამასთან კოორდინაციის უზრუნველყოფა; (v) სოციალური დაცვის გაძლიერება გაუმჯობესებული მიზნობრივი ქმედებების მეშვეობით, რათა უზრუნველყოფილი იყოს მთელი ქვეყნის მოსახლეობის დაფარვა, და საპენსიო რეფორმა; (vi) უნივერსალური საყოველთაო სამედიცინო დაზღვევის უზრუნველყოფა: სტრატეგიაში ხაზი აქვს გასმული რეფორმების გატარების აუცილებლობის საკითხს, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკურად ეფექტური ფარმაცოლოგიური საშუალებების უზრუნველყოფას და ასევე ახდენს პირველადი და პროფილაქტიური დახმარებების პრიორიტეტიზაციას.

წინაპირობა 3: კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის გაზრდა წარსული წარმატებების საფუძველზე და საინვესტიციო კლიმატის გაძლიერება, განსაკუთრებით SME-თვის, აქცენტის გაკეთება ფირმის პროდუქტიულობაზე; (i) დერეგულაციებიდან გონივრულ რეგულაციებზე გადასვლა, რათა შეივსოს ხარვეზები არსებულ ბიზნეს გარემოში (კონკურენტული პოლიტიკა, საკუთრების უფლებების დაცვის საკითხებზე, მათ შორის ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის მექანიზმის სრულყოფაზე, გაძლიერებული კანონდარსებობა, საინვესტიციო კანონმდებლობის განახლება, გაკოტრების პროცედურების გაუმჯობესება და პრობლემების ეფექტური გადაჭრა; (ii) განვითარების ეროვნული საბჭოს დაფუძნება საჯარო-კერძო კონსულტაციების და სტრატეგიის განხორციელების ხელშესაწყობად; (iii) ექსპორტის ხელის შეწყობა DCFTA მეშვეობით ბაზრის მისაწვდომობის გასაიოლებლად და საქართველოს, როგორც რეგიონალური ცენტრისა და სატრანზიტო კვანძის აღიარება სოფლის მეურნეობის სექტორში პროდუქტიულობისა და ექსპორტის გაზრდა; (iv) ინოვაციური შესაძლებლობების გაძლიერება ფინანსური მხარდაჭერისა და კერძო სექტორთან, კვლევით ორგანიზაციებთან და მეშვეობით მთავრობასთან თანამშრომლობის კარგად განსაზღვრული სტრუქტურის მეშვეობით. და (v) საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის უპირატესობის და განახლებადი რესურსების პოტენციალის გამოყენება მომსახურეობის სექტორში მზარდი ენერგეტიკული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და ელექტროენერჯის ექსპორტის შესაძლებლობების, როგორც შემოსავლის წყაროს, განვითარება.

წინაპირობა 4: ფინანსებზე გაზრდილი წვდომა; (i) საპენსიო დანაზოგების სისტემის განვითარება, დაფინანსების ინსტრუმენტები ადგილობრივ ვალუტაში, მცირე საწარმოებისათვის ხელმისაწვდომი დაფინანსება, ანაბრების დაზღვევა და მაკრო-პრუდენციული უზრუნველყოფა; (ii) ფინანსური არქიტექტურის გაძლიერება კაპიტალის ბაზრის განვითარების, არა-საბანკო ფინანსური ინსტიტუციების მეშვეობით, და ფინანსური საბაზრო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, მათ შორის შესაფერისი სამართლებრივი და ინსტიტუციური მოწყობის განვითარებით საკრედიტო ინფორმაციის გაზიარებისათვის და გირაოს სააგენტოს დაფუძნება, და (iii) ფინანსირების ხელმისაწვდომობა მცირე და საშუალო საწარმოებისათვის, სტარტაპებისა და სოფლის მეურნეობისათვის.

2.4 საშუალო ვადიანი ეკონომიკური პროგნოზი

2014 წელს მსოფლიო ბანკის მიერ მოხდა საქართველოს ეკონომიკური ზრდის პროგნოზირება საშუალოდ 5.5% წელიწადში სასუალო ვადიანი პერსპექტივით, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა პოლიტიკურ რეალობაზე, ბაზრის გაუმჯობესებულ წვდომაზე და ძლიერ რეფორმებზე (World Bank, 2014). მსოფლიო ბანკის მიერ აღნიშნული იყო, რომ ეს პროგნოზი დამოკიდებული იყო მთელ რიგ ფაქტორებზე, მათ შორის ევროკავშირთან გაუმჯობესებულ ეკონომიკურ კავშირებზე, რუსეთთან გაუმჯობესებულ ურთიერთობაზე (რითაც ისარგებლებს ტურიზმი და ვაჭრობა), და ძლიერი რეფორმების პროგრამაზე, რომელიც მოცემულია სგს-ში, რომელიც უზრუნველყოფს კერძო ინვესტიციების ზრდას და

სახელმიფო კაპიტალის ხარჯვაზე დამოკიდებულებას. ეკონომიკური ზრდადობის მაჩვენებელი დამოკიდებულია საქართველოს შესაძლებლობაზე თუ რამდენად ისარგებლებს DCFTA და ევროკავშირთან დადებული ასოცირების შეთანხმებით, რომელიც გაუმჯობესებს ბაზარზე წვდომას და წახალისებს FDI. მდგრადი ვაჭრობის შედეგების ანალიზი, რომელიც განხორციელდა ევროკავშირის მიერ გვთავაზობს მშპ წვლილის გაზრდას 4.3% გრძელვადიან პერსპექტივაში (Ecorys and Case, 2012). ეს გამოიწვევს მუშახელისა და კაპიტალის რელოკაციას უფრო პროდუქტიულ სექტორებში, რაც გულისხმობს შესაძლებლობების გაზრდას - კონკრეტულად ვაჭრობის საკითხებში, ვაჭრობის მიმართ ტექნიკური ბარიერებისა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საკითხებში - და ინვესტირებას ადამიანურ კაპიტალში (US Department of State, 2015).

ფისკალური დეფიციტი - მშპ-ს 2.5 % 2013 წელს- სავარაუდოდ შემცირდება საშუალო ვადიანი პერსპექტივით, ხარჯების ეფექტურობის გაძლიერების მიზნით (2016 წლის ბიუჯეტისათვის დაგეგმილი დეფიციტი იყო 3%). კაპიტალური დანახარჯების წვლილი გათანაბრდება, სოციალური დანახარჯები - რომელიც მნიშვნელოვნად გაიზარდა 2013 წელს და საშუალოვადიან პერსპექტივაში უფრო გაიზარდება და მიაღწევს მშპ-ში 9% და მეტს, რათა ბალანსი მთავრობის მიმდინარე ხარჯებს. მსოფლიო ბანკის- IMF ანალიზის შესაბამისად საშუალოვადიან პერსპექტივაში საგარეო ვალი განიცდის მდგრადობას. (US Department of State, 2015).

კონკურენტუნარიანობისა და ფისკალური კონსოლიდაციის განახლებული აქცენტი დაეხმარება საგარეო მდგრადობას. 2013 წელს დანახარჯების დაბალმა მოცულობამ შეამცირა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი. 2014 წელს უფრო მეტი ეკონომიკური აქტივობა და სახელმწიფო დანახარჯები გამოიწვევს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის გაზრდა მანამ, სანამ იგი კვლავ დაეცემოდეს საშუალოვადიან პერიოდში გაუმჯობესებული კონკურენტუნარიანობის გამო - რომელიც ხორციელდება მთავრობის ამბიციური სტრუქტურული რეფორმების მიერ - და შემცირდებოდეს ფისკალური დეფიციტი. მოსალოდნელია, რომ სუფთა FDI საშუალოდ იქნება მშპ 6.3%, ეროვნული დანახარჯების განაკვეთი სავარაუდოდ გაიზარდება 20.5% -მდე 2017 წლისთვის, შემცირდება შემოდინებული კაპიტალის მიერ შექმნილ ვალებზე დამოკიდებულება. (US Department of State, 2015).

2.4.1 ეკონომიკის ზრდის შესაძლებლობები

DCFTA მიერ შემოთავაზებულია ექსპორტისა და ინვესტიციების გაზრდა. იმისათვის, რომ ეს შესაძლებლობა მაქიმალურად იქნეს გამოყენებული საქართველომ უნდა უნდა გაატაროს კომპლექსური რეფორმები, რათა დაეხმაროს კერძო სექტორს კონკურენტუნარიანობის გაძლიერებაში. პროდუქტიულობის გაძლიერების მიზნით საჭიროა შიდა ფირმების მოდერნიზება; ამას დასჭირდება ადამიანურ და ფინანსურ კაპიტალთან წვდომა. ამავე დროს, ამ სექტორებში უცხოური ინვესტიციები დაეხმარება დააკავშიროს ფინანსური საჭიროებების მოზიდვასა და გაუმჯობესებული შესაძლებლობებისა და უნარების გადაცემაში. მაღალი ხარისხის ინფრასტრუქტურისა და სანიტარიულ/ფიტოსანიტარიული სისტემების ევროკავშირის მოთხოვნებისა და ნორმების შესაბამისად განვითარებით სტანდარტების გაუმჯობესება წინაპირობა იქნება უფრო მომგებიან და სტაბილურ ევროკავშირის ბაზარზე მოსახვედრად.

საქართველო მდებარეობს სტრატეგიული ტრანზიტული დერეფნის გასწვრივ, რომელიც ერთმანეთს უკავშირებს ევროპასა და აზიას. საქართველო აძლიერებს გლობალურ ეკონომიკაში ჩართვის საშუალებას სტრატეგიული აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალური დერეფნით შავი ზღვის პორტებსა და კასპიის ზღვას შორის. ეს უზრუნველყოფს პირდაპირ კავშირს საქართველოს დაახლოებით ნახევარ მოსახლეობასთან და შესაძლებლობას მისცემს საქართველოს შეამციროს ტრანზიტის ხარჯები და გახდეს უფრო კონკურენტუნარიანი როგორც საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტი.

საქართველოს ენერგეტიკის სექტორს აქვს ტრანსფორმაციული ცვლილებების პოტენციალი, კერძოდ განახლებადი ენერჯის ექსპორტის საშუალებით. უკანასკნელი დეკადის განმავლობაში ხელისუფლებამ მოახდინა ენერგეტიკული სექტორის ტრანსფორმირება, რომელიც უფრო სწრაფად და ეფექტურად განვითარდა. მთავრობა ახორციელებს ორ სტრატეგიულ მიზანს: უზრუნველყოს მუდმივისაიმედოშიდაენერჯისმიწოდებაფორმებისა დასახლებისათვის და ხელს უწყობს ელექტროენერჯის წარმოებას ჰიდროელექტროსადგურების მეშვეობით რათა გაფართოვდეს ელექტროენერჯით რეგიონალური ვაჭრობა. (US Department of State, 2015).

2.5 გარემო ბიზნესისათვის

2.5.1 მსოფლიო ბანკის “ბიზნესის კეთების” ანგარიში

მსოფლიო ბანკის ყოველწლიური „ბიზნესის კეთების“ ანგარიში გამიზნულია ნათელიმოჭვინოს თუ რამდენად მარტივი ან რთული იქნება ადგილობრივი ბიზნესმენისათვის დაიწყოს და აწარმოოს მცირე და საშუალო ზომის ბიზნესი არსებული სამართლებრივი ბაზის შესაბამისად. „ბიზნესის კეთება“ მიჰყვება სამართლებრივ ბაზაში იმ ცვლილებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ბიზნესის წარმოების მთელ ციკლზე: ბიზნესის დაწყება, სამშენებლო ნებართვასთან დაკავშირებული პროცედურები, ელექტროენერჯის მიღება, საკუთრების რეგისტრაცია, კრედიტის აღება, ინვესტორების დაცვა, გადასახადების გადახდა, საზღვრებს მიღმა ვაჭრობა, კონტრაქტების ამოქმედება და გადახდისუნარიანობის საკითხები. „ბიზნესის კეთება“ მოცემულია ბიზნესის რეგულაციებისა და საკუთრების უფლებების დაცვის რაოდენობრივი ინდიკატორები, რომელთა შედარებაც შესაძლებელია 189 ეკონომიკასთან (World Bank, 2016).


მსოფლიო ბანკი აღნიშნავს, რომ ბიზნესის კეთების მეთოდოლოგიას აქვს გარკვეული შეზღუდვები: სხვა სფეროები, რომლებიც მნიშვნელოვანია ბიზნესის კეთების თვალსაზრისით - როგორცაა ეკონომიკის სიახლოვე დიდ ბაზრებთან, მათი ინფრასტრუქტურული მომსახურებები (იმათ გარდა, რომელიც უკავშირდება საზღვრის პირა ვაჭრობასა და ელექტროენერჯის მიღებას), ქონების დაცვა მარცვსაგან, სამთავრობო შესყიდვების პროცედურების გამჭვირვალობა, მაკროეკონომიკური პირობები ან ინსტიტუციების ძლიერი მხარეები - პირდაპირ არ არის შესწავლილი „ბიზნესის კეთების“ მიერ. ინდიკატორები შეეხება ბიზნესის სპეციფიკურ სახეს, ზოგადად ადგილობრივი შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიებს, რომლებიც ფუნქციონირებენ დიდ ქალაქებში. გამომდინარე იქიდან რომ მონაცემების შეგროვებისას გამოყენებული იყო სტანდარტული ვარაუდები, შედარებები და კრიტერიუმები ვრცელდება მთელს ეკონომიკაზე. მონაცემები არა მარტო აშუქებენ ბიზნესის გაკეთების შემაფერხებელ

ფაქტორებს, არამედ ამ დაბრკოლების წყაროს მოძიებაშიც გვეხმარება, რაც ასე საჭიროა პოლიტიკოსებისათვის სამართლებრივი რეფორმების განხორციელების დროს. (World Bank, 2016)

2016 წლის მონაცემებით საქართველოს საერთო რეიტინგში უკავია 24 ადგილი 189-დან (იხ. სურათი 2-1). საქართველოს აქვს უკეთესი „საზღვრამდე მანძილის“ ქულა, ვიდრე ევროპისა და ცენტრალური აზიის საშუალო მაჩვენებელია და და უფრო მაღალი რეიტინგი ვიდრე ევროპისა და ცენტრალური აზიის რამდენიმე შესადარებელ ეკონომიკას.


მსოფლიო ბანკის რეიტინგი და საზღვრამდე მანძილის ქულა თითოეული ათი რაოდენობრივი ინდიკატორისათვის ნაჩვენებია სურათში 2-2. საქართველო რეიტინგობს ერთი დეცილი ქონების რეგისტრაციის, ბიზნესის დაწყების, კრედიტის მიღების და კონტრაქტების აღსრულების საკითხებში; მეორე დეცილი - უმცირესობაში არსებული ინვესტორების დაცვის; მესამე დეცილი - გადასახადების გადახდის; მეოთხე დეცილი - ელექტროენერჯის მიღებით, მეხუთე დეცილი - საზღვრის პირა ვაჭრობა, და მეექვსე დეცილი - გადაუჭრელი საკითხების მოგვარება. საქართველოს აქვს 75% -ზე ნაკლები სასაზღვრო ქულა მხოლოდ ორ ინდიკატორში: გადაუჭრელი საკითხების მოგვარება და უმცირესობაში არსებული ინვესტორების დაცვა.

სურათი 2-1. საქართველოში ბიზნესის წარმოების შედარებითი რეიტინგი



წყარო, World Bank, 2016

სურათი 2-2. რეიტინგი და „საზღვრამდე მანძილის“ ქულები მსოფლიო ბანკის „ბიზნესის წარმოების“ მიხედვით 2016 წლისთვის



წყარო: World Bank, 2016

მაშინ როცა საქართველომ კარგი შედეგი აჩვენა ბიზნესის კეთების ინდექსის მიხედვით, მთავრობამ შეაჩერა რეფორმები დღის წესრიგიდან. ეს ძირითადად აქცენტირებულია საკუთრებისა და ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვისთვის რეგულაციების ასამოქმედებლად, მიწის საკუთრების განსაზღვრისა და რეგისტრაციისათვის, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კონკურენტუნარიანობის სტრუქტურის ჩამოყალიბება და ამუშავება, და მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ინფორმაციასა და ბიზნესზე წვდომა. (US Department of State, 2015).

2.5.2 ბიზნესის გარემოს სხვა ასპექტები

კორუფცია

2004 წლიდან საქართველომ დაიწყო ქმედებები წვრილმანი კორუფციის წინააღმდეგ. ხელისუფლების ანტი-კორუფციულმა ქმედებებმა შედეგად გამოიღო ყოფილი თანამდებობის პირების დაპატიმრება, სახელმწიფო ბიუროკრატის რადიკალური შემცირება და კონტრაბანდის ეფექტური ჩახშობა (US Department of State, 2015). შესაბამისად 2004 წლიდან - 2015 წლამდე გაიზარდა სახელმწიფო შემოსავლები დაახლოებით 250%. 2004 წელს მთავრობამ მთლიანად დაითხოვა კორუმპირებული საგზაო პოლიცია და მოქალაქეთა მომსახურების სააგენტოები გადაკეთდა იუსტიციის სახლებად, სადაც მოქალაქეებს შეუძლიათ მთელი რიგი მომსახურების მიღება ერთ შენობაში. ისინი განიხილება საქართველოში მიმდინარე რეფორმების საჩვენებელ მაგალითად.

დაბალი დონის კორუფცია ძირითადად ლიკვიდირებულ იქნა: 2015 წელს საქართველოს მოქალაქეთა გამოკითხვის მიხედვით, მოსახლეობის მხოლოდ 2% აღნიშნავდა, რომ მათ მოუწიათ ქრთამის გადახდა გასულ წელს მომსახურების ან გადაწყვეტილების მიღების მიზნით. ე.წ. „ელიტარული კორუფცია“ - რომელსაც საერთაშორისო გამჭვირვალობა (TI) აღწერს როგორც „საჯარო უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება“ - კვლავ რჩება

პრობლემად. საერთაშორისო გამჭვირვალობის მიხედვით 2003 წლის საქართველოს კორუფციის მაჩვენებელი იყო ქვეყნების მათე დეცილში (სადაც მათე დეცილი წარმოადგენს ყველაზე მეტად კორუმპირებულს). 2009 წლის ინდექსმა გვიჩვენა საგრძობი გაუმჯობესება, და ამჯერად იგი მოხვდა მეოთხე დეცილში. 2015 წლის ინდექსი აჩვენებს კიდევ მცირედ გაუმჯობესებას, მაგრამ ქვეყანა ისევ მე-4 დეცილშია.

2013 წლის OECD ანგარიში, რომელიც შეეხებოდა კორუფციას (OECD, 2013) მოცემულია 2010-2013 წლებში საქართველოს ანტი-კორუფციული რეფორმების განხორციელების მცდელობა, კერძოდ ანტი-კორუფციული სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის გამოქვეყნება, სისხლის სამართლებრივი დევნის ავტონომიის უზრუნველყოფა, იუსტიციის მინისტრის პროკურატურის იერარქიიდან ჩამოცილება, და საჯარო სექტორში შიდა აუდიტის სისტემისათვის სამართლებრივი ჩარჩოს მიცემა. ანგარიშში რეკომენდირებული იყო, რომ რეფორმები უნდა გაგრძელებულიყო ანტი-კორუფციული საუწყებთაშორისო საბჭოს გასაძლიერებლად და იურიდიული ინტეგრაციის გასაუმჯობესებლად.

ფინანსები მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისათვის (SMEs)

მცირე და საშუალო საწარმოების სექტორი წარმოადგენს რეგისტრირებული ბიზნესის დაახლოებით 96 % და იქ დასაქმებულია სამუშაო ძალის 42%, მაგრამ 2013 წელს აღირიცხებოდა ბიზნესის ბრუნვის მხოლოდ 17.7% (US Department of State, 2015). ფირმებს აქვთ მაღალი საპროცენტო განაკვეთი, საკრედიტო პოლიტიკა რისკს წარმოადგენს, განვითარების შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენს საწესდებო კაპიტალის არარსებობა. მცირე და საშუალო საწარმოები ამჟამად მხოლოდ საკუთარ რესურსებზე დაყრდნობით ან ინვესტიციისთვის გაუნაწილებელ მოგებაზე მუშაობენ. ფასიანი ქაღალდებისა და ბაზრის კაპიტალის სუსტი განვითარება, შეზღუდული ადგილობრივი ვალუტა და გრძელვადიანი ფინანსური ინსტრუმენტები, და სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსებული საპენსიო სისტემის სქემა წარმოადგენს შემაფერხებელ ფაქტორებს დანაზოგების ნორმების მოსამატებლად. არასაბანკო საკრედიტო ინსტიტუციებისა და ინსტრუმენტების შეზღუდული ვარიანტები, ასევე ფინანსურ და ბიზნესის საკითხებში განათლების დაბალი დონე ხელს უშლის მიკრო და მცირე ფირმების ფინანსურ წვდომას. საქართველო წარმოადგენს ერთადერთ ქვეყანას ევროპასა და ცენტრალურ აზიაში, რომელსაც არ გააჩნია ნათლად ჩამოყალიბებული დეპოზიტების დაზღვევის სისტემა ფინანსური სექტორისადმი ნდობის გაღრმავებისა და დანაზოგების წახალისებისათვის - რაც წარმოადგენს ფინანსური წვდომის გაძლიერების წინაპირობას.

უნარ-ჩვევები, ინოვაციები და ტექნოლოგიები

ახალი ფირმებისა და საექსპორტო ხაზების განვითარებას დამატებითი ღირებულების სექტორებში ხელს უშლის პროფესიონალი სამუშაო ძალის არ არსებობა, დაბალი R&D ხარჯვა და ინოვაციებისა და ატექნოლოგიების შეზღუდული სარგებლობა (US Department of State, 2015). საჭიროა, დივერსიფიცირებული უმაღლესი განათლება და ტრენინგი, განსაკუთრებით ტექნიკურ და პროფესიულ სფეროებში. უნდა გაძლიერდეს კერძო სექტორის როლი სასწავლო გეგმებისა და პროგრამის შემუშავებაში და პროფესიონალური მომზადების უზრუნველყოფა რათა სამუშაო ძალა უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი პროფესიული ცოდნით. მთავრობამ უნდა შეიმუშავოს ინსტიტუციონალური სტრუქტურა რათა ხელი შეუწყოს ყველაზე ინოვაციურ და პროდუქტიულ მცირე და საშუალო

საწარმოებს განვითარებისათვის. ამჟამად ხდება საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შეზღუდული სახით გამოყენება მრეწველობაში (საქართველოს რეიტინგი მსოფლიოს ეკონომიკური ფორუმის გლობალური ინოვაციური ინდექსით) არის 73 - 142-დან, კერძო სექტორში არ იციან როგორ შეიძლება საინფორმაციო და კომუნიკაციურმა ტექნოლოგიებმა გახადოს ბიზნესი საერთაშორისო დონეზე კონკურენტუნარიანი (US Department of State, 2015).

ღიაობა უცხოური ინვესტიციებისათვის

საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო (www.investinggeorgia.org) ახორციელებს აქტიურ მარკეტინგულ კამპანიას კიდევ უფრო მეტი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად საქართველოში. საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს ხელსაყრელ პირობებს უცხოური ინვესტიციებისათვის, თუმცა არაპრივილეგიურულ მიდგომას უცხოელი ინვესტორების მიმართ. კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ იცავს უცხოელ ინვესტორებს დამატებითი კანონმდებლობისაგან, რომელიც ცვლის მათი ინვესტირების პირობებს ათი წლის განმავლობაში. საქართველომ 52 ქვეყანასთან გააფორმა ხელშეკრულება ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ. შეთანხმებები მიღწეულია მაგრამ ელოდებიან რატიფიცირებას სამ ქვეყანასთან, ხოლო მოლაპარაკებები შეთანხმების შესახებ დაწყებულია კიდევ 25 ქვეყანასთან.

სამრეწველო ხელშეწყობა

2013 წელს მთავრობამ დააფუძნა საქართველოს თანაინვესტირების ფონდი (GCF) უცხოური და შიდა ინვესტიციების წახალისების მიზნით. ფონდი წარმოადგენს 6-მილიარდიან (აშშ დოლარი) კერძო საინვესტიციო ფონდს (დაახლოებით საქართველოს მშპ-ს 38%), რომელიც უნიკალურ საშუალებას აძლევს ინვესტორებს მათი კერძო კაპიტალის პირდაპირი ინვესტირებისა საქართველოს ეკონომიკის ყველაზე მზარდ სექტორებში და დარგებში. ფონდი, რომელიც დაფუძნებულია ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის მიერ, აწევრიანებს უცხოურ და შიდა საინვესტიციო ჯგუფებს შეზღუდული პასუხისმგებლობის საპარტნიორო კომპანიების ფორმით, მათ შორის სუვერენული საინვესტიციო ფონდები, წამყვანი გლობალური კორპორაციები და კერძო ოჯახური კომპანიები შემდეგი ქვეყნებიდან: არაბთა გაერთიანებული საემიროები, ჩინეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი და ყაზახეთი. ფონდის 80%-მდე ინვესტირებული იქნება საქართველოში, დაახლოებით 20% კი მის ფარგლებს გარეთ. პრიორიტეტულ სფეროებს წარმოადგენს: ენერჯეტიკა, სასტუმრო და უძრავი ქონების სექტორები, სოფლის მეურნეობა, ლოგისტიკა და წარმოება. დაფუძნებისთანავე გაცხადდა ინვესტირების შემდეგი სფეროები:

- ენერგოსექტორი – 3 მილიარდამდე (USD)
- სასტუმრო და უძრავი ქონების სექტორი - 1 მილიარდამდე (USD)
- სოფლის მეურნეობა და ლოგისტიკა – 0.5 მილიარდამდე (USD)
- წარმოება – 1.5 მილიარდამდე (USD)
- სხვა – 0.5 მილიარდამდე (USD)

ფონდის მინიმალური საინვესტიციო რენტაბელურობა 17%-ია და იგი გეგმავს მთლიანი საკუთარი კაპიტალის 25 – 75%-ის ინვესტირებას მინიმალური საინვესტიციო თანხით 5 მილიონი აშშ დოლარის მოცულობით. როგორც მოსალოდნელია, ფონდი შეინარჩუნებს

საკუთარ წილს საპორტფელო კომპანიებში 7 წლამდე ვადით, რომელიც შესაძლებელია მაქსიმუმ 9 წლამდე გაგრძელდეს. აღნიშნულ პერიოდში ფონდი დატოვებს თავის ინვესტიციებს საკუთარი წვლილის გაყიდვის შემდეგი სხვადასხვა საშუალებებით:

- მიყიდვა პროექტის არსებულ თანა-მფლობელებზე ან პარტნიორებზე;
- მიყიდვა გარე მესამე მხარეებზე;
- აქციების პირველადი განთავსება საერთაშორისო საფონდო ბირჟებზე.

დამატებითი ინფორმაციის მიღება ფონდის შესახებ შესაძლებელია მის ვებ-გვერდზე: <http://www.gcfund.ge>.

2014 წელს მთავრობამ წამოიწყო სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“. პროგრამის მიზანია განავითაროს და აღმოუჩინოს დახმარება სამეწარმეო საქმიანობას, წახალისოს ახალი საწარმოების შექმნა და გაზარდოს საექსპორტო და საინვესტიციო პოტენციალი ქვეყანაში. პროგრამას კოორდინირებას უწევს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო მისი მეწარმეობის განვითარების სააგენტოს, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს და საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მეშვეობით. პროექტი შემდეგი სახის დახმარებას ითვალისწინებს:

- წვდომა ფინანსირებაზე
- წვდომა უძრავ ქონებაზე
- ტექნიკური დახმარება

დამატებითი ინფორმაციის მიღება „აწარმოე საქართველოში“ შესახებ შესაძლებელია მის ვებ-გვერდზე: <http://www.qartuli.ge>.

მოგების რეპატრიაცია

საქართველოს მთავრობა გარანტირებულად ითვალისწინებს ინვესტორის უფლებას მოახდინოს მოგების კონვერტირება და რეპატრიაცია ყველა კანონით გათვალისწინებული გადასახადების გადახდის შემდეგ. ინვესტორს აგრეთვე უფლება აქვს მოახდინოს კონვერტირება და რეპატრიაცია საკუთრების გასხვისების საშუალებით მიღებული ნებისმიერი ფულადი კომპენსაციისა. საქართველომ აიღო ვალდებულება, რომელიც გათვალისწინებულია მუხლით VIII, პუნქტებით 2, 3 და 4 საერთაშორისო სავალუტო ფონდის მუხლების შეთანხმებისა, რომელიც ძალაშია 1996 წლის 20 დეკემბრიდან, რომლის თანახმადაც საქართველოს მთავრობა გამორიცხავს შეზღუდვებს გადასახადებზე და გადარიცხვებზე მიმდინარე საერთაშორისო ტრანზაქციების ფარგლებში, აგრეთვე დისკრიმინაციულ სავალუტო რეგულაციებს და პარალელური ვალუტების გამოყენების პრაქტიკას საერთაშორისო სავალუტო ფონდის თანხმობის გარეშე. მუხლით VIII გათვალისწინებული ვალდებულებების შესაბამისად საქართველო სიგნალს უგზავნის საერთაშორისო საზოგადოებას, რომ იგი აწარმოებს ჯანსაღ ეკონომიკურ პოლიტიკას, რაც გამორიცხავს აუცილებლობას შეზღუდვების გამოყენებისა გადახდების და გადარიცხვების განხორციელებაზე საერთაშორისო ტრანზაქციების ფარგლებში. პარლამენტის მიერ 2011 წელს მიღებულმა „აქტმა ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ დამატებით გაამყარა აღნიშნული დებულება (US Department of State, 2015).

ექსპროპრიაცია და კომპენსაცია

საქართველოს კონსტიტუცია იცავს საკუთრების უფლებას, მათ შორის უფლებას საკუთრების ქონაზე, შეძენაზე, გასხვისებაზე, განკარგვაზე და მემკვიდრეობით მიღებაზე. საქართველოში მცხოვრებ უცხოეთის მოქალაქეებს აქვთ იგივე უფლებები და ვალდებულებები, რომლებიც გააჩნიათ საქართველოს მოქალაქეებს. კანონი საკუთრების კონფისკაციის პროცედურების შესახებ საზოგადოების საჭიროებებისათვის ითვალისწინებს საკუთრების ექსპროპრიაციის ნორმებს. როდესაც საქართველოს მთავრობა იყენებს სახელმწიფოს სუვერენულ უფლებას ქონების შეძენის შესახებ, აღნიშნული ხორციელდება საზოგადოების განსაზღვრული და აღრიცხული საჭიროებებისათვის ქონების მესაკუთრეთათვის შესაბამისი და სამართლიანი კომპენსაციის სრული უზრუნველყოფით. აუცილებლობის შემთხვევაში გარანტირებულია სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება (US Department of State, 2015).

საქართველოს საინვესტიო კანონმდებლობა საშუალებას იძლევა უცხოური ინვესტიციების კონფისკაციისა მხოლოდ შესაბამისი კომპენსაციის უზრუნველყოფით. ბოლო დროის ცვლილებები კანონში საკუთრების კონფისკაციის პროცედურების შესახებ საზოგადოების საჭიროებებისათვის ითვალისწინებს კომპენსაციის გადახდას ეკვივალენტური ღირებულებების მქონე ქონებით ან ფულადი სახსრებით. კომპენსაცია მოიცავს ყველა ხარჯს, რომელიც დაკავშირებულია კონფისკირებული ქონების შეფასებასთან და გადაცემასთან. კომპენსაცია უნდა იქნას გადახდილი დაუყოვნებლივ და უნდა მოიცავდეს კონფისკირებული ქონების ღირებულებას და დანკარგს, რომელიც გასწია უცხოელმა ინვესტორმა ექსპროპრიაციის შედეგად. უცხოელ ინვესტორს გააჩნია უფლება მიმართოს საქართველოს სასამართლოს და მოითხოვოს მისი ქონების კონფისკაციის შესახებ ხელმეორე განხილვა სასამართლოს მიერ. 2007 წელს პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელიც უკრძალავს მთავრობას გააპროტესტოს პრივატიზაცია უძრავი ქონებისა, რომელიც 2007 წლის აგვისტომდე იქნა გასხვისებული. აღნიშნული კანონი არ ეხება განსაზღვრულ და აღრიცხულ საკუთრებას. მიუხედავად იმისა, რომ ქონების კონფისკაციასთან დაკავშირებული სასამართლო დავები საქართველოში იშვიათად ხდება, ზოგიერთი ავტორიტეტული არასამთავრობო ორგანიზაცია აცხადებს, რომ ტურისტული ზონების შექმნამ წინა მთავრობის მიერ გამოიწვია საკუთრების უფლების არაკანონიერი გამოწვევა სვანეთში, ანაკლიაში, გონიოში და ზოგიერთ ტერიტორიაზე შავი ზღვის მახლობლად. არსებობს აგრეთვე ვარაუდები, რომ წინა მთავრობამ არასათანადოდ გამოიყენა სახელმწიფოს სუვერენული უფლება ქონების შეძენის შესახებ, რათა არასამართლიანად დაბალ ფასად ჩაეგდო ხელში თბილისში უძრავი ქონება თბილისის რკინიგზის შემოვლითი პროექტის ფარგლებში (US Department of State, 2015).

საინვესტიციო დავები

საქართველოს საინვესტიციო კანონმდებლობა ითვალისწინებს უცხოელ ინვესტორსა და სახელმწიფო ორგანოს შორის დავის საქართველოს სასამართლოში ან საინვესტიციო უთანხმოების დარეგულირების საერთაშორისო ცენტრში გადაწყვეტას, იმ შემთხვევაში, თუ მხარეები არ შეთანხმდებიან მათ შორის არსებული დავის მოგვარების სხვა მეთოდზე. იმ შემთხვევაში, თუ საინვესტიციო უთანხმოების დარეგულირების საერთაშორისო ცენტრში დავის განხილვა შეუძლებელია, უცხოელ ინვესტორს აქვს უფლება გადასცეს დავა

სპეციალურ საერთაშორისო არბიტრაჟს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის გაერთიანებული ერების კომისიის ეგიდით. საქართველომ ხელი მოაწერა კონვენციას „საერთაშორისო არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღიარება და შესრულება (1958 წლის ნიუ-იორკის კონვენცია). იუსტიციის სამინისტრო ახორციელებს მთავრობის ინტერესების კონტროლს არბიტრაჟებში სახელმწიფოსა და კერძო ინვესტორებს შორის.

ქონებრივ უფლებებთან დაკავშირებული დავები ზოგჯერ ეჭვის ქვეშ აყენებდა საქართველოს სასამართლო სისტემის მიუკერძოებლობას, კანონის უზენაესობას და, შესაბამისად, საინვესტიციო კლიმატს. სასამართლო რეფორმა მთავრობამ ერთ-ერთ პრიორიტეტად დაისახა და პარლამენტმა მიიღო შესაბამისი კანონმდებლობა, რომელიც სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის გაძლიერებისაკენ არის მიმართული (US Department of State, 2015).. 2013 წლის მაისში პარლამენტმა მოახდინა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (ინსტიტუცია, რომელიც აღჭურვილია სამართალწარმოების კონტროლის ფუნქციით) რეორგანიზაცია მისი დამოუკიდებლობის გასაძლიერებლად და პოლიტიკური მანიპულირებისაგან გასათავისუფლებლად.

საერთაშორისო საარბიტრაჟო

2009 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საარბიტრაჟო კანონი, რომელიც ძალაში შევიდა 2010 წლის 1 იანვარს. საქართველო იმყოფება ქვეყნების სიებში, რომლებმაც მიიღეს აღნიშნული კანონი საერთაშორისო სავაჭრო სამართლის გაერთიანებული ერების კომისიის ტიპური კანონის საფუძველზე.

საქართველომ ხელი მოაწერა ორმხრივი ინვესტიციების ხელშეკრულებას 30-ზე მეტ ქვეყანასთან.

1992 წლიდან საქართველო საინვესტიციო უთანხმოების დარეგულირების საერთაშორისო ცენტრის წევრია (ICSID კონვენცია), და ხელი აქვს მოწერილი კონვენციაზე „საერთაშორისო არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღიარება და შესრულება (1958 წლის ნიუ-იორკის კონვენცია).

აღნიშნული საერთაშორისო ვალდებულებების შედეგად საქართველო ვალდებულია მიიღოს საერთაშორისო არბიტრაჟი და აღიაროს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები. იუსტიციის სამინისტრო ახორციელებს მთავრობის ინტერესების კონტროლს არბიტრაჟებში სახელმწიფოსა და კერძო ინვესტორებს შორის.

კერძო საკუთრების უფლება და კომპანიების დაფუძნება

უცხოურ და ადგილობრივ კერძო საწარმოებს შეუძლიათ თავისუფლად დაფუძნება საქართველოში, მათ შეუძლიათ შეიძინონ და განაგონ წილები კომპანიაში და ჩაერთონ ყველა სახის ანაზღაურებად სამუშაოში. კონკრეტული კანონები არეგულირებენ ბიზნესის ქმედებებს საბანკო, აგრობიზნესის, ენერჯეტიკის, ტრანსპორტის და ტურიზმის სექტორებში. საჯარო საწარმოები კონკურენციას უწევენ კერძო მეწარმეებს, და ეს ხდება თანაბარ პირობებში. (US Department of State, 2015).

უძრავი ქონების უფლებათა დაცვა

დაცული ინტერესები როგორც უძრავი, აგრეთვე პირადი ქონების სფეროში აღიარებული და დაფიქსირებულია. მიუხედავად ამისა, სასამართლო სისტემაში არსებულმა ხარვეზებმა შესაძლებელია ხელი შეუშალოს ინვესტორებს საკუთარი უფლებების რეალიზაციაში საუზრუნველსაყოფოდ შეთავაზებული ქონების კუთხით. წარსულში, უცხოელი ინვესტორების ინტერესები რამდენჯერმე დაზიანდა მიკერძოებული სამართალწარმოების, კანონმდებლობის და იმ განკარგულებების გამო, რომლებიც ცხადად მიკერძოებულად იცავდნენ კომპანიაში ჩაბმულ ქართველ პარტნიორს ან ქართულ იურიდიულ პირს. გარდა ამისა, ზოგიერთ დამკვირვებელს მიაჩნია, რომ ეკონომიკური რეგულაციები არათანამიმდევრულად გამოიყენებოდა წინა მთავრობის პირობებში და განპირობებული იყო კომპანიის პირადი ურთიერთობებით მთავრობასთან (US Department of State, 2015).

მთავრობამ შექმნა ელექტრონული რეგისტრის სისტემა მიწაზე საკუთრების უფლებების აღსაწესად და აგრძელებს თანამშრომლობას საერთაშორისო დონორებთან მიწის კადასტრის და საქართველოს მიწის ბაზრის დასახვეწად.

ინტელექტუალური საკუთრების დაცვის უფლებები

საქართველო შეუერთდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას (WTO) და ხელშეკრულებას „ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სავაჭრო ასპექტები“ 2000 წელს. WTO-სთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო. 2004 წელს საქართველოს პარლამენტმა მოახდინა რომის კონვენციის რატიფიცირება შემსრულებლების, ფონოგრამის პროდიუსერების და სამაუწყებლო ორგანიზაციების უფლებების დაცვის შესახებ, და ასევე ლისაბონის შეთანხმებისა წარმოშობის მითითების შესახებ. 2005 წელს საქართველო შეუერთდა მსოფლიო ინტელექტუალური საკუთრების ორგანიზაციის (WIPO's) საერთაშორისო კონვენციას მცენარეების ახალი სახეობების დაცვის შესახებ. საქართველო არის ბერნის კონვენციის მონაწილე, ორი ციფრული შეთანხმების წევრი – საავტორო უფლებების შეთანხმების და შესრულების და ფონოგრამის შეთანხმების-- ჰააგის შეთანხმების და ბუდაპეშტის შეთანხმების, რომელიც ეხება მიკროორგანიზმების დეპონირების საერთაშორისო აღიარებას პატენტების გაცემის პროცედურებისათვის.

საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების დაცვის უფლებებს ექვსი კანონი არეგულირებს: კანონი პატენტების შესახებ, კანონი სავაჭრო ნიშნების შესახებ, კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ, კანონი წარმოშობის ადგილის დასახელების და საქონლის გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ, კანონი ინტეგრირებული სქემების ტოპოგრაფიის შესახებ, და კანონი ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო კონტროლის ზომების შესახებ. საქართველოს კანონი უზრუნველყოფს სალიტერატურო, ხელოვნების და სამეცნიერო ნაშრომების და ხმის ჩანაწერების უკუმაღის მქონე დაცვას 50 წლის განმავლობაში.

საქართველომ დახვეწა საკუთარი კანონმდებლობა ინტელექტუალური საკუთრების შესახებ საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით. თუმცა კანონმდებლობის აღსრულება არასაკმარისად ხორციელდება, რადგანაც მოსამართლეებს და ადვოკატებს არ გააჩნიათ საკმარისი ცოდნა ინტელექტუალური საკუთრების კანონებისა და საკითხების შესახებ. პირატული ვიდეო, აუდიო ჩანაწერები, ელექტრონული თამაშები და კომპიუტერული

პროგრამები თავისუფლად იყიდება საქართველოში. ინტერნეტ-პროვაიდერები ათავსებენ საკუთარ რესურსებზე არალიცენზირებულ პროდუქციას, რომელიც მომხმარებელს უფასოდ შეუძლია ჩამოტვირთოს. (US Department of State, 2015).

მარეგულირებელი სისტემის გამჭვირვალობა

საქართველოს მთავრობამ აიღო ვალდებულება უფრო მეტად გამჭვირვალედა მარტივი გახადოს რეგულაციები. მთავრობა აქვეყნებს კანონებს და რეგულაციებს ქართულენაზე ოფიციალურ გაზეთებში, საკანონმდებლო ცნობარში. 2004 წლიდან მთავრობამ 22-დან 6%-მდე შეამცირა გადასახადები. (US Department of State, 2015).

2010 წელს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელიც მიმართულია გამჭვირვალობის გაზრდაზე პოლიტიკაში და იმპლიმენტაციის სფეროშიც. შემოსავლების სამსახურმა დაიწყო ახალი კოდექსის დანერგვა 2011 წელს. კოდექსში წარმოდგენილია რამდენიმე ახალი კონცეპცია საგადასახადო კანონმდებლობაში, მათ შორის - მინიჭება ფინანსთა სამინისტროსათვის უფლებამოსილების გამოსცეს იურიდიულად სავალდებულო წინასწარი გადაწყვეტილებები საგადასახადო საკითხების შესახებ კომპანიებისათვის. გარდა ამისა, შემოსავლების სამსახური გაითვალისწინებს კომპანიის განზრახვას საგადასახადო შეცდომის დაშვებისას, და თუ შეცდომა მიჩნეული იქნება უნებლიედ, ჯარიმა შესაძლებელია შემცირდეს ან გაუქმდეს. ახალი საგადასახადო კანონმდებლობა მოიცავს აგრეთვე საგადასახადო შეღავათებს მცირე და მიკრო ბიზნესისათვის.

2011 წელს შემოსავლების სამსახურმა გადადგა ნაბიჯები ბიზნესთან ურთიერთობების გაუმჯობესების მიზნით და წარადგინა ალტერნატიული აუდიტის პროგრამა, რომელიც საშუალებას აძლევს კომპანიებს აირჩიონ საგადასახადო მომსახურებისათვის კერძო სააუდიტორო კომპანიები, განაცხადონ ტექნიკური დანაკარგების შესახებ, და დაარეგულირონ პროცესი საწვავზე გაწეული ხარჯების დაფიქსირებისათვის. მთავრობა გეგმავს შეამციროს ალტერნატიული სააუდიტორო მომსახურების პროგრამა შემდგომ წლებში, რადგან თავად შემოსავლების სამსახური განავითარებს საკუთარ პოტენციალს, რაც საკმარისი იქნება იმისათვის, რომ დამოუკიდებლად აწარმოოს კომპანიების აუდიტი. (US Department of State, 2015).

ახალი საგადასახადო კოდექსის მიხედვით შეიქმნა ბიზნეს ომბუდსმენის ინსტიტუცია, როგორც დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია პრემიერ-მინისტრის წინაშე. ორგანო უფლებამოსილია აწარმოოს გადასახადის გადამხდელებისაგან მიღებული პრეტენზიების გამოძიება.

საერთაშორისო ბუღალტერიის სტანდარტები სავალდებულო გახდა სააქციო საზოგადოებებისათვის 2000 წლის 1 იანვრიდან. სხვა ინსტიტუციებისათვის, მაგალითად ბანკებისათვის, სადაზღვევო კომპანიებისათვის, და შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე კომპანიებისათვის, შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე ამხანაგობებისათვის, საერთო პასუხისმგებლობის მქონე კომპანიებისათვის, და კოოპერატივებისათვის სტანდარტები სავალდებულო გახდა 2001 წლის 1 იანვრიდან. კერძო კომპანიებმა უნდა აწარმოონ ბუღალტერია და ფინანსური ანგარიშგება საერთაშორისო ბუღალტერიის სტანდარტების

შესაბამისად. კერძო მეწარმეებმა, მცირე ბიზნესმა, და არასამეწარმეო იურიდიულმა პირებმა უნდა აწარმოონ ბუღალტერია და ფინანსური ანგარიშგება საპარლამენტო საბუღალტრო კომიტეტის მიერ დამტკიცებული გამარტივებული დროებითი სტანდარტების მიხედვით. იურიდიული მოთხოვნების მიუხედავად, საერთაშორისო ბუღალტერიის სტანდარტებზე გადასვლა ნელა მიმდინარეობს ნაწილობრივ იმის გამო, რომ წარსულში ბევრი კომპანია მოქმედებდა ჩრდილოვანი ეკონომიკის ან ორმაგი ბუღალტერიის პირობებში. ჯერ კიდევ არსებობს კვალიფიციური საბუღალტრო პერსონალის დეფიციტი. წინა მთავრობამ გააუქმა ანტიმონოპოლიური სამსახური, რის შედეგადაც გარკვეული კომპანიები აღმოჩნდნენ პრივილიგირებულ მდგომარეობაში, განსაკუთრებით ფარმაცევტიკის, ნავთობის და კიდევ რამდენიმე სექტორში. (US Department of State, 2015).

კაპიტალის ბაზრისა და ინვესტიციების პორტფოლიოს ეფექტურობა

საბანკო სფერო ერთ-ერთი სწრაფად მზარდი სექტორია საქართველოს ეკონომიკაში. 2015 წლის იანვრიდან 19 კომერციული ბანკი იყო დარეგისტრირებული დაახლოებით 12 მილიარდი აშშ დოლარის კაპიტალის საერთო ოდენობით. სესხები კომერციული ბანკებიდან ხელმისაწვდომია უცხოელი ინვესტორებისა და ადგილობრივი მომხმარებლებისთვისაც. თუმცა საპროცენტო განაკვეთები მაღალია. (US Department of State, 2015).

საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია, ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი, აშშ-ს კერძო გარე ინვესტიციების ორგანიზაცია, ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია, აზიის განვითარების ბანკი, და სხვა საერთაშორისო განვითარების სააგენტოები თავაზობენ სხვადასხვა საკრედიტო პროგრამებს მსხვილ და მცირე ბიზნესს. 2015 წელს 70-მდე მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მოქმედებდა საქართველოში საერთო კაპიტალის ოდენობით დაახლოებით 650 მილიონი აშშ დოლარი, რომლებიც გასცემდნენ მცირე სესხებს საწარმოებისათვის. (US Department of State, 2015).

ფული და საბანკო სისტემა

ქართულმა ბანკებმა შეინარჩუნეს ლიკვიდურობა მსოფლიო ფინანსური კრიზისის დროს ძირითადად ცენტრალური ბანკის მიერ მოთხოვნების (13%-იანი კაპიტალური რეზერვები) და კონსერვატიული საკრედიტო პოლიტიკის მეშვეობით. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა – ქვეყნის ცენტრალურმა ბანკმა - შეამცირა მოთხოვნები კაპიტალური რეზერვების შესახებ 5 პროცენტამდე 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად და მსოფლიო ფინანსური კრიზისის პასუხად ბაზარზე ლიკვიდურობისა და ახალი სესხების წახალისების მიზნით. (US Department of State, 2015). ბანკთაშორისი ფინანსური ბაზრის განვითარების ხელშესაწყობად და საპროცენტო განაკვეთებს შორის თანაფარდობის აღდგენის მიზნით საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გაზარდა მოთხოვნები დენომინირებული ლარის კაპიტალური რეზერვების შესახებ 10 პროცენტამდე 2010 წლის აპრილიდან. კანონმდებლობის მიხედვით, რომელიც ამოქმედდა 2011 წლის იანვარ-თებერვალში, ნელ-ნელა გაიზარდა მოთხოვნები რეზერვების შესახებ 5-დან 15 პროცენტამდე უცხოური ვალდებულებებისათვის.

საფონდო ბაზარი

საქართველოს ეროვნული ბანკი არეგულირებს საფონდო ბაზარს. ბაზრის ყველა მონაწილე წარადგენს საკუთარ მოხსენებებს საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, რაც იწვევს მათ დაახლოებას უცხოელ ინვესტორებთან და პარტნიორებთან. ყველა კოტირებადი კომპანია

ვალდებულია წარადგინოს მონაცემები სახელმწიფო ორგანოში, რომელიც შემდგომში საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე აიტვირთება და საშუალებას მისცემს მომხმარებლებს შეაფასონ ამა თუ იმ კომპანიის ფინანსური მდგომარეობა. საქართველოს საფონდო ბაზარი მოიცავს შემდეგ ლიცენზირებულ მონაწილეებს: ფასიანი ქაღალდების ბირჟა, ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი, ცხრა საბროკერო კომპანია და ფასიანი ქაღალდების ექვსი რეგისტრი.

საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბირჟა ერთადერთი ორგანიზებული საფონდო ბაზარია საქართველოში. იგი იყენებს მსოფლიოში არსებულ მოწინავეამოცდილებას ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობაში და სთავაზობს ეფექტურ საინვესტიციო ინსტრუმენტს ადგილობრივ და უცხოელ ინვესტორებს. 2015 წლის მარტიდან 128 კომპანია ვაჭრობდა საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე მთლიანი საბაზრო კაპიტალით - 945 მილიონი აშშ დოლარი.

ორმხრივი სავაჭრო და საინვესტიციო ხელშეკრულებები

2014 წლის 27 ივნისს, საქართველომ ხელი მოაწერა ასოციაციის ხელშეკრულებას (AA) და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას (საქართველოსა და ევროკავშირის შორის) (DCFTA) ევროკავშირთან. თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულება ძალაშია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობასთან და დანარჩენები არსებობს ორმხრივად უკრაინასთან, რუსეთთან (თუმცა ვაჭრობა შეზღუდულია რუსეთის მთავრობის მიერ), ყაზახეთთან, აზერბაიჯანთან, სომხეთთან, მოლდოვასთან, თურქმენეთთან და თურქეთთან.

საქართველოს აქვს ორმხრივი ხელშეკრულება ინვესტიციების წახალისებასა და ორმხრივ დაცვაზე 32 ქვეყანასთან, მათ შორის აშშ, სომხეთი, ავსტრია, აზერბაიჯანი, ბელგია, ბულგარეთი, ჩინეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა, ესტონეთი, ეგვიპტე, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, ირანი, ისრაელი, იტალია, ყაზახეთი, ყირგიზეთი, კუვეიტი, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, მოლდოვა, ნიდერლანდები, რუმინეთი, შვეცია, თურქეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი, დიდი ბრიტანეთი და უკრაინა.

მუშახელის რესურსები

საქართველოში არის კვალიფიციური და არაკვალიფიცირებული მუშახელი მიმზიდველ ფასად დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის სტანდარტებთან შედარებით. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი კვალიფიცირებული პროფესიონალი და ტექნიკოსი ემიგრირდა საქართველოდან (ძირითადად რუსეთში, აშშ და ევროპაში) საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, ბევრი მათგანი დარჩა ქვეყანაში ან უკან დაბრუნდა საზღვარგარეთიდან და ცდილობენ იპოვონ თავიანთის ახალი როლი საქართველოს საბაზრო ეკონომიკაში. მიუხედავად ამისა კვალიფიცირებული მუშახელი საინჟინრო სფეროში კვლავ საჭიროებს განვითარებას. (US Department of State, 2015).

დასაქმების კანონი

2013 წელს ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან შემოსული მრავალრიცხოვანი საჩივრების პასუხად პარლამენტმა მთელი რიგი ცვლილებები შეიტანა შრომის კოდექსში: რეგულაციები დასაქმების კონტრაქტის შეჩერების და მასობრივ

დათხოვნაზე და გაზარდა სახელმწიფოს როლი კოლექტიური დავების გადაწყვეტის პროცესში. დაიხვეწა მიზეზები და საფუძველი შრომითი ურთიერთობების შეჩერებისათვის. კოდექსი განსაზღვრავს დასაქმებულისათვის კომპენსაციის გადახდას შრომითი ურთიერთობების შეჩერების მომენტისათვის და კომპენსაციის გადახდის ვადებს. დამსაქმებელი ვალდებულია გადაუხადოს დასაქმებულს მინიმუმ ერთი თვის ხელფასის ოდენობის კომპენსაცია 30 დღის განმავლობაში. ცვლილებების თანახმად, დამსაქმებელი ვალდებულია წერილობით ფორმაში აცნობოს გათავისუფლებულ დასაქმებულს შრომითი ურთიერთობების შეჩერების მიზეზები და საფუძველი 7 დღის განმავლობაში დაწყებული დღიდან, როდესაც აღნიშნულს მოითხოვს გათავისუფლებული დასაქმებული. შრომის კოდექსი ასევე განსაზღვრავს ზეგანაკვეთურისამუშაოს ანაზღაურებას (41 საათზე მეტი), რომელიც გაზრდილი საათობრივი ტარიფის მიხედვით უნდა იყოს ანაზღაურებული. (US Department of State, 2015).

შრომის განახლებული კოდექსი განსაზღვრავს დასაქმების კონტრაქტის ძირითად პირობებს: დასაქმების დაწყების თარიღი და ხანგრძლივობა, სამუშაო საათები და დასვენების და შვებულების დღეები, უქმე დღეები, სამუშაო ადგილის ადგილმდებარეობა, თანამდებობა და სამუშაოს ტიპი, ზეგანაკვეთური სამუშაო და მისი ანაზღაურება, ფასიანი და უფასო შვებულების ხანგრძლივობა, მივლინებები, შვებულების მიცემის წესები. დასაქმებულს აქვს 183 დღის დეკრეტული შვებულების უფლება, რომელიც შესაძლებელია გაიზარდოს 24 თვემდე უფასო შვებულებასთან გაერთიანების შემთხვევაში. შვებულება ორსულობის, მშობიარობის, ბავშვის მოვლის და ახალშობილის შვილად აყვანის გამო სახელმწიფოს მიერ სუბსიდირდება. დამსაქმებელმა და დასაქმებულმა შესაძლებელია მიაღწიონ შეთანხმებას დამატებითი კომპენსაციის შესახებ. შრომითი კოდექსის მიხედვით, დასაქმების კონტრაქტმა შესაძლოა ხელი შეუშალოს დასაქმებულს გამოიყენოს საკუთარი ცოდნა და კვალიფიკაცია, რომელიც შეიძინა სხვა დამსაქმებელთან მუშაობის დროს. აღნიშნული დებულება შესაძლებელია დარჩეს ძალაში შრომითი ურთიერთობების შეჩერების შემდეგაც. (US Department of State, 2015).

დამსაქმებლებს არ მოეთხოვებათ სოციალური გადასახადის გადახდა. ადრე არსებული 12%-იანი საშემოსავლო გადასახადი, რომელსაც დასაქმებული იხდიდა, და 20%-იანი სოციალური გადასახადი, რომელსაც დამსაქმებელი იხდიდა, გაერთიანდა ერთიან პერსონალურ საშემოსავლო გადასახადში 20%-ის ოდენობით 2009 წელში, გადაიტანა რა დამსაქმებლის საგადასახადო ტვირთი დასაქმებულზე. კანონმდებლობა მინიმალური ანაზღაურების შესახებ კერძო სექტორში არ შეცვლილა 1990 წლებიდან და შეადგენს 20 ლარს (10 აშშ დოლარს) თვეში, თუმცა არ გამოიყენება არც პრაქტიკაში და არც რეკომენდაციის სახით. (US Department of State, 2015).

თავისუფალი ინდუსტრიული ზონები

2007 წლის ივნისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ, რომლითაც განსაზღვრულია თავისუფალი ინდუსტრიული/ეკონომიკური ზონების ფორმები და ფუნქციები. ფინანსური ოპერაციების განხორციელება ამ ზონებში შესაძლებელია ნებისმიერ ვალუტაში. უცხოური კომპანიები, რომლებიც მუშაობენ თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში განთავისუფლებული არიან მოგების, ქონების გადასახადისგან და დღგ-გან. გაერთიანებული არაბეთის საემიროში

დაფუძნებულმა RAK საინვესტიციო კომპანიამ (Rakia) შეიძინა ფოთის პორტი 2008 წელს და დაიწყო თავისუფალი ინდუსტრიული ზონის განვითარება პორტთან მიმდებარე 300 ჰა მიწაზე. 2011 წელს Rakia-ამ მიიღო პორტის 80% APM ტერმინალს, რომელიც დაფუძნებულია ნიდერლანდებში და შეადგენს დანიურ A.P. Moller-Maersk ჯგუფის ნაწილს, მაგრამ დაიტოვა 100 საკუთრების უფლება ფოთის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაზე, ეს იყო პირველი შემთხვევა საქართველოსა და მთელს კავკასიის რეგიონში. საქართველოს მეორე თავისუფალი ინდუსტრიული ზონა არის ქუთაისში, 27 ჰა-ზე, სადაც ეგვიპტურმა კომპანიამ company Fresh Electric ააშენა სამზარეულოს აღჭურვილობის ქარხანა 2009 წელს. (US Department of State, 2015).

3. საქართველოს ტყეები

3.1 ფართობი და შემადგენლობა

საქართველოს აქვს დაახლოებით 2.8 მლნ ჰექტარი ტყე, რომელიც შეადგენს ქვეყნის ხმელეთით დაფარული ტერიტორიის 40%. 1.9 მლნ ჰა არის ეროვნული სატყეო სააგენტოს იურისდიქციის ქვეშ, 521 000 ჰა კი დაცული ტერიტორიების სააგენტოს, 153 000 ჰა - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სატყეო სამსახურის იურისდიქციის ქვეშაა. 369 000 ჰა, რომელიც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იურისდიქციის ქვეშ არის, არ ექვემდებარება საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების კონტროლს. 2015 წლის მონაცემებით, ზეზემდგომი ტყის მარაგი შეადგენდა 454 მლნ კუბ.მ-ს, წლიური ნამატი დაახლოებით 4 მლნ კუბ.მ-ს (Torchinava, 2015). შეიძლება ითქვას, რომ ეს მონაცემები არ არის ზუსტი, რადგანაც: საქართველოს ტყეების 85% ინვენტარიზაცია ჩატარებულია 15 და მეტი წლის წინ, მათ შორის 60% ინვენტარიზაცია ჩატარებულია 20 და მეტი წლის წინ. უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში განხორციელდა დიდი მოცულობის ხე-ტყის დამზადება შესაბამისი ნებართვის გარეშე ან საერთოდ უნებართვოდ, რაც შესაბამისად არ იქნა დაფიქსირებული. რაც შეეხება სახეობრივ შემადგენლობას, 2002 წლის ანგარიშის მიხედვით (მეტრეველი, 2002) (მას შემდგომ არ ყოფილა უკეთესი სტატისტიკური მასალა მოპოვებული) – წიფელს (*Fagus spp.*) უკავია ტყით დაფარული ტერიტორიის 48.5%, მუხას (*Quercus spp.*) - 10.2%, სოჭს (*Abies spp.*) - 8.4%, რცხილას (*Carpinus spp.*) - 6.6%, ნაძვს (*Picea spp.*) - 5.8%, ფიჭვს (*Pinus spp.*) 4.7%, მურყანს (*Alnus spp.*) - 3,2%, წაბლს (*Castanea sativa*) - 2.5%, სხვა სახეობებს კი - 10.1%.

3.2 ღირებულება

ხე-ტყის ბაზრის კვლევის ძირითად საგანს წარმოადგენს ხე-ტყე. დამზადებული ხე-ტყის მოცულობა და ღირებულება აღწერილია წინამდებარე ანგარიშის მე-5 ნაწილში. მერქანი წარმოადგენს საქართველოს ტყეების ბევრი სხვა მონეტიზირებული ღირებულებებიდან ერთ-ერთს: 2000 წელს განხორციელებული კვლევის - საქართველოს ტყეების „სრული ეკონომიკური შეფასების“ მიხედვით (არინ და სირი, 2000) მერქანს აქვს მთლიანი ღირებულების 50% (ცხრილი 3-1)

ცხრილი 3-1. ტყეების ფულადი ღირებულება (მლნ აშშ დოლარი)

ტყიდან მიღებული სარგებელი	წლიური სუფთა ღირებულება
პირდაპირი სარგებლობა	
მერქანი	12.00
სოკო	1.50
კაკლები	0.58
კენკრა და ველური ხილი	1.95
სამკურნალო მცენარეები	0.08
თესლები	0.44

ფურაჟი	3.75
ნადირობა და თევზჭერა	2.10
ტურიზმი და რეკრეაცია	2.25
სულ	24.75

ნახშირბადის სეკვესტრი და მდინარის აუზების დაცვა - განსაკუთრებით ეს უკანასკნელი, ძალზედ მნიშვნელოვანია საქართველოს ჰიდროენერგო სექტორისათვის, რომელსაც 2000 წელს განხორციელებულ სრულ ეკონომიკურ შეფასებაში გარკვეული წვლილი შეაქვს, ორივე მათგანი პოტენციურად მონეტიზირებულია.

საქართველოს მთლიანი ბიომედიდან ტყის ბიომი წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან ბიომს ბიომრავალფეროვნებისათვის (კავკასიის ბიომრავალფეროვნების საბჭო, 2012). ქვეყნის ტყეების 17.4% დაცულია ნაკრძალის, ეროვნული პარკის ან დაცული ტერიტორიების სხვა კატეგორიის თვალსაზრისით. დაცული ტერიტორიების საზღვრებს გარეთ არსებულ ტყეებს აქვთ ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის მნიშვნელოვანი ფუნქცია, რომელთა ფულად ღირებულებაში გარდაქმნა ძნელი იქნებოდა (გარდა არაპირდაპირი გზისა, მაგ. ეკოტურიზმის მეშვეობით მისი გაანგარიშება), მაგრამ ეს ღირებულება არ უნდა იყოს იგნორირებული.

3.3 ხე-ტყის მდგრადი დამზადების პოტენციალი

მონაცემების არარსებობის გამო შეუძლებელია ხე-ტყის მდგრადი დამზადების მოცულობების ზუსტი გაანგარიშება; სახეობებისა და სორტიმენტების მიხედვით სავარაუდო მოცულობების გამოყენების მცდელობა უაზრო იქნებოდა და საბოლოო შედეგი შეცდომაში შეგვიყვანდა. გარდა იმისა, რომ არ არსებობს ინვენტარიზაციის განახლებული მონაცემები, ასევე არ არსებობს სახეობების მიხედვით ჰექტარზე წლიური შემატების სანდო მონაცემები, საქართველოს ტყის ტიპებისათვის არ არის შედგენილი სასაქონლო ცხრილები და ასევე არ არსებობს ინფორმაცია ხნოვანების კლასების მიხედვით ტყეების განაწილების შესახებ (სადაც სავარაუდოდ გადაწონიდა ახალგაზრდა ხნოვანების კლასი. ასე რომ, საჭირო იქნებოდა როტაციის ხნოვანების გაზრდა იმისათვის, რომ ტყის ფონდში ადგილი ჰქონდეს ხნოვანების კლასების ნორმალურ გადანაწილებას)

ხე-ტყის მდგრადი დამზადების პოტენციალი ხშირად ითვლებოდა ინვენტარიზაციის ძველ მონაცემებზე და ძველ მენეჯმენტის გეგმაზე დაყრდნობით. ამ შემთხვევაში გამოყენებული იყო მოძველებული მონაცემები და ექსპერტების ცოდნა და გათვლები იმის შესახებ თუ როგორ ტყითსარგებლობას ჰქონდა ადგილი ამა თუ იმ კონკრეტული რეგიონის ტყეებში:

- 2013 წელს ინსტიტუციონალური განვითარების სტრატეგიის მომზადების მიზნით, ეროვნულმა სატყეო სააგენტომ გაიანგარიშა ხე-ტყის მდგრადი დამზადების მოცულობები, რომელიც შეადგენდა 1.090.000 კუბ.მ წელიწადში მთლიანი საქართველოსათვის, აფხაზეთის არ-ის გამოკლებით;
- 2015 წელს ეს Forest Europe მიაწოდა ინფორმაცია, რის თანახმადაც საექსპლუატაციო ტყეებში მთლიანი წლიური შემატება ტოლი იყო 0.94 მლნ მ3/წელი. წლიური

ნებადართული ჭრების მოცულობა არ უნდა იყოს სუფთა შემატებაზე უფრო მეტი, რომელიც უფრო ნაკლებია ვიდრე მთლიანი შემატება.

- 2016 წელს პოტენციური საშეშე ხე-ტყის მიწოდების კვლევისათვის, ეს გაიანგარიშა ხე-ტყის მდგრადი დამზადების მონაცემები მთავარი სარგებლობის ჭრებიდან ეს-ს იურისდიქციაში არსებულ ტერიტორიებზე და იგი შეადგენდა 288.000 კუბ.მ, საიდანაც საშეშე ხე-ტყე იყო - 128.500 კუბ.მ. და სამასალე მრგვალი მორი - 158.000 კუბ.მ.

GFA ასევე გაიანგარიშა ეს მოცულობები არსებული კვლევის მიზნებიდან გამომდინარე: თუ ვივარაუდებთ, რომ ხე-ტყის უსისტემო ჭრა ხორციელდებოდა უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში იმ დონეზე, რომელიც მითითებულია მე-5 ნაწილში, და მას მივუსადაგებთ 1990 წლის მარაგის მზარდი მოცულობის მაჩვენებლებს წლიური შემატების რეალურ მაჩვენებლებთან ერთად, ჩვენ მივიღებთ ხე-ტყის მდგრადი დამზადების მაქსიმალურ მონაცემებს - 600 000 კუბ.მ წელიწადში მთელი ქვეყნის მასშტაბით, აფხაზეთის არ-ის გამოკლებით.

ზემოთ მოცემული გაანგარიშებები საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან, რაც იმაზე მიუთითებს, რომ არ არის გონივრული გავაკეთოთ პროგნოზირება და რაც მთავარია არ შეიძლება პოლიტიკა ეფუძნებოდეს ამგვარ პროგნოზირებად ციფრებს, მანამ სანამ საქართველოს ტყეებში არ განხორციელდება ხელახალი ინვენტარიზაცია.

3.4 მმართველობისა და ტყითსარგებლობის ისტორია

3.4.1 მეფის რუსეთის პერიოდი

1801 წელს მეფის რუსეთის მიერ ქვეყნის ანექსიის შემდგომ, ტყეების სარგებლობა მიმდინარეობდა არაკონტროლირებულად, რომლის დროსაც არ იხილებოდა ტყეების რეგენერაცია (Metreveli, 2002), მიუხედავად ამისა მოსახლეობის მცირე ნაწილმა შეძლო ტყეზე მიყენებული ზიანის შერბილება (იმ დროისათვის ქვეყნის 60-65% წარმოადგენდა ტყით დაფარულ ტერიტორიას). 1830 წლებში დიდად იყო განვითარებული ხე-ტყით ვაჭრობა, ძირითად სახეობებს წარმოადგენდა მუხა, კაკალი, წაბლი და ბზა, რომელთა ექსპორტიც ხორციელდებოდა თურქეთში, ეგვიპტეში, საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებში; თუმცა შიდა ვაჭრობა ისევ მცირე მასშტაბებში მიმდინარეობდა. სწორედ ტყეების დაგეგმილ მართვას საფუძველი თავდაპირველად ბორჯომის ტყეებში ჩაეყარა, სადაც განხორციელდა ტყეების პირველი ინვენტარიზაცია 1854 წელს.

მე-19 საუკუნეში, საქართველოს ტყეები ეკუთვნოდა სახელმწიფოს, კერძო მიწათმფლობელებს, ეკლესიასა და მონასტრებს და ასევე სოფლებს (რომელიც ეკუთვნოდა ცალკეულ ოჯახებს, მაგრამ იქ იყო ტყით საერთო სარგებლობა). 1864-1871 წლებში, განხორციელდა გლეხთა რეფორმა, რომელმაც გაანთავისუფლა ყმები, მაგრამ კვლავ დაიცვა ფეოდალების ინტერესები. იმდროინდელი წესების თანახმად, გლეხებს შეეძლოთ ეყიდათ სატყეო მიწები (რაც საკმაოდ რთული აღმოჩნდა, რადგანაც გლეხების უმეტესობას ძალიან მწირი რესურსი გააჩნდა ტყის ან სასოფლო-სამეურნეომიწის საყიდლად). ამ მიზნით ძალიან მცირე რაოდენობის გლეხი გახდა ტყის მფლობელი (Metreveli, 2002).

3.4.2 კომუნისტური რუსეთისა და საბჭოთა კავშირის პერიოდი

1921 წელს კომუნისტური რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდგომ, ყველა ტყე გამოცხადდა სახელმწიფო საკუთრებად და დაიწყო დაგეგმილი ტყის მართვა, მათ შორის ტყის ინვენტარიზაცია, დაცვა და ტყის აღდგენა. ტყეებზე პასუხისმგებელ ორგანოდ გამოცხადდა სოფლის მეურნეობის სახალხო კომისარიატი. იმავე წელს, საკურორტო ტყეები გადაეცა ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატს. 1928 წელს საქართველოს საზოგადოებრივი კომისიის საბჭომ გამოაცხადა თერთმეტი სატყეო რაიონი სახელმწიფო პარკად, რომელთაგან ბევრი დღესაც ფუნქციონირებს (Metreveli, 2002).

საბჭოთა კავშირის პერიოდის პირველ დეკადაში ზეწოლა საქართველოს ტყის რესურსებზე სწრაფად გაიზარდა. კოლექტივიზაციის პერიოდში, ბარის ტყეების დიდი ფართობები გაიჩეხა და ამ ტერიტორიაზე გაშენდა ჩაი, ციტრუსი, ვენახი, კოლექტიური ფერმები. 1926-27 წლებიდან საგრძნობლად განვითარდა ხე-ტყის დამუშავების მრეწველობა. საბჭოთა კავშირის რეგულაციების შესაბამისად 1931 წელს ტყეები იყოფოდა სამრეწველო და კულტურულ ზონებად. საქართველოს ყველა ტყე, საკურორტო ტყეების გამოკლებით, მიეკუთვნებოდა სამრეწველო ტყეებს და იგი გადაეცა ტყის მრეწველობის სახალხო კომისარიატს. სამრეწველო ტყეების მიზანს წარმოადგენდა მრეწველობის უზრუნველყოფა ხე-ტყის რესურსით. მერქნის მოხმარების დონე მაღალი იყო, მაგრამ მისი ტრანსპორტირება წარმოადგენდა სირთულეს. ასე რომ, ხე-ტყის ჭრა ძირითადად იმ ტერიტორიებზე ხორციელდებოდა, რომლებიც ადვილად მისადგომი იყო. სამრეწველო მიზნებისათვის მოიჭრა დიდი ოდენობით ჯანმრთელი პროდუქტიული ხეები, ჭრის წესები უგულვებელყოფილი იყო და ხორციელდებოდა არასწორი შერჩევითი ჭრები; ამის შედეგად ტყის მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა. 1939 წელს ამუშავდა ენგურის ცელულოზურ-საქალაქ კომბინატი. მესამე 5 წლიანი გეგმის პერიოდში (1938-1942) დაიწყო ინტენსიური ჭრები სვანეთში, რაჭაში, ლეჩხუმსა და აჭარაში (და ბევრ სხვა ტერიტორიაზე, სადაც ადრე ხელუხლებელი ტყეები იყო). მეორე მსოფლიო ომის პერიოდში შეჩერდა ხე-ტყის მოწოდება საბჭოთა კავშირის დანარჩენი ტერიტორიებიდან და შესაბამისად გაიზარდა ზეწოლა საქართველოს ტყეებზე. (Metreveli, 2002).

1943 წელს საბჭოთა კავშირის მთავრობის მიერ მიღებულ იქნა პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო ტყეები დაიყო ჯგუფებად და კატეგორიებად. საქართველოს თითქმის ყველა ტყე (97.4%) კლასიფიცირებულ იქნა 1 ჯგუფის ტყეებად. ამ ჯგუფში ნიადაგდაცვითი, წყალდაცვითი, კლიმატის მარეგულირებელი და ესთეტიკური ღირებულების მქონე ტყეები წარმოადგენდნენ ძირითად პრიორიტეტს, სადაც დაუშვებელი იყო მთავარი სარგებლობის ჭრები. დარჩენილი 2.6% კლასიფიცირებულ იქნა 11 ჯგუფის ტყეებად (ე.წ. პროდუქტიულ-დაცვით ტყეები). ეს ყველა იყო ბარის ტყეები, სადაც აქცენტი კეთდებოდა ხე-ტყის დამზადებაზე, მაგრამ სადაც გარემოსდაცვითი მიზეზებით მკაცრად იყო გაწერილი რა ქმედებები იყო დასაშვები. ამ გადაწყვეტილებამ დიდი როლი ითამაშა საქართველოს ტყეების გაუმჯობესების საქმეში, მაგრამ საბჭოთა კავშირის დროინდელი რეგულაციების თანახმად კვლავ დასაშვები იყო 1 ჯგუფის ტყეებში ხე-ტყის ჭრა. 1965 წლამდე, მთავარი სარგებლობით დამზადებული ხე-ტყის მოცულობა უტოლდებოდა 1.6-2.0 მლნ კუბ.მ წელიწადში, როდესაც 1 ჯგუფის ტყეებში შეჩერდა საქართველოს ადგილობრივი ხელისუფლების დაჟინებული მოთხოვნის საფუძველზე (Metreveli, 2002).

1967 წელს, შემუშავებულ იქნა საქართველოსათვის ახალი ჭრის წესები, რათა შეზღუდულ ყოფილიყო ქვეყანაში ტყეზე მიყენებული აშკარა ზიანი. დაგეგმილი ჭრის მოცულობა შემცირდა 535.000 კუბ.მ-მდე, რომელიც შემდგომში კვლავ შემცირდა 200.000 კუბ.მეტრამდე. მთავარი სარგებლობით დამზადებული ხე-ტყის მოცულობები შემცირდა, ხოლო შუალედური ჭრით დამზადების მოცულობები კი გაიზარდა. სანიტარული ჭრით დამზადებული ხე-ტყის მოცულობა 1971 წელს 169.00 კუბ. მეტრიდან გაიზარდა 460.000 კუბ.მეტრამდე 1985 წელს. (Metreveli, 2002). 1970-1980 წლების პერიოდში ხე-ტყის დამზადების წლიური მონაცემი 1961 წლის დონესთან შედარებით შემცირდა 40%-ით. დამზადებული ხე-ტყის მოცულობები კიდევ უფრო შემცირდა 30% მდე 1980 წელს 1960 წელთან შედარებით (Metreveli, 2002).

3.4.3 დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომი პერიოდი

1991 წელს, მას შემდგომ რაც საქართველომ ხელახლა მოიპოვა დამოუკიდებლობა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, ხე-ტყის იმპორტი რუსეთიდან - რომელიც დამოუკიდებლობამდე 85% ტოლი იყო - შეჩერდა. ქართული საწარმოები მოულოდნელად მსოფლიო ბაზრის ფასების წინაშე აღმოჩნდნენ, რომელიც საკმაოდ მაღალი იყო ვიდრე საბჭოთა კავშირის დროინდელი ხელოვნურად დაბალი ფასები. ამავე დროს სწრაფად შემცირდა წიაღისეულის იმპორტი, რომელიც გამოყენებული იყო თერმული ელექტროსადგურების მიერ, ცენტრალიზებული სათბობი სადგურების მიერ, სახლების გასათბობად და საჭმლის მოსამზადებლად. მოსახლეობამ მიმართა ტყეს, როგორც საშუაზე ხე-ტყის მოპოვების წყაროს, ან თავიანთი საწარმოების უზრუნველსაყოფად, ან სხვა ქვეყანაში არსებული საწარმოების უზრუნველსაყოფად, რომლებიც საკუთარ მოგებაზე ორიენტირებული ოფიციალური პირების მფარველობის ქვეშ იყვნენ. ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით შეინიშნებოდა ხე-ტყის დამზადების მოცულობის შემცირება დამოუკიდებლობის წინა პერიოდთან, 1990 წელთან შედარებით. თუმცაღა რეალური სურათი ძალიან განსხვავებული იყო.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ გამოავლინა ბევრი ნაკლოვანებები სატყეო სექტორში, რომელმაც საჭირო გახადა სასწრაფო რეფორმების გატარება რათა დაწყებულიყო ეკონომიკურად, ეკოლოგიურად და სოციალურად მისაღები ტყის მართვის პროცესი. 1995 და 1997 წლებში გარკვეული ცვლილებები იქნა შეტანილი იმ პერიოდისათვის მოქმედ საბჭოთა ტყის კოდექსში, რათა რეგულირებული ყოფილიყო სახელმწიფო ტყის ფონდით სარგებლობა.

ახალი ტყის კოდექსი მიღებული იქნა 1999 წელს, მან საფუძველი ჩაუყარა სექტორში ინსტიტუციონალურ და პოლიტიკურ რეფორმებს და ჩამოაყალიბა საქართველოს ტყეებისა და სატყეო ინსტიტუციების ორგანიზაციის, მართვისა და დაფინანსების საკანონმდებლო ბაზა. მან შექმნა ჩარჩო სატყეო სექტორის რეორიენტაციისათვის ცენტრალური დაგეგმარებიდან ბაზარზე ორიენტაციისაკენ. ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ცვლილებას წარმოადგენდა ის, რომ ახალმა ტყის კოდექსის მიხედვით შესაძლებელი იყო

საზოგადოებისათვის ან კერძო პირისათვის გრძელვადიანი სარგებლობის უფლებით ტყეების გადაცემა, მაშინ როდესაც სატყეო მიწა კვლავ სახელმწიფო საკუთრებაში რჩებოდა.

ახალი ტყის კოდექსი და ქვეყნის პრეზიდენტის ოფიციალურად გაცხადებული ვალდებულება რეფორმების გატარების შესახებ წარმოადგენდა საფუძველს მსოფლიო ბანკის ინტერვენციისათვის. სატყეო სექტორის განვითარების პროექტი (2003-2008) 15 მლნ აშშ დოლარის სესხით მიზნად ისახავდა უკეთ ორგანიზებულ, უკეთ დაფინანსებულ და ეკონომიკურად უფრო პროდუქტიული სატყეო სექტორის ჩამოყალიბებას. თუმცა ვარდების რევოლუციის შემდგომ მთავრობის მიმართულების შეცვლამ გამოიწვია პროექტის შეწყვეტა. 2004 წელს სახელმწიფო სატყეო დეპარტამენტი - პრეზიდენტის ადმინისტრაციის ქვეშ - გარდაიქმნა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს იურისდიქციაში მყოფ დეპარტამენტად. მოგვიანებით დეპარტამენტი გადავიდა ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს იურისდიქციაში ბუნებრივი რესურსების მართვის სააგენტოდ.

2006 წელს ხე-ტყის დამზადების გრძელვადიანი ლიცენზიების შემოღებას მოჰყვა კერძო სექტორის ინვესტიციები ხე-ტყის დამზადებასა და გადამუშავებაში, მაგრამ ასევე გამოიწვია შეშფოთება ლიცენზიის მფლობელების მიერ განხორციელებული ქმედებების მავნე ზემოქმედებაზე ტყის ბიომრავალფეროვნებასა და წყალშემკრები აუზის დაცვის ფუნქციებზე და ასევე სოფლის მოსახლეობისათვის ტყის რესურსებზე წვდომის შეზღუდვაზე. ამ შეშფოთების მიზეზები დადასტურდა ახლახან გამოქვეყნებული სახელმწიფო სააუდიტორო მომსახურების ანგარიშით (State Audit Service of Georgia, 2016). 2011 წლის შემდგომ არ გაცემულა ახალი ლიცენზიები. GIZ ბიომრავალფეროვნების მდგრადი მართვის პირველი ფაზა - სამხრეთ კავკასიის პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული იყო ტექნიკური დახმარება, მაგრამ იგი არ განხორციელებულა მთავრობის მიერ ვალდებულების გაუცნობიერებლობის გამო. 2013 წლამდე იყო ეროვნული სატყეო პოლიტიკისა და სატყეო კანონის შემუშავების გარკვეული მცდელობები, თუმცა იგი მარცხით დამთავრდა.

უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. 2013 წლის მაისში სატყეო დარგი კვლავ დაუბრუნდა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს; ეროვნული სატყეო სააგენტო ჩამოყალიბდა როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი; შეიქმნა ახალი სატყეო პოლიტიკის სამსახური (იმავედროულად ხელახლა დაფუძნდა გარემოს დაცვის ინსპექცია, როგორც გარემოზე ზედამხედველობის დეპარტამენტი). 2013 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტმა მიიღო ეროვნული სატყეო კონცეფცია - საქართველოს პირველი ეროვნული სატყეო პოლიტიკა - რომელიც შემუშავდა დაინტერესებული მხარეების ფართო თანამონაწილეობით. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო და სატყეო სექტორს კიდევ ერთხელ გაუჩნდა მნიშვნელოვანი მხარდაჭერა დონორი საზოგადოებისაგან, მათ შორის გერმანიის მთავრობის მხრიდან GIZ საშუალებით, ევროკავშირის ევროპის სამეზობლო ინიციატივის სატყეო სექტორში კანონმდებლობის მართვის და ვაჭრობის პროექტისა და ავსტრიის განვითარების სააგენტოს სახით. სატყეო სექტორის რეფორმების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა რომლის მიზანია ეროვნული სატყეო კონცეფციის მიზნის მისაღწევად საჭირო კანონმდებლობის შემუშავება და სამთავრობო ორგანიზაციების უნარ-ჩვევების და შესაძლებლობების განვითარების სამართლებრივი უზრუნველყოფა მომზადების ფაზაშია. ახალი ტყის კანონი-სატყეო კოდექსი- მომზადების საბოლოო ეტაპზეა

და სამუშაოები დაწყებულია ახალი კანონქვემდებარე და ნორმატიული აქტების შესამუშავებლად. თუმცა ეს მხოლოდ დასაწყისია და კიდევ ბევრია გასაკეთებელი: ხეტყის დამზადების მაჩვენებელი ბევრად აღემატება მდგრადად მოპოვების დონეს და საჭიროა დამატებითი ადამიანური და ტექნიკური შესაძლებლობები და ფინანსური რესურსები ტყეების უკანონო ჭრებისაგან და ძოვებისაგან დასაცავად, რათა ჭრით გამოწვეული უარყოფითი ზიანი მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი, აღდგენილ იქნეს დეგრადირებული ტყის ფართობები, და უზრუნველყოფილი იყოს მოვლითი სამუშაოების ჩატარება შესაბამის დროში.

4. სამართლებრივი ბაზა

GFA შეისწავლა 13 სამართლებრივი აქტი, რომლებიც გარკვეულწილად არეგულირებენ და/ან მართავენ ხე-ტყის დამზადებას და მის განთავსებას ბაზარზე, რომლის მიზანიც იყო იმ არასავალდებულო მოთხოვნების, რომლებიც ზღუდავენ ხე-ტყის ბაზარზე გატანას:

4.1 შესაბამისი საკანონმდებლო აქტების მიმოხილვა

საკანონმდებლო აქტი	შესაბამისობა
ეროვნული სატყეო კონცეფცია. მიღებულია საქართველოს პარლამენტის N1742-ის გადაწყვეტილებით, 11 დეკემბერი 2013	კონცეფცია ფაქტობრივად წარმოადგენს საქართველოს სატყეო პოლიტიკას. მასში ჩამოყალიბებულია ტყის მართვის სახემდღვანელო პრინციპები, მიზნები, მათ შორის ხე-ტყის დამზადების და მრეწველობის მიმართულებით, და ასევე მოცემულია ამ მიზნის მისაღწევი ქმედებები.
ტყისკოდექსი. დამტკიცებულია 1999 წლის 22 ივნისს. No. 2124-III (არსებული სახით)	ტყის კოდექსი წარმოადგენს ტყითსარგებლობის სახელმძღვანელო ძირითად კანონს. მასში განსაზღვრულია ტყით სარგებლობის ის სახეები, რომლებიც შესაძლოა გამოყენებულ იქნეს საქართველოს ტყეებში (ეს შეეხება ხე-ტყის დამზადებას), ტყის კოდექსში ჩამოყალიბებულია უფლებებისა და პასუხისმგებლობების ზოგადი სისტემა, ტყითსარგებლობის ზოგადი წესები (წესები მოიცავენ ჭრის სახეებს რომლებიც შესაძლოა განხორციელდეს და ასევე შეზღუდვებს, თუ სად არის შესაძლებელი ჭრა და სად არა), და ეროვნულ სატყეო სააგენტოს (აჭარის ა.რ.-ში აჭარის სატყეო სააგენტოს) და დაცული ტერიტორიების სააგენტოს ანიჭებს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ტყეების მართვის უფლებას.
კანონი ტყის ფონდის მართვის შესახებ. დამტკიცებულია ივლისი 2010. No. 3345 (არსებული სახით)	განსაზღვრავს ეროვნული სატყეო სააგენტოს იურიდიულ სტატუსს, ფუნქციებსა და უფლებებს და არეგულირებს სახელმწიფო ტყეების მართვის გარკვეულ ასპექტებს, მათ შორის ტყით სარგებლობის უფლების მინიჭებას იმ ფართობებზე, რომლებიც ეროვნული სატყეო სააგენტოს იურისდიქციის ქვეშ იმყოფებიან.
ტყის აღრიცხვის, დაგეგმვისა და მონიტორინგის წესები. დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის დადგენილებით N 179, 17 ივლისი 2013. (არსებული სახით)	აყალიბებს ტყის ინვენტარიზაციის ჩატარების, მართვის გეგმის შედგენის და ტყის მართვის მონიტორინგის წესებს.

<p>ტყის მოვლისა და აღდგენის წესები. დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის დადგენილებით N 241, 13 აგვისტო 2010 (არსებული სახით)</p>	<p>განსაზღვრავს და აყალიბებს მოვლითი ჭრების ჩატარების წესებს.</p>
<p>ტყით სარგებლობის წესები. დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის დადგენილებით N 242, 20 აგვისტო 2010 (არსებული სახით)</p>	<p>დეტალურად აყალიბებს ტყითსარგებლობის უფლების მინიჭების წესებს, მათ შორის ხე-ტყის დამზადების საკითხში. არეგულირებს ხე-ტყეზე რესურს სარგებლობის გადასახადებს, არეგულირებს ტყეკაფის მარკირებას. აყალიბებს წესებს სოციალური ჭრებისათვის (სოციალური ხე-ტყის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ჭრები). აყალიბებს სხვადასხვა ტიპის „მთავარი სარგებლობის ჭრების“ ჩატარების წესებს (არ მოიცავს მოვლით ჭრებსა და გამოხშირვას, რომლებიც ასახულია ტყის მოვლისა და აღდგენის წესებში“). აყალიბებს ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ დამზადებული ხე-ტყის აუქციონზე გატანის ზოგად წესებს. განსაზღვრავს მომსახურეობის იმ სახეებს, რომლებიც უნდა უზრუნველყოს ეროვნულმა სატყეო სააგენტომ და ასევე იმ გადასახადებს, რაც გადახდილ უნდა ინეს ამ მომსახურეობის გაწევისათვის.</p>
<p>კანონი წითელი წიგნისა და წითელი ნუსხის შესახებ. დამტკიცებულია 6 ივნისი 2003. №2356–III (არსებული სახით)</p>	<p>აყალიბებს სამართლებრივ საფუძველს საქართველოს „წითელი ნუსხის“ იმ სახეობების შექმნისათვის, რომლებიც მოხსენიებულია ტყის კოდექსში, ტყითსარგებლობის წესებსა და სხვა ნორმატიულ აქტებში, როგორც შეზღუდული სახეობები ან ფაქტორები, რომლებიც გათვალისწინებულ უნდა იქნენ დაგეგმვისა და ტყითსარგებლობის დროს.</p>
<p>საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესებისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის(სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე. მიღებულია საქართველოს მთავრობის დადგენილებით N 46, 10 იანვარი 2014 (არსებული სახით)</p>	<p>აყალიბებს ხე-ტყის წარმოშობის სერტიფიკატების და პლასტიკური საიდენტიფიკაციო იარაღების სისტემას თითოეული მორისათვის და ასევე მათი გაცემისა და კონტროლის სისტემას.</p>
<p>კანონი ლიცენზიებსა და ნებართვების შესახებ. დამტკიცებულია 24 ივისი 2005. №1775-რს (არსებული სახით)</p>	<p>განსაზღვრავს იმ ოპერაციებს და გამოსაყენებელ ობიექტებს, რომლებიც ექვემდებარება ლიცენზირებას ან ნებართვას (იგულისხმება ტყეების გრძელვადიანი სარგებლობა ხე-ტყის დამზადების მიზნით).</p>

ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესები და პირობები. დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის დადგენილებით N 132 აგვისტო11, 2005 (არსებული სახით)	აყალიბებს ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესებსა და პროცედურებს.
საქართველოს კანონი “ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის გადასახადების შესახებ“ დეკემბერი 29, 2004. (არსებული სახით)	აყალიბებს გადასახადებს, რომლებიც გადახდილ უნდა იქნეს ხე-ტყის (და სხვა ბუნებრივი რესურსის) მოპოვებისათვის.
საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. მიღებულია 15 დეკემბერი 1984. N. 161-Xს (არსებული სახით)	არეგულირებს იმ უფლებებს, რომლებიც შესაძლოა მინიჭებულ იქნეს საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის (ეროვნული სატყეო სააგენტო ერთ-ერთი ამათაგანია).
ეროვნული სატყეო სააგენტოს წესდება. დამტკიცებულია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანებით N 25, 10 მაისი 2013. (არსებული სახით)	უფრო დეტალურად, ვიდრე განსაზღვრულია ზემოთ მოხსენიებულ ტყის ფონდის მართვის კანონში, განსაზღვრავს ეროვნული სატყეო სააგენტოს ფუნქციებს, უფლებებს და მის სტრუქტურას.

4.2 სატყეო პოლიტიკის პრიორიტეტები

ეროვნული სატყეო კონცეფცია წარმოადგენს საქართველოს დე-ფაქტო სატყეო პოლიტიკას. ეროვნული სატყეო პოლიტიკის მიზანია: *“ტყის მდგრადი მართვის სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოში ტყეების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას, ბიომრავალფეროვნების დაცვას, ტყეების ეკოლოგიური ფასეულობების გათვალისწინებით მათი ეკონომიკური პოტენციალის ეფექტიან გამოყენებას, ტყის მართვაში საზოგადოების მონაწილეობას და მიღებული სარგებლის სამართლიან გადანაწილებას.”*

ეროვნული სატყეო კონცეფცია აყალიბებს ხუთ „სახელმძღვანელო პრინციპს. მათგან ოთხი მათგანი არ არის საკამათო¹¹, მაგრამ მეხუთე პრინციპი - “ყველა ტყე არის ადგილობრივი” - ქმნის კონფლიქტს პოლიტიკაში. პრინციპი აყალიბებს (სხვა საკითხებთან ერთად), რომ „პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას“ და რომ “უზრუნველყოფილი უნდა იქნეს არაკომერციული მიზნით ტყეების ყველასთვის ხელმისაწვდომობა, მიუხედავად მათი მფლობელობის ფორმისა (სახელმწიფო, სათემო, კერძო)”. ეს პრინციპი არ შეესაბამება ეროვნული სატყეო კონცეფციის მთელ რიგ მიზნებსა და ქმედებებს: “ტყის მართვა უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს ამ ფუნქციებიდან საზოგადოებისათვის მაქსიმალური სარგებლის მიღებით”; “მრავალმიზნობრივი და ეფექტიანი ტყითსარგებლობის (მერქნული და არამერქნული რესურსი, ტურიზმი და რეკრეაცია, ნადირობა და თევზჭერა, სატყეო მიწების

¹¹ აღნიშნული ოთხი არასაკამათო პრინციპია: (i) ტყეები იმართება მდგრადი პრინციპების საფუძველზე (ეროვნულ სატყეო კონცეფციაში გამოყენებულია დეფინიცია „Forest Europe“ ტყის მდგრადი მართვის შესახებ); (ii) ე.წ. გამაფრთხილებელი პრინციპი; (iii) სტრატეგიის შემუშავების, მართვის და ზედამხედველობის ფუნქციები ერთმანეთისაგან გამიჯნული იქნება; (iv) სატყეო მუშაობა ქვეყნის მდგრადი განვითარების განუყოფელი ნაწილია.

სასოფლო სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება და სხვა) დაგეგმვა და განხორციელება მდგრადი ტყითსარგებლობის წინაპირობაა”, “გარემოსდაცვითი დატვირთვის ნორმებისა და სოციალური მოთხოვნები გათვალისწინებით ქვეყნის ეკონომიკაში ხე-ტყის დამზადებითა და გადამუშავებით მიღებული წილების გაზრდა ...”; “ქვეყნის ეკონომიკაში ხე-ტყის გადამუშავებით მიღებული წვლილის გაზრდის მიზნით სამოქმედო პროგრამის შემუშავება”.

4.3 ხე-ტყის სოციალური პროგრამა

ეროვნული სატყეო კონცეფციის პრინციპი რომელიც შეეხება ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ასახულია ტყის კოდექსსა და ტყითსარგებლობის წესებში, რომელიც ორიენტირებულია საშეშე და სამასალე ხე-ტყის სოფლის დარიბი მოსახლეობისათვის და ისეთი საჯარო ინსტრუქციებისათვის გადაცემის წესებსა და პროცედურებზე, როგორცაა სკოლები. სოციალური პროგრამის ფარგლებში ხე-ტყის მიმღებნი არ იხდიან ტყეკაფის მონიშვნისათვის გადასახადს და იხდიან ბუნებრივი რესურსით სარგებლობის გადასახადს, რომელიც უფრო დაბალია ვიდრე გამოყოფილი ხის კატეგორიისათვის სტანდარტული გადასახადი. რესურსით სარგებლობის შემცირებული გადასახადით გამოწვეულ ფინანსურ ზარალს ართულებს ის ფაქტი, რომ საშეშედ გამოყოფილი ხე-ტყის პროპორციულად დიდი ნაწილი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს სამასალე ხე-ტყედ. 2015 წელს დაახლოებით 600.000 კუბ.მ ხე-ტყე იქნა გამოყოფილი სოციალური პროგრამის ფარგლებში. მე-6 ნაწილში გაანგარიშებულია ამ პროგრამით გამოწვეული ფინანსური ზარალი.

4.4 ხე-ტყის დამზადების ორგანიზებასა და ბაზარში განთავსებაზე პასუხისმგებელი ორგანო

სოციალური პროგრამის ფარგლებში ხე-ტყის მიწოდება ხორციელდება იმგვარად, რომ ფუნქცია-მოვალეობები ხე-ტყის დამზადების ორგანიზებასა და მის ბაზარში განთავსებაზე განაწილებულია სხვადასხვა უწყებებს შორის. ეს საკითხი ილუსტრირებულია სურათზე 4-1. ეროვნულ სატყეო სააგენტოსა და აჭარის სატყეო სააგენტოს არ აქვთ უფლება განახორციელონ ან ორგანიზება გაუწიონ მთავარი სარგებლობის ჭრებს; ამის უფლება აქვთ მხოლოდ ლიცენზიის მფლობელებს. ეროვნულ სატყეო სააგენტოსა და აჭარის სატყეო სააგენტოს აქვთ უფლება აწარმოონ მოვლითი ჭრები, სპეციალური ჭრები და სოციალური ჭრები (რომელიც ხორციელდება მთავარი სარგებლობისა და მოვლითი ჭრების წესების შესაბამისად). თუმცა ეროვნულ სატყეო სააგენტოსა და აჭარის სატყეო სააგენტოს უფლებები მიიღონ გარკვეული შემოსავალი ხე-ტყის დამზადებიდან მნიშვნელოვნად შეზღუდულია.

სურათი 4-1. ჭრების ორგანიზებაზე პასუხისმგებელი ორგანო



ეროვნულ სატყეო სააგენტოს უფლებამოსილება აწარმოოს კომერციული აქტივობები ზოგადად შეზღუდულია სამოქალაქო კოდექსით. სამოქალაქო კოდექსის მუხლ 24 ჩამოყალიბებულია, რომ იურიდიული პირი, რომლის მიზანიცაა სამეწარმეო (კომერციული) საქმიანობა უნდა შეიქმნას საქართველოს მეწარმეობის შესახებ კანონის შესაბამისად და იურიდიული პირი, რომლის მიზანიც არის არასამეწარმეო საქმიანობა უნდა დარეგისტრირდეს სამოქალაქო კოდექსში მოცემული პროცედურების შესაბამისად. ეს დებულება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ ინტერპრეტირებულ იქნა იმგვარად, რომ ეროვნულ სატყეო სააგენტოს არ აქვს უფლება აწარმოოს მოგებაზე ორიენტირებული საქმიანობა, როგორცაა მთავარი სარგებლობის ჭრები (მიუხედავად იმისა, რომ მათ აქვთ უფლება აწარმოონ მოვლითი ჭრები, რომელიც გარკვეულ შემთხვევებში შესაძლებელია ასევე მოგების მომტანი იყოს). სამინისტროს ინტერპრეტაცია საკამათოა: სამოქალაქო კოდექსის მუხლი 25 ითვალისწინებს, რომ ეროვნული სატყეო სააგენტო, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი, უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომელიც დაეხმარება ეროვნულ სატყეო სააგენტოს მიზნების მიღწევაში. შესაძლებელია ეს იმგვარადაც იქნეს გაგებული, რომ ეროვნულ სატყეო სააგენტო უფლებამოსილია აწარმოოს ნებისმიერი სახის ჭრა, თუნდაც იგი მოგების მომტანი იყოს, რადგანაც ამ ჭრების განხორციელებით იგი ასრულებს ტყის მართვის ფუნქციებს.


თავის მხრივ ორგანიზაციების შეზღუდვები განახორციელონ სხვადასხვა სახეობის ჭრები, ზღუდავს ხე-ტყის გადამამუშავებელ კომპანიებსაც იქონიონ ხე-ტყეზე წვდომა. გამომდინარე იქიდან, რომ მხოლოდ ლიცენზიის მფლობელებს აქვთ უფლება აწარმოონ მთავარი სარგებლობის ჭრები, სამხერხაოების მეპატრონეები, რომლებთან არ აქვთ აღებული ლიცენზია ხე-ტყის დამზადებაზე ან არ არიან დაკავშირებულნი იმ კომპანიებთან, რომლებსაც მიღებული აქვთ ხე-ტყის დამზადების ლიცენზია, მოიპოვებენ მორებს მხოლოდ ლიცენზიის მფლობელებისაგან (რომელთა პრიორიტეტსაც შეადგენს საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ მხოლოდ მათთან ასოცირებული სახერხები) ან იმპორტის მეშვეობით. ამის

შედეგად საქართველოში ბევრი სახერხე განიცდის ხე-ტყის მოწოდების პრობლემას. სხვა ქვეყნებში სახელმწიფო სატყეო საწარმოებს ზოგადად აქვთ უფლებამოსილება გაყიდონ ხე-ტყე და განათავსონ იგი ბაზარზე იმ მოცულობითა და დროის იმ პერიოდში, რაც შეესაბამება მომხმარებლის საჭიროებას.

4.5 ხე-ტყის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის განაწილება

კანონმდებლობის მიხედვით სხვადასხვასა ხის ჭრიდან მიღებული შემოსავალი ნაწილდება სხვადასხვა ბენეფიციარზე. წესები ილუსტრირებულია სურათზე 4-2. უწყებები, რომლებიც მართავენ საქართველოს ტერიტორიის უმეტეს ნაწილს - ეროვნული სატყეო სააგენტო და აჭარის სატყეო სააგენტო - შემოსავალს იღებენ მხოლოდ სპეციალური ჭრებიდან, რომელიც ხორციელდება მართვის მიზნებიდან გამომდინარე (მაგ. ხის ჭრა იმ ადგილებზე სადაც სატყეო გზის მშენებლობა და ტყის მართვის მიზნებიდან გამომდინარე მშენებლობებია დაგეგმილი). იმ შემთხვევაშიც, კი თუ ხე-ტყის კომერციული მიზნით დამზადების უფლება მიეცემოდათ, ამის მოტივაცია მაინც არ არის.

სურათი 4-2. ხე-ტყის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის განაწილება



4.6 წესები და პროცედურები

კანონმდებლობით გათვალისწინებულია მთელი რიგი წესები და პროცედურები უკანონო ჭრების აღსაკვეთად (ხე-ტყის წარმოშობის სერთიფიკატი და ინდივიდუალური მორის მარკირება), აგრეთვე ტყის ბიომრავალფეროვნების და სხვა ღირებულებების დასაცავად (შეზღუდვები თუ სად და რა სახის ტყითსარგებლობა არის დასაშვები, თითოეული ტყეკაფის მარკირება). მიუხედავად იმისა, რომ მარეგულირებელი ღირებულებები საკმაოდ მაღალია, იგი მაინც გამართლებულია არსებული პირობებისათვის, რომლის დროსაც მდგრადი სატყეო მეურნეობის წარმართვის პრაქტიკა არ არის ფართოდ და სრულად

გაგებული ან პრიორიტეტული, და ასევე არ არსებობს სატყეო მეურნეობის სერტიფიცირების სქემა.

5. ტყის და ტყის პროდუქტების დამზადება, ვაჭრობა და მოხმარება საქართველოში

5.1 მერქნის ბალანსის ანალიზის კონცეფცია

წარმოდგენილი კვლევის მთავარ რაოდენობრივ ინსტრუმენტს, საქართველოს სატყეო სექტორის ანალიზთან მიმართებაში წარმოადგენს მერქნის ბალანსის ანალიზის კონცეფცია. მერქნის ბალანსის ანალიზი ხშირად გამოიყენება, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის მრეწველობის ანალიზისათვის. მაგალითისათვის, გერმანია მრავალი წელია იყენებს მერქნის ბალანსის ანალიზს (იხილეთ Knauf, 2015). თუმცა აღნიშნული კონცეფცია გამოიყენება ისეთ განვითარებად ქვეყნებშიც, როგორც არის ინდოეთი (მაგ. Madras School of Economics, 2009). მისი გამოყენება ასევე შესაძლებელია სატყეო სექტორის ცალკეული დარგების ანალიზისათვის, მაგალითად, ავეჯის წარმოებისათვის (მაგ. Nigel, 2014).

GFA-ს გუნდს ადრეც გამოუყენებია მერქნის ბალანსის ანალიზის კონცეფცია აშშ-ს, რუსეთის, კანადის, ინდოეთის, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის, ლათინური ამერიკის, აფრიკის, ჩინეთის და რიგი ევროპული ქვეყნების სატყეო სექტორის სტრატეგიული ანალიზის მიზნით.

კონცეფციის საფუძველს წარმოადგენს ხე-ტყის მოძრაობის ჯაჭვის საბალანსო სქემა, რომელიც იწყება მოჭრილი ხე-ტყის მოხვედრით ხე-ტყის პირველადი გადამამუშავების წარმოებაში. მეორე ეტაპზე პირველადი გადამამუშავებიდან მიღებული პროდუქცია გამოიყენება მერქნის მეორად გადამამუშავებაში. მეორადი გადამამუშავებიდან მიღებული პროდუქცია კი გამოიყენება მომხმარებლის მიერ სხვადასხვა ბაზარზე მისი შემენის შემდეგ. ეს არის მერქნის ბალანსის ანალიზის კონცეფციის ვერტიკალური ღერძი.

საბალანსო სქემებს შესაძლოა ასევე ჰქონდეთ ჰორიზონტალური მიმართულება. მაგ. მოჭრილი ხე-ტყე შესაძლებელია გამოყენებული იქნას პირველადი გადამამუშავების სხვადასხვა სახის ინდუსტრიაში, მაგალითად: სახერხებში, ფანერის, შპონის და ცელულოზის დამამზადებელ ფაბრიკებში, ენერჯის წარმოებაში. ჰორიზონტალური მიმართულება დაბალანსებული უნდა იყოს დამზადებული ხე-ტყის ვერტიკალურ მიმართულებასთან, რომლის დროსაც მოჭრილი ხე-ტყე მიემართება პირველადი გადამამუშავების სხვადასხვა წარმოებაში; სხვა სიტყვებით, სისტემა უნდა იქნას დაბალანსებული ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად მთელი პროცესის პერიოდში, დაწყებული ხე-ტყის დამზადებიდან სხვადასხვა ბაზრებზე მის საბოლოო მოხმარებამდე.

ეს ნიშნავს, რომ საუკეთესო შემთხვევაში ტყეში მოჭრილი ხე-ტყის მოცულობა უნდა შეესაბამებოდეს მოცულობებს, რომლებიც მოიხმარება მერქნის პირველადი გადამამუშავების მრეწველობაში, პირველადი მრეწველობიდან მიღებული პროდუქციის მოცულობა, კი უნდა შეესაბამებოდეს მოცულობას, რომელსაც მოიხმარს მეორადი გადამამუშავების მრეწველობა, და ბოლოს მეორადი მრეწველობის მიერ გამოშვებული პროდუქცია უნდა შეესაბამებოდეს მოცულობებს, რომლებიც წარმოდგენილია საბოლოო ბაზრებზე, აგრეთვე შემდგომში იმპორტისა და ექსპორტის გათვალისწინებით.

მერქნის ბალანსის ანალიზი ეფუძნება მონაცემებს, რომლებიც აღებულია მონაცემთა ბაზებიდან, კვლევებიდან და ანგარიშებიდან, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ინტერვიუებით არის გამყარებული.

მერქნის ბალანსის ანალიზის გამოყენებით შესაძლებელია მოხდეს დისბალანსის იდენტიფიცირება მოწოდებულ მონაცემებში. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ ქვეყნებში, სადაც მონაცემების ხარისხი არის დაბალი. ანალიზი, აგრეთვე აადვილებს დისბალანსის იდენტიფიცირებას სატყეო სექტორის სხვადასხვა კომპონენტებსა და სეგმენტებს შორის და ბოლოს, ანალიზი აადვილებს სტრუქტურული დისბალანსის იდენტიფიცირებას სექტორში და მცადრი პოლიტიკის გატარებაში.

5.2 ქართული მონაცემები

კვლევის ტექნიკური დავალების თანახმად, ჩვენ უნდა წარვადგინოთ ანგარიში 2014 წლის მონაცემებზე დაყრდნობით. მონაცემებზე წვდომა და მათი საიმედოობის ხარისხი საქართველოში არც თუ მაღალია: ადგილობრივი სააგენტოები აწოდებენ სხვადასხვა მაჩვენებლებს ერთსა და იმავე საკითხებზე სხვადასხვა ანგარიშებში; ადგილობრივ მონაცემთა ოფიციალურ ბაზებში სერიოზული უზუსტობებია; სხვადასხვა პუბლიკაციებში გამოყენებულია სხვადასხვა განმარტებები. როგორც აღინიშნა, ერთი-ერთი დავალება იყო წარგვედგინა ანგარიში 2014 საანგარიშო წლისათვის, მაგრამ ჩვენ აგრეთვე შევისწავლეთ ბოლო 10 წლის მონაცემებიც (ზოგ შემთხვევაში, მხოლოდ 7-8 წელი მონაცემებზე ხელმიუწვდომლობის გამო), რაც განპირობებული იყო სერიოზული და გაუგებარი გადაცდომებით ცალკეულ წლებს შორის.


ჩვენ ასევე გამოვიყენეთ მონაცემთა საერთაშორისო ბაზები და კვლევები. ძირითადად, ეს მონაცემები ეფუძნება ქართული სააგენტოების მიერ მიწოდებულ მონაცემებს; თუმცა, შესაძლებელია, რომ მონაცემებზე გავლენა მოახდინა უცხოური ორგანიზაციებიდან მოწოდებულმა სპეციალურმა კვლევებმა.

5.3 მერქნის ბალანსის შედეგები

5.3.1 ხე-ტყის დამზადება 2014 წელს

აღნიშნულ პარაგრაფში გთავაზობთ შედეგებს ხე-ტყის მოძრაობის ჯაჭვის თითოეულ რგოლზე, დაწყებული ტყიდან და დამთავრებული საბოლოო პროდუქციის მოხმარებით.

სურათი 5-1. სულ ხე-ტყის დამზადება 2014 წელს მლნმ³



შეფასების თანახმად 2014 წელს დამზადებული მერქნის მოცულობა 2.7-3.0 მილიონი მ³-ს ფარგლებშია (ჩანართი A). აღნიშნული ხე-ტყის ჭრის მოცულობა გაცილებით აღემატება ხე-ტყის მდგრადი დამზადების პოტენციური მოცულობის ყველაზე ოპტიმისტურ შეფასებასაც კი და შესაძლოა 5-ჯერ აღემატება დამზადების რეალურ მდგრად დონეს (იხილე სექცია 3.3).

ხე-ტყის ჭრები დაყოფილია კანონიერ ნაწილად 0.7 მილიონი მ³ (ჩანართი B), რომელიც შედგება 0.5 მილიონი მ³ საშეშე ხე-ტყისაგან (ჩანართი C) და 0.18 მილიონი მ³ საწარმოო მორებისაგან (ჩანართი D) და 0.02 მილიონი მ³ სხვა სამასალე მორებისაგან (ჩანართი E) (სამასალე მორები წარმოადგენენ მორებს, რომლებიც გამოიყენება პირველად სატყეო მრეწველობაში; სხვა სამასალე მორები წარმოადგენენ მორებს, რომლებიც ხე-ტყით სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში მიეყიდება სოფლად მაცხოვრებელ სოციალურად დაუცველ ოჯახებს საცხოვრებლის აშენების ან შეკეთების, ფერმების შენობების ან ღობეების მშენებლობის მიზნით, რაც უტოლდება სამასალე მორების დაახლოებით 10%-ზე მეტს). ნაწილი სხვა სამასალე მორებისა მათი ბენეფიციარი ოჯახების მხრიდან სამასალე მოხმარების მიზნით მიეყიდება გადამამუშავებლებს. თუმცა ჩვენთვის უცნობია ასეთი მორების მოცულობა.

როგორც აღინიშნა, არსებობს უკანონო ჭრების უზარმაზარი მოცულობები. შეფასების თანახმად, მთლიანი მოცულობა უკანონო ჭრებისა 2.0-2.3 მილიონი მ³-ს ფარგლებშია და შედგება 1.7-1.84 მილიონი მ³ საშეშე ხე-ტყისაგან და 0.3-0.48 მილიონი მ³ სამასალე მორებისაგან, რაც ნიშნავს, რომ დაახლოებით 75% მერქნის დამზადების მოცულობისა 2014 წელს მიჩნეულია უკანონოდ.

ოფიციალური მონაცემები უკანონოდ მოჭრილ ხე-ტყეზე ეფუძნება მონაცემებს, რომლებიც მოწოდებულია ეროვნული სატყეო სააგენტოს, საქსტატის, გაეროს ევროპის ეკონომიკური

კომისიის სატყეო მონაცემთა ბაზის საქართველოსათვის (UNECE), გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) და სატყეო მეურნეობის მონაცემთა ბაზის, ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციისათვის მიწოდებული მონაცემები 2016 წლის „სატყეო მეურნეობის მსოფლიო მიმოხილვის“ ანგარიშისათვის, და მონაცემები, მიწოდებული საქართველოს მიერ „ევროპის ტყეების“ 2016 წლის კითხვარისათვის. ინფორმაცია „სხვა სამასალე მორებზე“ მიღებულია ეროვნული სატყეო სააგენტოდან.

ხე-ტყის უკანონო ჭრის კომპონენტი უფრო კომპლექსურია. არსებობს უკანონო ჭრების ოფიციალური შეფასებები გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ეკოლოგიური ზედამხედველობის დეპარტამენტის ანგარიშებიდან (DES, 2016). ეს ანგარიშები მოიცავს საშუალოდ 2008-2015 წლებში სამასალე მორების უკანონო ჭრებს 8,600 მ³/წ მოცულობით, და 7,600 მ³/წ საშუალო ხე-ტყის უკანონო ჭრებს. პ. ტორჩინავას შედგენილი ანგარიშის მიხედვით (Torchinava, 2015) უკანონო ჭრების მთლიანმა მოცულობამ შეადგინა 35,000 მ³/წ. ყველასათვის, ვისაც შეხება აქვს საქართველოს სატყეო სექტორთან, კარგად არის ცნობილი ის ფაქტი, რომ ოფიციალური მონაცემები უკანონო ჭრების შესახებ, მხოლოდ მის მცირე ნაწილს ასახავს.

არსებობს მთელი რიგი კვლევებისა, სადაც არა ერთი მცდელობა იყო ჩატარებული შეფასებინათ უკანონო ჭრების რეალური მასშტაბი. რაციონალიზაციისა და ინსტიტუციონალური განვითარების კვლევების შეფასებით (RWA, 2003) 2002 წელს უკანონო ჭრები 2 მილიონ მ³/წ შეადგენს, საიდანაც 1.7 არის საშუალო ხე-ტყე და 0.3 მილიონი მ³- სამასალე მორები. Savcor-ის მიერ 2005 წელს (Savcor, 2005) განხორციელებული კვლევის მიხედვით, უკანონო ჭრებმა შეადგინა 1.7 მილიონი მ³/წ საშუალო ხე-ტყე და 0.48 მილიონი მ³/წ სამასალე ხე-ტყე. Helbig-მა (2016) და CENN-მა (2016) შეაფასეს მოხმარებული ხე-ტყის სრული მოცულობა საქართველოში - 2.36 მილიონი მ³/წ და 2.5 მილიონი მ³/წ შესაბამისად: თუ გამოვაკლებთ საშუალო ხე-ტყის კანონიერ ჭრებს, ვიღებთ საშუალო ხე-ტყის უკანონო ჭრებს მოცულობით 1.80 მილიონი მ³/წ.

შესაბამისად, ჩვენ განვსაზღვრეთ საშუალო ხე-ტყის უკანონო ჭრები 1.7-1.80 მილიონი მ³/წ -ს ფარგლებში, და სამასალე ხე-ტყის უკანონო ჭრები 0.30-0.48 მილიონი მ³/წ-ს ფარგლებში.

მონაცემთა უზუსტობების მიუხედავად, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ უკანონო ჭრები წარმოადგენს უზარმაზარ პრობლემას საქართველოს სატყეო სექტორისათვის და შეადგენს წლიური ჭრების სრული მოცულობის დაახლოებით 75%-ს. ჭრების აღნიშნული დონე შორს არის მდგრადიდან და მოკლე პერიოდის განმავლობაში გამოიწვევს არსებული ტყის რესურსის ამოწურვას.

სურათზე 5-1 მოცემული ჯამური ბალანსი დაიხვეწა და მიიღო ხე-ტყის დეტალური მოძრაობის სახე სურათზე 5-2, სადაც ასევე აღწერილია ხე-ტყის მოძრაობის ზოგიერთი სხვა ასპექტიც.

2014 წელს კანონიერად მოჭრილია - 0.7 მილიონი მ3 (მათ შორის სხვა სამასალე ხე-ტყე) და უკანონოდ მოჭრილი - 2.0-2.3 მილიონი მ3 (რიგი2, სურათი 5-2).

კანონიერად მოჭრილი ხე-ტყე შედგება 0.14 მილიონი მ³ წიწვოვანისაგან და 0.54 მილიონი მ³ ფოთლოვანი (რიგი 3, სურათი 5-2, ჩანართები D და E). ძირითადი ინფორმაცია სახეობების გავრცელების შესახებ მიღებულია გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიისა და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მონაცემთა ბაზებიდან საქართველოს სატყეო სექტორის შესახებ. გარდა მოჭრილი ხე-ტყისა, არსებობს ანგარიშები ხე-ტყის ჭრების შედეგად დარჩენილ დიდი მოცულობის ნარჩენებზე. World Experience Georgia-ს მონაცემებით (2014), 38-47 % მოჭრილი ხე-ტყისა ნარჩენების სახით რჩება ტყეში. ეს კანონიერი ჭრების საფუძველზე დაახლოებით 0.27-0.34 მილიონ მ³-ს უტოლდება.

ხე-ტყის უკანონო ჭრების მოცულობა ნაწილდება შემდეგნაირად: 0.54-0.60 მილიონი მ³/წ წიწვოვანებზე და 1.46-1.70 მილიონი მ³ ფოთლოვანებზე (რიგი 3, სურათი 5-2, ჩანართები G და H). სახეობების მიხედვით უკანონოდ მოჭრილი ხე-ტყის შესახებ ხელმისაწვდომი მონაცემები არ არსებობს; შესაბამისად, მისი გაანგარიშება ეფუძნება ორი სახეობის ჯგუფის წლიურ ნამატს. არ არსებობს ინფორმაცია ხე-ტყის უკანონო მოპოვების შედეგად ტყეში დარჩენილ ნარჩენებზეც.

რიგებში 4 და 5 სურათზე 5-2, სახეობების ჯგუფები დამატებით დაყოფილია ხის სორტიმენტების მიხედვით. ვერ მოხერხდა სახეობების მოიძიება კატეგორიისათვის „სხვა სამასალე ხე-ტყე“. ამიტომ, იგი წარმოდგენილია, როგორც წიწვოვანი და ფოთლოვანი ხე-ტყის ჯამი, მოცულობით - 0.02 მილიონი მ³/წ (ჩანართი I). თუმცა, 2000 წლების სტატისტიკის მიხედვით, UNECE-ს მონაცემთა ბაზაში ნაჩვენებია, რომ წიწვოვანი მასალისგან დამზადებული მორების მოცულობა მხოლოდ ოდნავ აღემატება ამ კატეგორიის 10%-ს. კანონიერად მოპოვებული წიწვოვანი ხე-ტყის მასალისათვის, სამასალე მორები შეადგენენ 0.08 მილიონ მ³ (ჩანართი J) და 0.06 მილიონი მ³-ს საშუალო ხე-ტყეს (ჩანართი O). შესაბამისი მაჩვენებლები კანონიერად მოპოვებული წიწვოვანი ხე-ტყის მასალისათვის არის 0.10 მილიონი მ³ სამასალე ხე-ტყე (ჩანართი K) და 0.44 მილიონი მ³ საშუალო ხე-ტყე (ჩანართი P).

როგორ ზემოთ ავღნიშნეთ, ტყეში რჩება დიდი მოცულობის ნარჩენები. ანგარიშში “ტყის მართვის სტანდარტები და ტყის მართვის პრაქტიკა საქართველოში” (Machavariani, 2010) ხაზგასმულია, რომ ხეების განივი ჭრებისათვის უკეთესი მონიშვნისა და მათი სორტიმენტებად უკეთესად დახარისხების პირობებში, ნარჩენების დაახლოებით 20% შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სამასალე და საშუალო მერქანად. ეს კი ნიშნავს დამატებით 0.05-0.07 მილიონი მ³/წ პოტენციალის შექმნას (ჩანართი L). ანალოგიურად, საშუალო გამოყენებული ხე-ტყე შეიცავს მინიმუმ იმავე მოცულობის მერქანს, რომელიც შესაძლებელია გამოყენებული იქნას სამრეწველო მიზნით. ხე-ტყის პოტენციური დამატებითი მოცულობა არ არის გათვალისწინებული ხე-ტყის მოძრაობის ჯაჭვის ფარგლებში გაანგარიშებულ ხე-ტყის ბალანსში.

უკანონოდ მოპოვებული ხე-ტყის მასალისთვის განაწილება ასეთია: წიწვოვანი - 0.08-0.12 მილიონი მ³ (ჩანართი M) სამასალე და 0.46-0.48 მილიონი მ³ საშუალო ხე-ტყე (ჩანართი Q).

ფოთლოვანისათვის - 0.22-0.35 მილიონი მ³ სამასალე (ჩანართი N) და 1.24-1.35 მილიონი მ³ საშუალო ხე-ტყე (ჩანართი R).

სორტიმენტების განაწილება სახეობების ჯგუფებისათვის კანონიერად მოჭრილი ხე-ტყისათვის ეფუძნება FAO-ს და UNECE-ს სატყეო მონაცემებს საქართველოსთვის. იგივე განაწილება გამოყენებული უკანონოდ მოჭრილი ხე-ტყისათვის.

5.3.2 პირველადი გადამუშავების მრეწველობის მერქნის ბალანსი – წიწვოვანი

მერქნის ბალანსი პირველადი გადამუშავების მრეწველობისათვის, სადაც მოიხმარება წიწვოვანი მასალა, წარმოდგენილია სურათზე 5-3. წყაროდ გამოყენებულია მონაცემები, რომლებიც წინამდებარე კვლევისათვის სპეციალურად არის მოწოდებული საქსტატის, საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის, FAO-ს მონაცემთა ბაზიდან საქართველოსათვის, UNECE-ს მონაცემთა ბაზიდან საქართველოს სატყეო სექტორის შესახებ, და FAO-ს მონაცემთა ბაზიდან „ტყის პროდუქტებით ვაჭრობის მონაცემები“.

პირველადი გადამუშავების მრეწველობის ხე-ტყის ბალანსის ანალიზისათვის არსებობს ორი მიდგომა. პირველი: მონაცემების გამოყენება ზემოთ მოცემული წყაროებიდან, რომელთა უმრავლესობა ეხება ხე-ტყის მოძრაობის ჯაჭვში არსებულ ძირითად კომპონენტებს, რომლებიც წარმოდგენილია პირველადი გადამუშავების მრეწველობაში. ამ შემთხვევაში, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მონაცემებში, რომელიც შეეხება ხე-ტყის მოძრაობის ჯაჭვის სხვადასხვა კომპონენტს, არის გარკვეული შესაბამისობა.

მეორე მიდგომა: ავიღოთ მოპოვებული სამასალე ხე-ტყე, რომელიც გაანგარიშებულია სურათზე 5-2 და ვივარაუდოთ, რომ მოპოვებული ყველა სამასალე მორი ხვდება ხე-ტყის მრეწველობაში და შემდეგ გამოვითვალოთ მრეწველობიდან მიღებული პროდუქცია, სადაც გამოვიყენებთ გადაყვანის კოეფიციენტს. მერქნის ბალანსისათვის (წიწვოვანი სამასალე მორები, პირველად მრეწველობაში), რომელიც გამოსახულია სურათზე 5-3, ჩვენ გამოვიყენებთ პირველი მიდგომას, რათა მაქსიმალურად აგვეცილებინა თავიდან გათვლილი შეფასებები (ამკარაა, რომ გაანგარიშებული შეფასებები, რომლის დროსაც გამოყენებულ იქნა გადაყვანის კოეფიციენტი არ იქნებოდა ზუსტი).

სურათზე 5-3, ჩანართ A-სთან „წიწვოვანი სამასალე მორები“, მოცემულია ციფრები. 2014 წლის ციფრი a) 65,300 მ³ არის საქართველოს ტყეებში მოპოვებული და ადგილობრივ მრეწველობაში გამოყენებული წიწვოვანი სამასალე მორების მოცულობა - მოხსენიებულია საშუალოდ სტატისტიკაში. ჩვენ ვხედავთ, რომ არის შეუსაბამობა, თუ შევადარებთ ანგარიშში მითითებულ ციფრებს სურათზე 5-2, რომელიც მიუთითებს, რომ ადგილობრივ მზადდება 80,000 მ³ წიწვოვანი სამასალე მორები. ამგვარად, 15,000 მ³ წიწვოვანი მორების „გაუჩინარდა“. ამის მიზეზი უცნობია. ეს შესაძლებელია იყოს სტატისტიკური შეცდომა, ან ეს მოცულობა - 15,000 მ³ არასოდეს არ ყოფილა მითითებული სტატისტიკის ანგარიშში (უკანონო ვაჭრობა).

იგივე ჯგუფში, ციფრი b) 40,700 მ³ სურათზე 5-3, წარმოადგენს ადგილზე მოპოვებული წიწვოვანი სამასალე მორების ხანგრძლივადიანი მოხმარების საშუალო მაჩვენებელს ბოლო

10 წლის განმავლობაში. განსხვავებას მასსა და 2014 წლის ციფრს - 65,300 მ³ - შორის არავითარი მნიშვნელობა არ გააჩნია.

ციფრი c) 2,300-5,300 მ³ აღებულია უკანონოდ მოჭრილი წიწვოვანი სამასალე ხე-ტყის, 2014 წლის ოფიციალური ანგარიშიდან. ეს ციფრები გაანგარიშებულია ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ეკოლოგიური ზედამხედველობის დეპარტამენტის ანგარიშებიდან არის მოწოდებული. არაოფიციალურ ანგარიშში მოცემული უკანონო ჭრები, ჩვენს ადრე განხილულ შეფასებაში შეადგენს - 80,000-120,000 მ³ წიწვოვან სამასალე მორებს .

რიგი 2 სურათზე 5-3, წარმოადგენს მცდელობას ასახოს წიწვოვანი სამასალე მორების (რომლებიც გამოიყენება წარმოებაში) რეალური მოხმარების მაჩვენებელი, ადგილზე დამზადებული და ნავაჭრი მოცულობების გათვალისწინებით. არის ორი სავაჭრო მონაცემი, რომლებიც მოცემულ რიგშია წარმოდგენილი. ერთი მათგანი ეფუძნება FAO-ს სავაჭრო მიმოქცევის მონაცემთა ბაზას, რომელიც დამუშავებულია საქართველოსთან ვაჭრობისათვის, რომლის შესახებაც ნახსენებია სხვა ქვეყნების ანგარიშები (ჩანართები B და F). მონაცემთა მეორე ჯგუფი ემყარება FAO-ს და UNECE-ს მონაცემთა ბაზებს საქართველოს სატყეო სექტორის შესახებ, და მონაცემებს, მოპოვებულს საქართველოს საბაჟო დეპარტამენტიდან (ჩანართები C და E). მონაცემთა ამ ორ ჯგუფს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებები არის სამასალე წიწვოვანი მორების ექსპორტის თვალსაზრისით. მეორე ჯგუფის მიხედვით, არ არსებობს ექსპორტი, ხოლო პირველი ჯგუფის მიხედვით 2014 წელს, ექსპორტი შეადგენს 15,500 მ³. ჩვენ გადავწყვიტეთ პირველი ჯგუფის გამოყენება იმის გამო, რომ შეგვიძლია აღმოვაჩინოთ მნიშვნელოვანი განსხვავებები იქ, რასაც საქართველო ანგარიშებში ითვლება როგორც ექსპორტად, ხოლო სხვა ქვეყნები თვლიან იმპორტად მაგ. იხილეთ GAIN (2010).

2014 წელს საქართველოში მოხმარებული წიწვოვანი სამასალე მორების დადგენილი მოცულობა (იმპორტის და ექსპორტის გათვალისწინებით) შეადგენს 82,500 მ³ (ჩანართი D). გრძელვადიანი საშუალო მაჩვენებელი (ბოლო 10 წელი) შეადგენს 63,400 მ³. თუ დავუმატებთ ოფიციალური ანგარიშების მონაცემებს უკანონო ჭრებზე, 2014 წლის შიდა მოხმარება იქნება 84,800-87,800 მ³. თუ ამის მაგივრად დავუმატებთ ჩვენ მიერ სავარაუდოდ შეფასებულ უკანონო ჭრებს, წიწვოვანი სამასალე მორების შიდა მოხმარება იქნება 162,500-202,500 მ³.

სურათზე 5-3 რიგი 3, წარმოადგენს ანგარიშს სამრეწველო წარმოებაზე წიწვოვანი სამასალე მორების მოხმარებით. სტატისტიკის თანახმად, წიწვოვანი ფანერის ფურცლების წარმოება საქართველოში არ არის (ფანერი მხოლოდ ფოთლოვანი მორებიდან იწარმოება), ამიტომ, ყველა სამასალე მორი სამხერხაოებში და მერქნის წარმოებაზე უნდა წავიდეს. 2014 წლის ანგარიშებიდან ჩანს რომ, დამზადებული წიწვოვანი ხე-ტყის მოცულობამ 12,900 მ³ შეადგინა (ჩანართი H), რაც მნიშვნელოვნად დაბალია ვიდრე გრძელვადიანი საშუალო მაჩვენებელი 26,800 მ³. წყაროები: GEOSTAT, FAO და UNECE-ს მონაცემთა ბაზები საქართველოს სატყეო სექტორის შესახებ.

ახლა ჩვენ შეგვიძლია დავადგინოთ, არის თუ არა ჯერჯერობით ლოგიკური პირველადი სამრეწველო მერქნის ბალანსი წიწვოვანი მასალისათვის. თუ ავიღებთ სამხერხაოების გამომუშავებას, დადგინდება მოხმარებული მორების მოცულობაც. Savcor-ის (2005) ანგარიშის მიხედვით, სახერხ მრეწველობაში გამოსავლიანობა 44-56%-ია შემოსული

მორების მოცულობისა. თუმცა, სამხერხაოებთან პირად საუბრებში ისინი საშუალო გამოსავლიანობას 75%-ს დონეზე ასახელებენ. ჩვენ ამ ციფრს ეჭვქვეშ ვაყენებთ, რადგან არსად მსოფლიოში რეალურად არ შეგვხვედრია ასეთი მოცულობის გამოსავლიანობა.

თუ გამოვიყენებთ გამოსავლიანობის მაჩვენებლებს Savcor-ის მიხედვით (2005), 12,900 მ³ მოცულობის დახერხილი მასალისათვისვის სავარაუდოდ საჭიროა, დაახლოებით 23,000-29,500 მ³-ს მოცულობის ხე-ტყე (თუ გამოვიყენებთ ჩვენი საუბრების შედეგებს დარგის წარმომადგენლებთან, სამხერხაოებში შეტანილი ხე-ტყე სადღაც 17 000 მ³-ს შეადგენს). თუ ამას შევადარებთ არსებულ სტატისტიკურ მონაცემებს სამასალე წიწვოვან მორებზე, რომლებიც მოხვდნენ შიდა ბაზარზე 2014 წელს 82 500 მ³-ს მოცულობით, შევძლებთ დავასკვნათ, რომ გვაქვს უზარმაზარი უზუსტობები: ან დავკარგეთ შიდა ბაზარზე 53-59,000 მ³ წიწვოვანი მორებია, ან რეალური გადამუშავება წიწვოვანი მასალისა 2014 წელს შეადგენდა 36-46 000 მ³ ნაცვლად 12 900 მ³: შესაბამისად, 23-33,000მ³-ით მეტს, ვიდრე სტატისტიკურ ანგარიშებში.

როგორ შეიძლება იყოს ასეთი დიდი განსხვავებები? შესაძლებელია იყოს სტატისტიკური შეცდომები ანგარიშებში მოცემულ მონაცემებში. შესაძლოა ხდებოდა მორების უკანონო ექსპორტი. შესაძლებელია, ადგილი ჰქონდა, დოკუმენტების გარეშე მორების სამხერხაოებში ტრანსპორტირებას (აქ ალბათ უნდა აღინიშნოს, რომ დაახლოებით ნახევარი არსებული სამხერხაოებისა, რაც ქვეყნის დასახერხი პოტენციალის მინიმუმ 35%-ს შეადგენს, უკანონოდ მუშაობს და სახელმწიფოს არანაირ ანგარიშებს არ აწვდიან თავიანთ საქმიანობაზე). დიდი ალბათობით, აღნიშნული ცდომილებები ჩამოთვლილი ფაქტორების კომბინაციით არის განპირობებული.

რიგი 4 სურათზე 5-3, ასახავს წიწვოვანი ხე-ტყით ვაჭრობას. ჩვენ გამოვიყენეთ FAO-ს მიერ მოწოდებული სავაჭრო და არა სამრეწველო მონაცემები, იგივე FAO-დან, UNECE-დან და საბაჟო დეპარტამენტიდან. მიზეზი იგივეა, რაც ადრე იყო: ქართული სტატისტიკა ვაჭრობას სრულად არ ასახავს. USDA - უცხოური სოფლის მეურნეობის მომსახურების გლობალური სასოფლო-სამეურნეო საინფორმაციო ქსელის (GAIN, 2010) შეფასებით, საქართველოს ანგარიშების მიხედვით, ქვეყნის დახერხილი მერქნის მთლიანი ექსპორტი ყველა ქვეყანაში შეესაბამება დახერხილი მერქნის იმპორტის მხოლოდ დაახლოებით 50%-ს, რომელიც განახორციელა მხოლოდ ერთმა ქვეყანამ - თურქეთმა საქართველოდან 2008 -2009 წლებში.

რიგი 5 სურათზე 5-3, გვიჩვენებს 2014 წელს დახერხილი წიწვოვანი მასალის შიდა მოხმარებას - 17,700 მ³, რაც მიახლოებულია სტატისტიკურ საშუალო გრძელვადიან მაჩვენებელთან. წარმოდგენილი ციფრი მიღებულია ხელმისაწვდომი სტატისტიკური მონაცემებიდან. რეალურად, გამოდის, რომ მერქნის მოძრაობის ჯაჭვში მოხმარება გაცილებით მაღალია არსებული უკანონო საქმიანობის გამო, მაგრამ რამდენად - ჩვენ ეს არ ვიცით. შესაძლოა დახერხილი წიწვოვანი მასალისათვის არსებობდეს არაოფიციალური შიდა და საექსპორტო ბაზრები.

ჩვენ ასევე ჩავატარეთ მერქნის ბალანსი ზემოთ აღნიშნულ მეორე მიდგომის გამოყენებით. ამოსავალ წერტილად ავიღეთ კანონიერად მოპოვებული სამასალე წიწვოვანი მორების მოცულობა, სურათი 5-2. ამ შემთხვევაში განსხვავებები ბალანსში უარესია, თუ შევადარებთ

და გამოვიყენებთ აქ მოცემულ სტატისტიკურ მონაცემებს, რომელიც ხელმისაწვდომია ყველასათვის.

შიდილება დავასკვნათ, რომ წიწვოვანი პირველადი გადამუშავების მერქნის ბალანსი შორს არის „დაბალანსებული“ მდგომარეობიდან. მიზეზები შესაძლოა იყოს არასტაბილური სტატისტიკური მონაცემები და მნიშვნელოვანი უკანონო საქმიანობა მოპოვებული მორების და დახერხილი ტყის მასალის ბაზრისაკენ მიმავალ ჯაჭვში.

5.3.3 მერქნის ბალანსი სამრეწველო პირველადი გადამუშავებაში - ფოთლოვანი

როდესაც ვადგენდით საწყის ხე-ტყის ბალანსს ფოთლოვანი ხე-ტყის პირველადი წარმოებისათვის, მონაცემებში აღმოვაჩინეთ სერიოზული პრობლემები. ლაპარაკია ჩვენს პირველ მიდგომაზე, რომელიც მერქნის ბალანსისათვის ხელმისაწვდომი სტატისტიკის გამოყენებას გულისხმობს. ანგარიშებში არსებული მოცულობა ფოთლოვანი მორებისა, რომლებიც ხელმისაწვდომი იყო შიდა ბაზრისათვის 2014 წელს, იყო გაცილებით დაბალი ვიდრე გრძელვადიანი საშუალო (ბოლო 10 წელი). შემოტანილი მორების მოცულობა დაახლოებით 35 %-ს შეადგენდა, რაც დახერხილი მერქნის გამოსავლიანობაზე მცირეა. ამიტომაც, ჩვენ ვივარაუდეთ სერიოზული სტატისტიკური შეცდომა მოწოდებულ ციფრებში ფოთლოვანი სამასალე მორებისათვის, რომლებიც ხელმისაწვდომი იყო შიდა სამრეწველო გადამუშავებისათვის.

ამ მიზეზის გამო ჩვენ ავირჩიეთ მეორე მიდგომა და ამოსავალ წერტილად ავიღეთ 100,000 მ³ კანონიერად მოპოვებული ფოთლოვანი მორების მოცულობა, როგორც არის სურათზე 5-2 და გავთვალეთ შემდგომი ნაბიჯები მერქნის ბალანსის დასადგენად სახერხების გამოსავლიანობის საფუძველზე. მერქნის ბალანსი ფოთლოვანი ხე-ტყის პირველადი მრეწველობისათვის, აღნიშნული მიდგომის საფუძველზე მოცემულია სურათზე 5-4. ძირითადი წყაროები, რომლებიც გამოვიყენეთ ფოთლოვანების პირველადი მრეწველობის მერქნის ბალანსის ანალიზისათვის იგივეა, რაც წიწვოვანი სამრეწველო ხე-ტყის შესაბამისი ანალიზისათვის. ტექსტი ჩარჩოში „ფოთლოვანი სამასალე მორები“ განმარტებულია ისევე, როგორც წიწვოვანი სამასალე მორებისათვის.


რიგში 2 სურათზე 5-4, ჩვენ ვადგენთ, რომ ფოთლოვანი სამასალე მორების მოცულობა, შიდა ბაზარზე კანონიერად შეადგენს: 90,900 მ³ 2014 წელს (ჩანართი D), იმპორტისა და ექსპორტის გათვალისწინებით. ვაჭრობისათვის გამოვიყენეთ FAO-ს სავაჭრო მონაცემები იმ მიზეზების გამო, რომლებზეც უკვე ვისაუბრეთ სექციაში წიწვოვანი მერქნის ბალანსის შესახებ. თუ დავამატებთ ოფიციალური ანგარიშებიდან უკანონო ჭრის ციფრებს (სამინისტროს ეკოლოგიური ზედამხედველობის დეპარტამენტი), მივიღებთ ფოთლოვანი სამასალე მორებს - 97,200-104,500 მ³ მოცულობით (ჩანართი D, მე-4 რიგში), რომლებიც ხელმისაწვდომი იყო დარგისათვის 2014 წელს. თუ ამის ნაცვლად დავამატებთ ჩვენ შეფასებას უკანონოდ მოჭრილი მორებისა, გამოდის რომ ხელმისაწვდომობამ დარგისათვის შეადგინა 340,900-440,900 მ³ (ჩანართი D, მე-5 რიგში).

რიგში 3 სურათზე 5-4, როგორც ჩვენთვის სტატისტიკური წყაროებიდან არის ცნობილი, არსებობს სავარაუდო წარმოება 5,000 მ³ ფანერის ფურცლებისა (ჩანართი H). გამოსავლიანობის საფუძველზე, Savcor-ს მიხედვით (2005) ჩვენ ვადგენთ მორების


მოხმარების დონეს ფანერის წარმოებისათვის - 8,300 მ³. ეს მორები აკლდება 90,900 მ³-ს, რომლებიც ხელმისაწვდომია სამრეწველო გამოყენებისათვის, რათა შევავსოთ მორების შეტანა სამხერხაოებში, რაც უდრის 82,600 მ³ ფოთლოვანი სამასალე მორი (ჩანართი D). გამოსავლიანობის საფუძველზე Savcor-ის მიხედვით (2005), ჩვენ ვაღწევთ დახერხილი მერქნის წარმოებას კანონიერი მასალით - 36,300-46,300 მ³ 2014 წელს (ჩანართი I). საშუალოდ გამოდის 41,300 მ³, რომელიც შეიძლება შევადაროთ 40,000 მ³-ს, რაც მოცემულია ზემოთ მოყვანილი წყაროების სტატისტიკურ ანგარიშებში. ანგარიში ასევე შეიცავს ფანერის ფურცლების ექსპორტს - 300 მ³ (ჩანართი G), რაც გვამღებს ფანერის ფურცლების შიდა მოხმარების დონეს: 4,700 მ³ 2014 წელს.

რიგში 4 სურათზე 5-4, შეფასებულია დახერხილი ფოთლოვანი ხე-ტყით ვაჭრობა. ეს ეფუძნება ხელმისაწვდომ სტატისტიკურ მონაცემებს. თუ გამოვიყენებთ FAO-ს სავაჭრო დინებების მონაცემთა ბაზას (ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო) დახერხილი მერქნის გაანგარიშებულ მოცულობასთან ერთად, შევძლებთ შევავსოთ დახერხილი ფოთლოვანი მერქნის მოხმარება: 8,900 მ³ 2014 წელს (ჩანართი N), რაც შეიძლება შევადაროთ მონაცემს - 8,000 მ³, სტატისტიკური ინფორმაციაზე დაყრდნობი.


შეიძლება დავასკვნათ, რომ მერქნის ბალანსი პირველადი ფოთლოვანი სატყეო მრეწველობისათვის საკმაოდ კარგად არის დაბალანსებული წიწვოვან ხე-ტყის ბალანსთან შედარებით. ასევე შესაძლოა დავასკვნათ, რომ ოფიციალურად წარმოდგენილი მონაცემები შეიცავს სერიოზულ ცდომილებას ფოთლოვანი სამასალე მორების მოცულობის შესახებ, რომლებიც ხელმისაწვდომი იყო შიდა მრეწველობისათვის 2014 წელს. გაანგარიშებული ხე-ტყის ბალანსი კარგად შეესაბამება ხე-ტყის იმ ბალანსს ყველა კომპონენტებისათვის, რომელიც მოცემულია ოფიციალურ ანგარიშებში (გარდა მონაცემებისა, რომელიც შეეხება შიდა მრეწველობისათვის ხელმისაწვდომ მორებს). თუმცა, რჩება სერიოზული შეკითხვები იმის თაობაზე, თუ რეალურად რა გავლენას ახდენს უკანონო პრაქტიკა ხე-ტყის ბალანსზე.



სურათი 5-3. პირველადი გადამუშავება - წიწვოვანი



სურათი 5-4. პირველადი გადამუშავება - ფოთლოვანი სამასალე ხე-ტყე



5.3.4 მერქნის ბალანსი ხე-ტყის მეორადი მრეწველობისათვის


შემდეგი ნაბიჯი ხე-ტყის საერთო ბალანსის დადგენის პროცესში მეორადი მრეწველობის სიმერქნის ბალანსია, რომელიც ასახულია სურათზე 5-5.

სურათზე 5-3 და სურათზე 5-4, ჩვენ ვხედავთ, რომ დახერხილი მერქნის მოხმარება ხე-ტყის მეორად მრეწველობაში 2014 წელს შეადგენდა 26,600 მ³, სადაც 17,700 მ³ იყო წიწვოვანი (სურთი 5-3, ჩანართი N), ხოლო 8,900 მ³- ფოთლოვანი დახერხილი ხე-ტყე (სურათი 5-4, ჩანართი O). ეს ციფრები წარმოდგენილია 1 და 2 რიგში, სურათზე სურათი 5-5.

საქსტატიდან მიღებული მონაცემებისა და ხე-ტყის გადამუშავების დარგის წარმომადგენლებთან ჩვენი საუბრების შედეგად, ჩვენ დავინგარიშეთ დახერხილი მერქნის მოხმარების განაწილება მეორადი გადამუშავების მრეწველობაში. მე-3 რიგში, სურათზე სურათი 5-5 ვხედავთ, რომ სამშენებლო სექტორში 2014 წელს გამოყენებული იყო 14,200 მ³ წიწვოვანი დახერხილი ხე-ტყე, ხოლო ხე-ტყის გადამამუშავებელ მრეწველობაში - 3,500მ³. შესაბამისი ციფრები ფოთლოვანი მეორადი მრეწველობისათვის შემდეგია: 1000 მ³ და 7 900 მ³ შესაბამისად.

შეიძლება დავასკვნათ, რომ წიწვოვანი დახერხილი მერქნის უმეტეს ნაწილს მოიხმარს სამშენებლო სექტორი, ხოლო ფოთლოვანის უმეტეს ნაწილს, კი ხე-ტყის გადამამუშავების მრეწველობა. შედეგი, რომელიც დადასტურდა ჩვენს საუბრებში ხე-ტყის დამამუშავების დარგის წარმომადგენლებთან.

სურათი 5-5. დახერხილი მერქნის შიდა მოხმარება (მ³) მეორად მრეწველობაში 2014 წელს.



5.3.5 მერქნის ბალანსი ხე-ტყის გადამამუშავების მრეწველობის ქვე-სექტორებში.

ჩვენ მიზანს წარმოადგენდა დაგვედგინა მმერქნის ბალანსი ხე-ტყის გადამამუშავებელი მრეწველობის ქვე-სექტორებში, რადგანაც ეს ჩვენ დაგვეხმარებოდა შემდგომ ეკონომიკურ ანალიზში. აღნიშნული კვლევისათვის სპეციალურად მოვიძიეთ მონაცემები საქსტატისაგან ქვე-

სექტორების შესახებ და დიდი დრო დავუთმეთ მცდელობებს დაგვეანგარიშებინა დახერხილი მერქნის მოხმარება შემდეგი კატეგორიებისათვის: “მერქნისგან დამზადებული ტარა”, “სადურგლო”, და “იატაკის აუწყობელი პანელები”. ჩვენ მხოლოდ ის დავასკვენით, რომ მოწოდებულ ინფორმაციას ძალიან ბევრი მონაცემი აკლია; ამიტომაც, აღნიშნული გათვლების ჩატარება შეუძლებელი გახდა.

5.3.6 დახერხილი მერქნით ვაჭრობის კომპონენტის ბალანსი ხე-ტყის გადამუშავების მრეწველობაში

ჩვენ მოვახერხეთ დაგვედგინა დახერხილი მერქნით ვაჭრობის კომპონენტი ხე-ტყის გადამუშავების ქვე-სექტორებში. საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის მიერ მოწოდებული სავაჭრო მონაცემების საფუძველზე მივიღეთ ტონებში გამოხატული ვაჭრობის მოცულობები კატეგორიებისათვის: “მერქნისგან დამზადებული ტარა”, “სადურგლო”, და “იატაკის აუწყობელი პანელები”. ჩვენი ხე-ტყის გადამუშავების დარგის წარმომადგენლებთან საუბრების შედეგად დავადგინეთ, რომ ხე-ტყის გადამუშავების მრეწველობაში მოიხმარება მხოლოდ დაახლოებით 20% დახერხილი ხე-ტყე, შემდეგი გადანაწილებით: 30% წიწვოვანი, ხოლო 70% - ფოთლოვანი. დანარჩენი ნედლეული მოიცავს მერქან-ბურბუშელის ფილებს, ფანერას, OSB-ს (ორიენტირებული მსხვილი ბურბუშელის ფილები) და MDF-ს (საშუალო სიმკვრივის ბოჭკოვანი ფიბროლიტი), რაც არ მზადდება საქართველოში და შემოდის მხოლოდ იმპორტის სახით (გამონაკლისს მხოლოდ გარკვეული რაოდენობის ფანერის წარმოება წარმოადგენს). აღნიშნული ნედლეულის ყველა სახეობას (მათ შორის დახერხილი ხე-ტყე) სხვადასხვა სიმკვრივე გააჩნია, რომელიც გასათვალისწინებელია კუბურ მეტრებში გადაყვანისას (ჩვენ მოვიძიეთ ეს სიმკვრივეები აღნიშნული პროდუქტების სავაჭრო სტანდარტებში). აგრეთვე გვჭირდება ვიცოდეთ, სხვადასხვა ნედლეულის პროპორციები სხვადასხვა პროდუქტებში; ჩვენ მოვიძიეთ ეს ინფორმაცია ლინკოპინგის უნივერსიტეტიდან, შვედეთი¹². დახერხილი მერქნის მთლიანი მოხმარების დასადგენად, უნდა გავითვალისწინოთ ხის მასალის დანაკარგები ხე-ტყის გადამუშავების მრეწველობაში. აღნიშნული ინფორმაციაც ლინკოპინგის უნივერსიტეტიდან (შვედეთი) მოვიძიეთ¹³ (20% დანაკარგი მერქნისგან დამზადებული ტარაში, 40% - სადურგლოში და 30% -იატაკის აუწყობელ პანელებში). გამოთვლები იხილეთ სურათზე 5-6.

¹²დოქტორ ტომას მორდის სამეცნიერო მონაცემთა ბაზიდან, ხე-ტყის გადამუშავების მრეწველობაში, ლინკოპინგის უნივერსიტეტი, შვედეთი.

¹³იგივე ზემოთ.

სურათი 5-6. დახერხილი მასალის წვლილი ხე-ტყის გადამუშავების მრეწველობაში 2014 წელს.

პროდუქტი	წიწვოვანი	ფოთლოვანი	სულ
მერქნისგან დამზადებული ტარა	ექს. 15 იმპ. 85	ექს. 34 იმპ. 55	ექს. 49 იმპ. 140
სადურგლო	ექს. 25 იმპ. 815	ექს. 55 იმპ. 1905	ექს. 80 იმპ. 2720
იატაკის აუწყობელი პანელები	ექს. 25 იმპ. 815	ექს. 4 იმპ. 100	ექს. 29 იმპ. 915
სხვა	ექს. - იმპ. -	ექს. - იმპ. -	ექს. - იმპ. -
სულ	ექს. 65 იმპ. 1715	ექს. 93 იმპ. 2060	ექს. 158 იმპ. 3775

სურათიდან 5-6 შეიძლება დავასკვნათ, რომ ხე-ტყის გადამუშავების მრეწველობაში ძნოლოდ მცირე რაოდენობის დახერხილი ხე-ტყე გადის საექსპორტოდ (დაახლოებით 150 მ³). ვიდრე იმპორტში (დაახლოებით 3,800 მ³).

5.4 საბოლოო კომენტარები მერქნის ბალანსის შესახებ

ჩვენ შევადგინეთ ხე-ტყის მთლიანი ბალანსი საქართველოს სატყეო სექტორისათვის მოჭრის მომენტიდან საბოლოო მოხმარების ბაზრებამდე, ექვსი ქვებალანსის ფორმით. თუ ექვსივე ქვებალანსს განვთავსებთ ერთი-მეორეზე, დავინახავთ, რომ გამავალი მონაცემი ერთი ქვებალანსიდან წარმოადგენს ამოსავალ მონაცემს შემდეგი ქვებალანსისათვის, ხოლო პაკეტი შეადგენს მთლიან წარმოებულ ხე-ტყის ბალანსს სექტორისათვის.

ნათლად შეიძლება დავინახოთ, რომ ბალანსს თან ახლავს პრობლემები, მიუხედავად დაანგარიშებისათვის ჩატარებულ უზარმაზარი მოცულობის სამუშაოსი წარმოებულ ხე-ტყის ბალანსში. ეს სავარაუდოდ უნდა იყოს შედეგი, ხე-ტყის მოძრაობის მთელ ჯაჭვში ნაკლებად სანდო მონაცემებისა და უკანონო საქმიანობისა.

ჩვენ ვერ შევძელით დაგვედგინა რეალური გავლენა, ყველა უკანონო საქმიანობის შესახებ, ხე-ტყის ბალანსის სამრეწველო ნაწილზე.

საერთო დასკვნები მერქნის ბალანსის ანალიზიდან განხილული იქნება შემდეგ სექციებში დეფიციტთან და რეკომენდაციებთან მიმართებაში.

მერქნის ბალანსის შესახებ წარმოდგენილი კომენტარები და ანალიზი უნდა შეივსოს და დაიხვეწოს მომავალში ადგილობრივი სააგენტოებისა და ინსტიტუციების მიერ იმის გათვალისწინებით, რომ ხელმისაწვდომი გახდება ახალი და უფრო საიმედო ინფორმაცია.

6. ეკონომიკური შეფასება


სექტორში 5 განხილული ცდომილებები მოგვეყვება წინამდებარე სექტორშიც, რომელიც ეკონომიკურ შეფასებებს ეძღვნება. გარდა ამისა, თავად ეკონომიკურ სტატისტიკასაც გააჩნია თავის საკუთარი ცდომილებები. ამგვარად, მოცემულ სექტორში ცდომილებებთან რიცხვი იზრდება.

ერთ-ერთი ძირითადი მიზანი აღნიშნულ სექციაში, არის მცდელობა ვაჩვენოთ ხე-ტყის ღირებულება ტყეში (ზეზემდგომი ხე-ტყე) ღირებულებების ჯაჭვის გასწვრივ მოძრაობისას. სხვა სიტყვებით, ვცდილობთ გადავიყვანოთ, მაგალითად, დახერხილი მერქნის და ხე-ტყის პროდუქტების ღირებულება პირიქით მორების ღირებულებამდე ტყეში.

6.1 ტყის ეკოსისტემების ღირებულებების ტიპები

საქართველოს სატყეო სექტორის სწორი შეფასებისათვის უნდა დავადგინოთ სრული ეკონომიკური ღირებულება (სელ). სელ-ის მეთოდოლოგია შემუშავებული იქნა იმისათვის, რომ მოვიცვათ ყველა ღირებულება, რომლითაც ტყის ეკოსისტემები უზრუნველყოფენ საზოგადოებას (Pearce et al, 2006). მეთოდოლოგია წარმოდგენილია სურათზე 6-1.

სურათი 6-1. სრული ეკონომიკური ღირებულებების ზოგადი სტრუქტურა



წყარო: DG AGRI, სასწავლო კონტრაქტი No: 30-CE-0162979/00-21, 2008.

სელ-ი სამომხმარებლო და არასამომხმარებლო ღირებულებებად იყოფა. სამომხმარებლო ღირებულებები დაკავშირებულია რეალურ და დაგეგმილ სარგებლობასთან ტყის მიერ მოწოდებული პროდუქტებით და სერვისებით. არასამომხმარებლო ღირებულებები წარმოადგენს საზოგადოების მზადყოფნას შეინარჩუნოს მომავალში ტყისგან შემოთავაზებული განსაზღვრული საერთო-საზოგადოებრივი პროდუქტები, და იზრუნოს იმის შესახებ, რომ

მომავალ თაობებს ჰქონდეთ ამ ყველაფრით სარგებლობის შესაძლებლობა, გინდაც დღეს მათი მოხმარება არ ხდებოდეს (არსებობის და მემკვიდრეობით მიღებული ღირებულებები).

სამომხმარებლო ღირებულებები იყოფა პირდაპირი სარგებლობის, არაპირდაპირი სარგებლობის და საოპციო ღირებულებებად. პირდაპირი სარგებლობის ღირებულებები ეფუძნება პროდუქტებს, რომლებიც შესაძლებელია უშუალოდ იქნას მოპოვებული და მოხმარებული. არაპირდაპირი სარგებლობის ღირებულებები ტყეებიდან წარმოადგენს ეკოსისტემის მომსახურების ღირებულებებს. მაგალითად: ბიომრავალფეროვნება და კლიმატის რეგულირება). საოპციო ღირებულება წარმოადგენს მომავლისათვის ტყის მიერ მოწოდებული პროდუქტების და სერვისების დაცვის ღირებულებას: აღნიშნული ღირებულება წარმოადგენს პოტენციური სარგებლობის ღირებულებას, რომელიც შეიძლება იყოს ან არ იყოს მოხმარებული მომავალში.

პირდაპირი სარგებლობის ღირებულებები დაკავშირებულია ეკონომიკურ სარგებელთან, რომელიც ტყით პირდაპირი სარგებლობით მიიღწევა (მაგ. მერქანი, საშეშე ხე-ტყე, საჭმელად გამოსადეგი მცენარეები და ხილი, სამედიცინო-სამკურნალო მცენარეები, საძოვრები და ნადირობა). პირდაპირი სარგებლობის ღირებულებები მოიცავს საბაზრო და ბაზართან მიახლოებულ პროდუქტებს და საქონელს, რომელთა საბაზრო ღირებულება შესაძლებელია დადგინდეს.

სელ-ის მეთოდოლოგია სასარგებლო სექტორისათვის მდგრადობის პრინციპების ჩამოყალიბებისათვის. აღნიშნულ პროცესში, სელ-ის მეთოდოლოგიაში ჩართულ სხვადასხვა ღირებულებით კომპონენტებს ურთიერთ ზეგავლენას ახდენენ ერთმანეთზე.

მოცემულ კვლევაში ჩვენ მხოლოდ სელ-ის მეთოდოლოგიის ერთ-ერთ კომპონენტს შევეხებით: პირდაპირი სარგებლობის ღირებულებებს. უფრო ზუსტად, ჩვენ განვიხილავთ პირდაპირი სარგებლობის ღირებულებების მხოლოდ რამდენიმე ქვეკომპონენტს - სამასალე და საშეშე ხე-ტყეს.

6.2 ეკონომიკური ღირებულებები პირდაპირი სარგებლობის ღირებულებებში

პირდაპირი სარგებლობის ღირებულებებთან შესაძლებელია სხვადასხვა ეკონომიკური ღირებულებების გამოყენება; თუმცა, ჩვენ შეზღუდულები ვართ მონაცემთა დეფიციტის ან მათზე წვდომის კუთხით. ჩვენ გამოვიყენეთ ოთხი ეკონომიკური ღირებულება:

- *გასაყიდი ღირებულებები ან საბაზრო ფასები* წარმოადგენს მარტივ შეფასებას გამოსავლიანობისა სხვადასხვა საწარმოო ხაზებიდან ხე-ტყის ბალანსში. გასაყიდი ღირებულება გვამცნობს თუ რა რაოდენობის ფული მოაქვს საქმიანობას.
- *შემოსავალი წარმოადგენს გასაყიდ ღირებულებას მინუს ყველა გაღებული ხარჯი კონკრეტული პროდუქტის საწარმოო ხაზზე.* შემოსავალი გვამცნობს, სხვათა შორის, მორიგი ინვესტირებისათვის საჭირო კაპიტალის ხელმისაწვდომობის შესახებ და თუ რა რაოდენობის ფულს ღებულობს მფლობელი გარკვეულ აქტივობაში. ჩვენ შევეჯახეთ სირთულეებს ხარჯვის ელემენტების შესახებ მონაცემების მოპოვებაში. ამიტომ, შემოსავლის ანალიზი კვლევაში ნაწილობრივ არის წარმოდგენილი.
- *აქტივობის დამატებითი ღირებულება წარმოადგენს პროდუქტის (ების) გასაყიდ ღირებულებას, მინუს შუალედური პროდუქციის ღირებულება.* აღნიშნული

ღირებულება გვამცნობს თუ როგორ უწყობს ხელს წარმოების ეტაპი წარმოებული პროდუქციის ღირებულების გაზრდას. დამატებითი ღირებულების შეფასება შესაძლებელია მერქნის ბალანსის ცალკეული ეტაპებისათვის. თუ შევაჯამებთ სრული ბალანსის თითოეულ ეტაპის დაანგარიშებულ დამატებით ღირებულებას, მივიღებთ სატყეო სექტორის წილს ქვეყნის მშპ-ში.

- *წვლილი საგადასახადო ბალანსში (ვაჭრობა) წარმოადგენს სხვაობას ექსპორტისა და იმპორტის ღირებულებებს შორის.* ცალკეული პროდუქციის სახეობებისათვის ამ მაჩვენებელს არ ანგარიშობენ; ანგარიშობენ მხოლოდ მთელი სექტორისათვის. იგი გვამცნობს თუ რა არის სექტორის (ან პროდუქციის) წვლილი ქვეყნის დადებით ან უარყოფით საგადასახადო ბალანსში.

6.3 ხე-ტყის ღირებულება- საძირკვე გადასახადი

საქართველოში კანონიერი ჭრებისათვის არსებობს ფასის დადგენის ორი ძირითადი პრინციპი. პირველი: ფასის დადგენის წესები ტყით სოციალური სარგებლობის პროგრამისათვის, რომელიც პრიორიტეტია ამჟამად საქართველოს სატყეო პოლიტიკაში, და რომლის მიზანია უზრუნველყოს სოფლებში მცხოვრები სოციალურად შეჭირვებული ოჯახები სუბსიდირებული საშემე და სამასალე ხე-ტყით, სამეურნეო-საოჯახო სარგებლობისათვის. მეორე პრინციპი ეფუძნება ხე-ტყით ვაჭრობას საბაზრო ფასებში ღია ბაზარზე.

მეორე პრინციპი ეფუძნება რასაც ხშირად საძირკვე გადასახადს უწოდებენ, რაც ნიშნავს ფასს, რომელსაც იხდის კლიენტი ხე-ტყის ჭრის ნებართვაში, მოცემული ტერიტორიიდან. ძირითადი საძირკვე გადასახადი დაიანგარიშება საქართველოს კანონმდებლობაში გაწერილი ფორმულის მიხედვით. ასეთ ფორმულებში გამოყენებულია გარკვეული ფორმა მორების საბოლოო საბაზრო ღირებულებისა (სხვადასხვა სახეობების და ხარისხის მიხედვით), ხოლო საძირკვე გადასახადის ფასის დასადგენად აკლდება მოჭრის და ტრანსპორტის ხარჯები.

ძირითადი საძირკვე გადასახადის ფასი შემდეგ გამოიყენება, როგორც ამოსავალი წერტილი ღია აუქციონებზე. ყველაზე ხშირად, საბოლოო სააუქციონო ფასი მაღალია ვიდრე საწყისი სააუქციონო ფასი იმის გამო, რომ ღია საბაზრო პროცესში არ არსებობს კონკურენცია. ამიტომ, საბოლოო სააუქციონო ფასი არის ის, რასაც კლიენტი იხდის ხე-ტყის ჭრის ნებართვაში.

არის სხვა მოსაკრებლებიც, რომელიც კლიენტმა უნდა გადაიხადოს: ბუნებრივი რესურსის გადასახადი და მარკირების გადასახადი (წინასწარი გადასახადი ტყეკაფის მარკირებაში ჭრის დაწყებამდე). ბუნებრივი რესურსის გადასახადი სხვადასხვა სახეობების და ხარისხის მიხედვით.

ცხრილი 6-1 გვიჩვენებს დადგენილ ფასებს ზეზემდგომი ხე-ტყისა (საძირკვე გადასახადი) სხვადასხვა სორტიმენტებზე (წიწვოვანი/ფართოფოთლოვანი; სამასალე/საშემე ხე-ტყე) და ჭრის სხვადასხვა ტიპებს (სოციალური/ღია ბაზრისთვის განკუთვნილი). ცხრილში შეფასებული საბოლოო სააუქციონო ფასებია გამოყენებული და არა ძირითადი სააუქციონო ფასები (2014 წელი). ინფორმაცია ფასებზე მოწოდებულია NFA-ს მიერ და ასევე ეფუძნება კვლევის გუნდის საუბრებს სახერხი მრეწველობის წარმომადგენლებთან.

ფასები ცხრილში 6-1 წარმოადგენს შემოსავალს მ³ -ზე სხვადასხვა სორტიმენტებისა და ჭრებისათვის 2014 წელს.

ცხრილი 6-1. ხე-ტყის ფასი – სანიხრე გადასახადი 2014 წელს (ლარი/ მ³).

	წიწვოვანი	ფოთლოვანი
A. საშემე ხე-ტყე		
A.1. სოციალური ჭრა		
სააუქციონო ფასი	-	-
ბუნებრივი რესურსის გადასახადი	2	4
მარკირების გადასახადი	3	3
სულ	5	7
A.2. ბაზრისთვის განკუთვნილი ჭრა		
სააუქციონო ფასი	20	51
ბუნებრივი რესურსის გადასახადი	2	4
მარკირების გადასახადი	3	3
სულ	25	58
B. სამასალე ხე-ტყე		
B.1. სოციალური ჭრა		
სააუქციონო ფასი	-	-
ბუნებრივი რესურსის გადასახადი	15	33
მარკირების გადასახადი	3	3
სულ	18	36
B.2. ბაზრისთვის განკუთვნილი ჭრა		
სააუქციონო ფასი	200	200-230
ბუნებრივი რესურსის გადასახადი	15	33
მარკირების გადასახადი	3	3
სულ	218	236-266

სუფთა შემოსავალი ქვეყნისათვის შესაძლებელია შეფასდეს NFA-ს, APAFA-ს და თბილისის მერიის¹⁴ მიერ გაწეული მართვის ხარჯების გამოკლებით. თუ ვივარაუდებთ, რომ აღნიშნული ორგანიზაციის 2014 წლის ბიუჯეტში მართვის ხარჯები იყო გაწერილი, და ჩვენ გამოვიყენებთ ადრე შეფასებული კანონიერად მოჭრილი ხე-ტყის მოცულობას 700,000 მ³, მივიღებთ საშუალომართვის ხარჯებს, რომელიც დაახლოებით 20 ლ/მ³-ს შეადგენს (თუ ვივარაუდებთ

¹⁴თბილისის მერია წარმოადგენს ქალაქ თბილისის აღმასრულებელ ხელისუფლებას და განკარგავს თბილისის საზღვრებში არსებულ ტყეებს.

მართვის ანალოგიურ ხარჯებს თითოეულ კვადრატულ მეტრზე)¹⁵. თუ ცხრილ ცხრილი 6-1-ში მოცემულ ციფრებს სამ თანხას გამოვაკლებთ, მივიღებთ მთლიან ფინანსურ მოგებას, რომელსაც ქვეყანამ მიიღო ჭრებიდან 2014 წელს. ამგვარად, ქვეყანა იღებს დაახლოებით 218-266 ლ/მ³ მთლიან მოგებას სამასალე მორიდან და 198-246 ლ/მ³ სუფთა მოგებას სამასალე მორიდან. თუმცა ამ მოგებიდან ტყის მართვაზე და ინვესტიციებზე მხოლოდ დაახლოებით 20 ლ/მ³ გამოეყოფა. ეს ნიშნავს, რომ არის მნიშვნელოვანი ხელმისაწვდომი რაოდენობა „ტყის ბიუჯეტისა“ რეინვესტირებისათვის, რომელიც მიმართული უნდა იყოს ტყის მდგრადობის გაძლიერებაზე. შესაძლებელია ასევე დავასკვნათ, რომ საშემე ხე-ტყის ბიზნესი არახელსაყრელია სახელმწიფოსათვის. ფასები მართვის ხარჯებსაც არ ფარავს, და იგივე შეიძლება ითქვას სამასალე ხე-ტყის სოციალურ ჭრებზე. ამრიგად, ეკონომიკური თვალსაზრისით, სახელმწიფოს მონაწილეობის მიზანშეწონილობა საშემე და სოციალური ჭრებთან დაკავშირებულ საქმიანობაში მინიმუმ საკამათოა

6.4 ქარხნამდე მიწოდებული მერქნის ფასი

სექციაში 6.3 განვიხილეთ ხე-ტყის ღირებულება ტყეში. გარდა ამისა, საჭიროა მორების მოჭრა და ტრანსპორტირება ქარხნამდე მათი უტილიზაციის წინ. ცხრილში 6-2 შეფასებულია მიწოდებული ხე-ტყის ღირებულებები 2014 წელს. ინფორმაციის წყაროს წარმოადგენენ მონაცემები NFA-ს განკველვის გუნდის საუბრები დარგის წარმომადგენლებთან.

ცხრილი 6-2. მიწოდებული ხე-ტყის ფასი 2014 წელს (ლარი/მ³) – სამასალე მორი.

	წიწვოვანი	ფოთლოვანი
საბოლოო სააუქციონო ფასი	200	200-230
სხვა გადასახადები	18	36
ხე-ტყის დამზადება და დაცურება მანქანაზე დასატვირთ ადგილამდე	50 (40-70)	55 (50-70)
ტრანსპორტირება ქარხნამდე	30 (20-40)	35 (20-40)
მიწოდებული ხე-ტყის ფასი	303 (278-328)	336 (306-366)

თუ მიწოდებულ ხე-ტყის ფასს შევადარებთ საერთაშორისო ფასებს, შეიძლება ითქვას, რომ „გლობალური დახერხილი მორების ფასების დონე“ (ამერიკული ორგანიზაციის Wood Resources International-ს მიხედვით) 20 ძირითად რეგიონში მსოფლიოს მასშტაბით 30-45 აშშ დოლარი/მ³-ით იაფია ქარხანასთან ვიდრე საქართველოში 2014 წელს. ამრიგად, მოცემული შედარების მიხედვით, ქართული სამასალე მორები ძვირია.

კიდევ ერთი ორგანიზაციის Global Wood Trade Network-ს ანგარიშში მოცემულია უფრო მცირე მოცულობის მონაცემები ხე-ტყის ღირებულებაზე, რაც შესაბამისობაშია ქართულ ფასებთან. თუმცა ისინიც ასკვნიან სხვადასხვა მონაცემების საფუძველზე, რომ მორის ფასები

¹⁵ რადგანაც 20 ლ/მ³ გამოანგარიშებულია საბიუჯეტო ხარჯების საფუძველზე, იგი არ ასახავს რეალურ ხარჯებს ტყის ერთ მ3 ტყის მდგრადი მართვის სისტემაში. იმისგათვალისწინებით, რომ ბიუჯეტი გაცილებით ნაკლებია რეალურ ხარჯებზე, რომლებიც აუცილებელია უკანონო ჭრებისა და ძოვების აღკვეთისათვის და ტყის სათანადო აღდგენისა და მოვლისათვის, ხარჯები ტყის ერთ მ3 ტყის მდგრადი მართვის სისტემაში უნდა იყოს გაცილებით მეტი.

განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაში 5-15 აშშ დოლარი/მ³-თ ნაკლებია ფასებზე, რომელიც საშუალოდ არის მოყვანილი „გლობალური დახერხილი მორების ფასების დონე“-ს ანგარიშებში.

თუ ზემოთ მოყვანილი განსხვავება სამასალე მორებში რეალურია, საქართველოს სატყეომრეწველობას დიდ პრობლემები ექნება კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზრებზე.

6.5 სამასალე მორების სავაჭრო ფასები

როგორც აღნიშნა, ჩვენი შეფასებების მიხედვით არსებობს მნიშვნელოვანი მოცულობის ვაჭრობა სამასალე მორის იმპორტისა და ექსპორტის ფორმით. UNECE-ს და FAO-სგან მოწოდებული სავაჭრო მონაცემთა ბაზის და საქართველოს საბაჟო დეპარტამენტისაგან მიღებული მონაცემების მიხედვით, ჩვენ შევასეთ სამასალე მორის საიმპორტო და საექსპორტო ფასები. შეფასება წარმოდგენილია ცხრილში 6-3.

ცხრილი 6-3. სამასალე მორის საიმპორტო-საექსპორტო ფასების შეფასება 2014 წელს (ლარი/ მ³)

	წიწვოვანი	ფოთლოვანი
საიმპორტო ფასი	238	255
საექსპორტო ფასი	210	300

თუ მოცემული სტატისტიკა რეალობას ასახავს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ წიწვოვანი მორის საექსპორტო ფასები ადგილობრივი ბაზრის ფასებზე დაბალია. ან საექსპორტო ფასის მონაცემებია მცდარი, ან საექსპორტო მორი არის დაბალი ხარისხის და ხდება მისი ექსპორტი ჩინეთის იაფფასიან ბაზრებზე.

საიმპორტო ფასებიც მნიშვნელოვნად დაბალია ადგილობრივ ფასებთან შედარებით. ისევ და ისევ, თავად ეს მონაცემები შეიძლება იყოს მცდარი. თუმცა, ფასები ფოთლოვან მორზე უფრო სარწმუნოდ გამოიყურება ვიდრე ყველა სხვა მონაცემი. თუ ფასების მონაცემები რეალურია, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს შეუძლია მორის იმპორტი ადგილობრივ ფასებზე უფრო იაფად. თუ ეს ასეა, მაშინ საქართველოს სატყეო მრეწველობა საკუთარი მორებით დამზადებული პროდუქციით ვერც ერთ ბაზარზე ვერ იქნება კონკურენტული.

წიწვოვანი სამასალე მორების კანონიერი იმპორტი 2014 წელს, FAO-ს სავაჭრო მიმოქცევის მონაცემთა ბაზის მიხედვით, ორი ქვეყნიდან ხორციელდება -უკრაინა და თურქეთი. იმპორტის მოცულობით უკრაინა ლიდერობს 90%-ით. ეს შესაძლოა პრობლემა იყოს. საერთაშორისო პრესაში ხშირად გამოითქმის შეშფოთება მასშტაბურ, სისტემატურ და უკანონო ჭრების შესახებ დაბინძურებულ ზონაში ჩერნობილის მახლობლად (Skogen #9, 2016), საიდანაც ხდება დაბინძურებული მორებისა და დახერხილი მერქნის ექსპორტი. აღნიშნული დაბინძურებული მასალა შემდეგ გამოიყენება სახლების მშენებლობაში და ავეჯის წარმოებაში სხვადასხვა ქვეყნებში და ამას არავინ არ აკონტროლებს. თუ საქართველოში იმპორტირებული მორი დაბინძურებული რადიოაქტიური ზონიდან არის, მაღალი ალბათობით მათი გაყიდვა დაბალ ფასად ხდება.

ფოთლოვანი სამასალე მორის კანონიერი იმპორტი 2014 წელს მნიშვნელოვნად ნაკლებია წიწვოვანი მორის იმპორტზე. თუმცა ისევ და ისევ, იმპორტში სრულად დომინირებს უკრაინა და თურქეთი, სადაც უკრაინაზე მთელი იმპორტის მოცულობის დაახლოებით 40% მოდის.

6.6 დახერხილი მერქნის (ფიცრის) დამზადების ეკონომიკა საქართველოში

მოცემულ სექციაში ჩვენ ვაფასებთ ფიცრის დამზადების ეკონომიკურ ასპექტებს საქართველოში და უწყობს თუ არა ეს ხელს წარმოებას დამატებითი ღირებულებით.

6.6.1 ფიცრის ფასები

ცხრილში 6-4 ჩვენ ვაფასებთ დახერხილი მერქნის საბაზრო ღირებულებას 2014 წელს. ადგილობრივი საბაზრო ფასების შესახებ მონაცემები მიღებულია პროექტის გუნდის სახერხეების წარმომადგენლებთან საუბრების შედეგად. საექსპორტო და საიმპორტო ფასების შესახებ მონაცემები მიღებულია UNECE-ს სტატისტიკიდან, FAO-ს სავაჭრო მონაცემთა ბაზიდან და საქართველოს საბაჟო დეპარტამენტიდან.

ცხრილი 6-4. დახერხილი მერქნის (ფიცრის) საბაზრო ფასები (გაცივების ღირებულება) 2014 წელს (ლარი/ მ³)

	წიწვოვანი	ფოთლოვანი
შიდა ბაზარი	420 საშუალო (380-450)	650 საშუალო (600-650)
იმპორტი	370	450
ექსპორტი, დაბალი ხარისხი	352	
ექსპორტი, უკეთესი ხარისხი	440-528	484-555

ხე-ტყეზე ფასების თვალსაზრისით დიდი განსხვავებებია წიწვოვან და ფოთლოვან მასალას შორის. თუმცა ეს განსხვავებები არ იყო ასე ცხადად წარმოდგენილი ხე-ტყის ფასებში. ფასებში არსებული განსხვავებების მიზეზი შესაძლოა იყოს ის ფაქტი, რომ სამხერხაობის გამოსავლიანობა უფრო დაბალია ფოთლოვანი მასალის შემთხვევაში ვიდრე წიწვოვანი მასალის შემთხვევაში. ამის გარდა, წიწვოვანი ხე-ტყის უმეტესი ნაწილი მიდის სამშენებლო მრეწველობაში, ძლიერი სართაშორისო კონკურენციის და შედარებით დაბალი გადამხდელუნარიანობის ფონზე. ფოთლოვანი ხე-ტყე, კი ძირითადად მიდის წარმოებაში დამატებითი ღირებულებით და უფრო მაღალი გადამხდელუნარიანობით.

დახერხილი მერქნის პროდუქტები ქართულ სამხერხაობებში როგორც წესი დაბალი ხარისხისაა და იაფია (მაგალითად, საქართველოს სახერხ მრეწველობაში არ არის საშრობი საშუალებები). ეს ალბათ აისახება საექსპორტო ფასებზეც. საექსპორტო და საიმპორტო ბაზრებზე მძაფრი საერთაშორისო კონკურენციაა, სადაც ხარისხი ერთ-ერთი წამყვანი კონკურენტული ფაქტორია. შესაძლებელია დავასკვნათ, რომ უკეთესი ხარისხის წიწვოვანი ხე-ტყის ექსპორტი იძლევა უკეთეს ფასს ვიდრე ხე-ტყის ადგილობრივ ბაზარზე მოწოდება. ეს ლოგიკურია და მოსალოდნელი უნდა იყოს. თუმცა, ეს მთლად ასე არ არის ფოთლოვანი შემთხვევაში, სადაც საექსპორტო ფასები გაცილებით დაბალია ვიდრე ადგილობრივი საბაზრო ფასები. ამის მიზეზი შეიძლება იყოს მცდარი მონაცემები და საექსპორტო ბაზრებზე მიწოდებული ხე-ტყის სხვადასხვა ხარისხი ადგილობრივ ბაზარზე მიწოდებულ ხე-ტყესთან შედარებით.

აღსანიშნავია, რომ დახერხილი მერქნის საიმპორტო ფასები გაცილებით დაბალია ვიდრე ადგილობრივ ბაზარზე. მიზეზი, ისევ და ისევ, შესაძლებელია იყოს მცდარი სტატისტიკა. 2014 წელს წიწვოვანი ხე-ტყის იმპორტის თვალსაზრისით წამყვანი მომწოდებელია უკრაინა, შემდეგ გერმანია, ბელარუსი, რუსეთი, ესტონეთი, თურქეთი და სხვები. რაც ითქვამს უკრაინული მორის თაობაზე, იგივეს თქმა შეიძლება უკრაინული გადამამუშავებული მერქნის შესახებაც. წიწვოვანი ხე-ტყის ბაზრებზე მძაფრი საერთაშორისო კონკურენციაა.

წიწვოვან ხე-ტყესთან შედარებით ფოთლოვანის იმპორტი შედარებით მცირეა. ფოთლოვანი ხე-ტყის უმსხვილესი მომწოდებელია უკრაინა, შემდეგ რუსეთი, ირანი, აშშ და სხვები.

თუ ფასებში აღნიშნული განსხვავებები ახლოა რეალურ პირობებთან, ჩვენ კვლავ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს მერქნის გადამამუშავებელ მრეწველობას აქვს და ექნება სერიოზული პრობლემები ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზეც.

6.6.2 მორის ფასების დახერხილი მერქნის (ფიცრის) ფასებთან შედარება

ცხრილში 6-2 ჩვენ შევასაღებთ სამხერხაოში მიწოდებული სამასალე მორების ფასები, კერძოდ 278-328 ლ/ მ³ წიწვოვანი მრგვალი მორი და 306-366 ლ/მ³ ფოთლოვანი. ცხრილში 6-5, ჩვენ ვადარებთ ადგილობრივ ბაზარზე მიწოდებული ხე-ტყის ფასებს და დახერხილი მერქნის (ფიცრის) ფასებს, რომლებიც გამოხატულია, როგორც ფასი თითო მ³ სამასალე მრგვალი მორისა, რომელიც გამოიყენება ფიცრის დასამზადებლად.

ცხრილი 6-5. მორის და დახერხილი მერქნის (ფიცარი) ფასი 2014 წელს (ლარი/მ³)

	წიწვოვანი	ფოთლოვანი
1. ხე-ტყის ფასი სახერხთან მ ³ /მორი	303 (278-328)	336 (306-366)
2. გაყიდვის ფასი, შიდა ბაზარი, მ ³ /დახერხილი	420(380-450)	650 (600-650)
3. დახერხილი მერქნის ფასი თითო მ ³ /მორი	235 (170-250)	328 (264-365)
<i>3ა. [მაღალი გამოსავლიანობის სახერხი (75%)]</i>	<i>[315 (285-340)]</i>	<i>[485 (264-365)]</i>
4. განსხვავება: ფასი სახერხთან და დახერხილი მერქანი თითო მ ³ /მორი (მე-3 მწკრივს გამოკლებული მწკრივი 1); <i>[3ა მწკრივს გამოკლებული მწკრივი 1]</i>	-68 [12]	-8 [149]

დახერხილი მერქნის ფასების გადაყვანისას შესაბამის მ³/მრგვალი სამასალე მორიში, რიგში 3 ცხრილი 6-5, ჩვენ გამოვიყენეთ ადრე გამოყენებული და Savcor-ს ანგარიშში მოხსენიებული (2005) გამოსავლიანობის მაჩვენებლები. გამოსავლიანობის სპექტრი 44-56%-ია. რიგში 3ა ჩვენ გამოვიყენეთ საშუალო გამოსავლიანობა - 75%, მოპოვებული პროექტის გუნდის მიერ, სახერხების წარმომადგენლებთან საუბრებში. ჩვენ ეჭვქვეშ ვაყენებთ ამ მაჩვენებელს, რადგანაც არასოდეს არსად მსოფლიოში არ გვინახავს ასეთი მაღალი გამოსავლიანობის მაჩვენებლები. გარდა ამისა, სამხერხაოებს შესაძლებელია საკუთარი მიზეზები გააჩნდათ, როცა ასეთ მაღალ

გამოსავლიანობის მაჩვენებლებს აცხადებდნენ: შესაძლებელია, ისინი ცდილობდნენ დამალონ მორის რეალური მოხმარების დონე.¹⁶

რაც შეეხება წიწვოვანი ხე-ტყის დამზადებას, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სტანდარტული გადათვლის კოეფიციენტების გათვალისწინებით, ფასები დახერხილ ხე-ტყეზე, რომლებიც გამოხატულია როგორც მრგვალ მორზე ფასები, საშუალოდ შეადგენს 68 ლ/ მ³, ან უფრო უფრო ნაკლებს, ვიდრე მოწოდებულ მორზე სამხერხაოში. თუნდაც გამოვიყენოთ მაღალი გამოსავლიანობა 75%, დახერხილი მერქნის წარმოებით, ჩვენ ვიღებთ საშუალოდ მხოლოდ ნამატს - 12 ლ/ მ³ მორზე. ეს ნიშნავს, რომ წიწვოვანი ხე-ტყის დამზადება არ ქმნის არანაირ მოგებას (პირიქით, არის დიდ დანაკარგები, რადგანაცაქ არ არის გათვალისწინებული საწარმოო პროცესის სხვა ხარჯები, როგორც არის ელექტროენერგია, შრომითი დანახარჯები, კაპიტალური დანახარჯები) და არ ქმნის არავითარ დამატებით ღირებულებას. ეს ვერაფრით ვერ ასახავს რეალურ სურათს იმის გამო, რომ დარგი უბრალოდ ფინანსურად ვერ გადარჩება.

ეს შედეგები, ალბათ არის ეფექტი „დაუბალანსებელი“ მოცულობისა ხე-ტყის ბალანსში, რომელიც - სურათი 5-3-სთან დაკავშირებით განვიხილეთ. დარღვეული ბალანსი ჩვენ ვივარაუდებთ, როგორც შედეგი უკანონო ქმედებებისა ხე-ტყის მოძრაობის მთლიან ჯაჭვში, და იგი ასახულია გამოთვლებში, რომელიც ნაჩვენებია ცხრილში 5-6. ეს ნიშნავს, რომ სახერხები საშუალოდ იხდიან გაცილებით ნაკლებს წიწვოვან სამასალე მორში, ვიდრე ეს არის დაფიქსირებული სტატისტიკაში და პირად საუბრებში.

რაც შეეხება ფოთლოვანი ხე-ტყის დამზადებას, ჩვენ იგივე სურათი გვაქვს სტანდარტული გადათვლის კოეფიციენტების კუთხით, მაგრამ გაცილებით უკეთესი ეკონომიკური პირობებით, იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ გამოვიყენებთ მაღალი გადათვლის კოეფიციენტს - 75%. თუმცა, როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული, ჩვენ ამ მაჩვენებელს კითხვის ნიშნის ქვეშ ვაყენებთ, განსაკუთრებით ფოთლოვანი ხე-ტყის დამზადების სფეროში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სტატისტიკურ და ზეპირ მონაცემებზე (საუბრები წარმომადგენლებთან) დაყრდნობით, არის მნიშვნელოვანი სხვაობა სამხერხაოში მიწოდებული სამასალე მორის საშუალო ფასებსა და რეალურად მიწოდებულ ფასებს შორის. ეს განსხვავება შეიძლება აიხსნას უკანონო ქმედებებით ხე-ტყის მოძრაობის ჯაჭვში. შესაბამისად, ასევე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ხე-ტყის გადამამუშავებელი მრეწველობის ეკონომიკა ძირითადად ეყრდნობა ჩრდილოვან ეკონომიკის პრინციპებს ხე-ტყის მოძრაობის ჯაჭვში.

6.6.3 ხე-ტყის გადამამუშავებელი მრეწველობიდან მიღებულ პროდუქტებში დახერხილი მერქნის (ფიცრის) გასაყიდი ღირებულება

სურათზე 5-5, ჩვენ შევაფასეთ მეორადი გადამამუშავების მრეწველობაში დახერხილი მერქნის (ფიცრის) მოხმარების დონე. ჩვენ დავასკვნით, რომ დაახლოებით დახერხილი მერქნის 15,000 მ³ ხვდებოდა სამშენებლო სექტორში, ხოლო 12,000 მ³ მოიხმარებოდა ხე-ტყის გადამამუშავებელ მრეწველობაში 2014 წელს.

¹⁶შესაძლებელია, რომ ქართული სამხერხაოების მიერ მოწოდებული გადათვლის მაღალი კოეფიციენტები გამოწვეულია დახერხილ ხე-ტყეში დაბალი ხარისხის ლაფანის (ხის რბილი ნაწილი შიდა ქერქსა და გულს შორის) ჩართვით. თანამედროვე სამხერხაოები მორის აღნიშნულ ნაწილს ნაფოტების სახით ყიდნიან. საქართველოში ნაფოტების ბაზარი არ არსებობს, მაგრამ ამ დაბალი ხარისხის ხე-ტყის მასალაზე საქართველოს ბაზარზე მოთხოვნა არსებობს.

მიუხედავად დიდი მცდელობებისა, ჩვენ ვერ შევძელით შეგვეფასებინა მშენებლობაში მოხმარებული ხე-ტყის გასაყიდი ფასი. თუმცა, პლატფორმად ჩვენ გამოვიყენეთ მიდგომა, რომელიც აღწერილია სურათისათვის 5-6, და გავითვალისწინეთ ღირებულებები დახერხილი მერქნის (ფიცრის) და სხვადასხვა ხის პანელების, რომლებიც მოხმარება ხე-ტყის პროდუქტების დამზადებისას, რამაც მოგვცა საშუალება შეგვეფასებინა დახერხილი მერქნის (ფიცრის) კომპონენტის გასაყიდი ღირებულება, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ პროდუქციას ხე-ტყის გადამამუშავებელ მრეწველობაში. შედეგები წარმოდგენილია ცხრილში 6-6. აღნიშნული შეფასება განხორციელდა სხვადასხვა გამოთვლების გამოყენებით და ამის გამო მაღალი უზუსტობით გამოირჩევა. მონაცემების წყაროები იგივეა, რაც იყო წარმოდგენილი წინა თავში სურათში 5-6.

დამატებითი ღირებულება წარმოდგენილია ცხრილში 6-6 როგორც დიაპაზონი: მარჯვენა მხარეს არსებული ღირებულება ეფუძნება სტანდარტულ გამოსავლიანობას სამხერხაოებში, ხოლო მარცხნივ წარმოდგენილი ღირებულება ემყარება მაღალ გამოსავლიანობას 75%.

შეიძლება დავასკვნათ, რომ სამხერხაოებში სტანდარტული გამოსავლიანობის შემთხვევაში, რაც ჩვენი აზრით, შესძლებელია იქნას გამოყენებული, გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქტების გასაყიდი ღირებულებები, თითო მ3 მოხმარებული მორისა, გაცილებით აღემატება დახერხილი მერქნის (ფიცრის) გასაყიდ ღირებულებებს და ეს პროდუქტები ქმნიან სოლიდურ დამატებით ღირებულებას. დიდი განსხვავებები არსებობს გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქტების სხვადასხვა ჯგუფებს შორის არსებულ გასაყიდ ფასში და დამატებით ღირებულებაში. ეს მოსალოდნელიც არის, იმის გამო, რომ შრომითი ხარჯები სხვადასხვა ჯგუფებს შორის მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

გადამამუშავებელი მრეწველობაში, დახერხილი მერქნის (ფიცრის) კომპონენტის გაზრდილი გასაყიდი ფასი და დამატებითი ღირებულება, დახერხილ ხე-ტყესთან (ფიცართან) შედარებით მოსალოდნელი და ლოგიკური შედეგია.

ცხრილი 6-6. ხე-ტყის გადამამუშავების მრეწველობის გასაყიდი ფასები დახერხილი მერქნის (ფიცრის) კომპონენტისათვის - შიდა ბაზარი, 2014 წელი (ლარი/მ³გამოყენებული მორი)

	წიწვოვანი		ფოთლოვანი	
	გაყიდვის ფასი	დამატებითი ღირებულება	გაყიდვის ფასი	დამატებითი ღირებულება
მერქნისგან დამზადებული ტარა	380	65-155	450	35-122
იატაკის აუწყობელი პანელები	315	0-80	405	80-77
სადურგლო	1275	960-1040	1635	1150-1307
დახერხილი მერქნის ფასი, მ ³ /მორი, სტანდარტული გამოსავლიანობა	235		328	
სახერხში მაღალი გამოსავლიანობა	315		485	

6.6.4 გასაყიდი ფასების მიმოხილვა

ცხრილში 6-7-ში წარმოდგენილია გასაყიდი ფასები. შეფასებული გასაყიდი ფასები გამოხატულია ერთ მ³-ზე, სხვადასხვა საწარმოო ხაზებზე მოხმარებულ მრგვალი მორისა.

ცხრილი 6-7. გასაყიდი ფასები 2014 წელს (ლარი/ მ³ თითო მორი)

	წიწვოვანი	ფოთლოვანი
სოციალური საშემუ ხე-ტყე	5	7
საბაზრო საშემუ ხე-ტყე	25-32	58-63
სოციალური სამასალე მორები	18	36
საბაზრო სამასალე მორები (არ მოიცავს ხე-ტყის დამზადებასა და ტრანსპორტირებას)	218	238-268
დასახერხი ხე-ტყე (დიაპაზონი-გამოსავლიანობა სახერხებში)	235-315	328-484
დახერხილი ხე-ტყე ხე-ტყის გადამამუშავებელ მრეწველობაში	961	1225

გასაყიდი ფასები მოსალოდნელად და ლოგიკურად იზრდება ხე-ტყის მოძრაობის ჯაჭვის გასწვრივ გადაადგილებისას, მორებიდან გადამამუშავებელი მრეწველობაში, დახერხილი მერქნის (ფიცრის) კომპონენტამდე. როგორც მოსალოდნელი იყო, საშემუ ხე-ტყის და სოციალური სამასალე მორის გასაყიდი ფასები ძალიან დაბალია. გასაყიდი ღირებულებები მნიშვნელოვნად იზრდება სამასალე მორების დამატებითი ღირებულების წარმოების შედარებით წილთან.

6.7 დამატებითი ღირებულების შეფასება მერქნის ბალანსის შეფასების საფუძველზე

როგორც აღინიშნა, დამატებითი ღირებულება წარმოადგენს სხვაობას საქმიანობის გამოსავლიანობის ღირებულებასა და შუალედური ხარჯების ღირებულებას შორის. მერქნის ბალანსის ეკონომიკის ადრე წარმოდგენილი შეფასებების საფუძველზე, ჩვენ არ შეგვიძლია ჩავატაროთ დამატებითი ღირებულების სრული შეფასება იმის გამო, რომ არ გვყოფნის მონაცემები ხარჯების ხელშემწყობი ფაქტორების შესახებ, თუ არ ჩავთვლით ხე-ტყეს. თუმცა, ხე-ტყის ღირებულების გამოყენებით, ჩვენ ვთვლით, რომ საკმაოდ კარგად შეგვიძლია მოდელირება რეალური დამატებითი ღირებულების შეფასებისა იმის წყალობით, რომ ხე-ტყე მთავარი ხარჯების ხელშემწყობი ფაქტორია.

მოდელირებული დამატებითი ღირებულების შეფასება წარმოდგენილია ცხრილში 6-8. შეფასება ალბათ გადაჭარბებულია იმის გამო, რომ არ ვიცით სხვა შუალედური ხარჯები გარდა ხე-ტყისა.

ცხრილი 6-8. მერქნის ბალანსის შეფასებაზე დაფუძნებული დამატებითი ღირებულება სამასალე მორებისათვის, 2014 (ლარი/მ³)

	წიწვოვანები	ფოთლოვანები
ხე-ტყის დამზადება და ტრანსპორტირება	60-110	80-100
დახერხილი მერქნის წარმოება/მორის	-68 to +12	-8 to +149

მოცულობა		
ხე-ტყის დამუშავების მრეწველობა საშუალოდ, დახერხილი მერქნის კომპონენტი	646-726	741-897

შეფასებაში აღნიშნულია დამატებითი ღირებულება, შექმნილი მოჭრით და ტრანსპორტირებით 60-110 ლ/მ³ ღირებულების მქონე წიწვოვანი სამასალე მორისა და 80-100 ლ/ მ³ ღირებულების მქონე ფოთლოვანისათვის. დახერხილი მერქნის (ფიცრის) დამზადება, სადაც მარჯვენა ცხრილში 6-8, ეფუძნება სტანდარტულ გამოსავლიანობას სამხერხაოებში, ხოლო მარჯვენა ციფრის სიდიდე ეფუძნება მაღალ გამოსავლიანობას სამხერხაოებში (რასაც ჩვენ ეჭვის ქვეშ ვაყენებთ) და თითქმის არ ქმნის დამატებით ღირებულებას თითო მ³ დახერხილი მერქნისა, რომელიც გამოხატულია როგორც მორის ღირებულება. ეს ღირებულებები, როგორც ჩანს, არ არის ზუსტი, ხოლო პრობლემა კვლავ უკავშირდება განხილვას, რომელიც ჩავატარეთ ცხრილი 6-5-ს თაობაზე, სადაც დავასკვნით, რომ რეალურად მოწოდებული ხე-ტყის ფასები ალბათ გაცილებით ნაკლებია, ანგარიშებში წარმოდგენილ ხე-ტყის ფასებზე, არსებული უკანონო პრაქტიკის გამო. ადრეულ დისკუსიაში, ჩვენ აგრეთვე დავასკვნით, რომ სამხერხაოებში დიდი მოცულობის უკანონო წარმოება არსებობს, რაც შესაძლოა გავლენას ახდენდეს დამატებითი ღირებულების გამოანგარიშებაზე. შედარებისათვის დავიანგარიშეთ საშუალო დამატებითი ღირებულების წილი ყველაზე განვითარებული სახერხი მრეწველობის მქონე ქვეყნებში. დახერხილი მერქნისათვის (ფიცარი), საშუალო დამატებითმა ღირებულებამ 2014 წელს შეადგინა - 70 ლ/ მ³, რომელიც გამოხატულია როგორც მორის ღირებულება. ეს ასევე მიუთითებს იმაზე, რომ შეფასებული ღირებულებები ფიცრის წარმოებისათვის ცხრილში 6-8 არ არის ზუსტი.

ხე-ტყის გადამამუშავებელ მრეწველობაში, დახერხილი მერქნის (ფიცრის) კომპონენტის დამატებითი ღირებულება შეადგენს 646-726 ლ/მ³, გამოხატული როგორც მორის ღირებულებები წიწვოვანისათვის, და 741-897 ლ/მ³ საშუალოდ ფოთლოვანისათვის. როგორც აღინიშნა, ძირითადი დათვლები ხე-ტყის გადამამუშავებელი მრეწველობის შესახებ, განხორციელდა სხვადასხვა გამოთვლების გამოყენებით და, შესაბამისად, შეიძლება იყოს უზუსტო. თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, ციფრები აჩვენებს, რომ ხე-ტყის გადამამუშავებელი მრეწველობა ქმნის მნიშვნელოვან დამატებით ღირებულებას.

6.8 დამატებითი ღირებულება – მშპ-ს გამოთვლა

დამატებითი ღირებულების სიდიდე თანხობრივად (სხვაობა საქმიანობის გამოსავლიანობის ღირებულებასა და შუალედური ხარჯების ღირებულებას შორის) სატყეო სექტორის ყველა კომპონენტისა უტოლდება სატყეო სექტორის წილს ეროვნულ მშპ-ში.

საქართველოს ეროვნული ანგარიში ეფუძნება სტანდარტულ მეთოდოლოგიას - 1993 წლის ეროვნული ანგარიშის სისტემას (SNA-93), რომელიც რეკომენდებულია გაეროს, ევროპის საზოგადოებების კომისიის, ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის, მსოფლიო ბანკის და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ. არსებობს სამი სხვადასხვა ხელმისაწვდომი მეთოდი მშპ-ს გამოთვლისა მიმდინარე ფასებში მოცემული წლისათვის: საწარმოო მეთოდი, ხარჯების მეთოდი, და შემოსავლის მეთოდი. ჩვენ შეფასებაში, გარდა დამატებითი ღირებულებისა, რომელიც ეფუძნება მერქნის ბალანსის ეკონომიკას, გამოვიყენეთ საწარმოო მეთოდი. საქართველოში მშპ-ს დათვლა საწარმოო მეთოდით ეფუძნება ქვეყნის

ეკონომიკური საქმიანობის ეროვნულ კლასიფიკაციას. აღნიშნული მეთოდოლოგია ასევე ითვალისწინებს ჩრდილოვან ეკონომიკას. საქსტატთან საუბრებისას აღმოჩნდა, რომ დაახლოებით 75% მშპ-ს სატყეო კომპონენტისა ეფუძნება უკანონო ჭრებს არაპირდაპირი დათვლებით, ხოლო უკანონო პრაქტიკამ სატყეო სექტორში, როგორც გაცხადდა, შეადგინა 35%-ზე მეტი.

საქართველოს მშპ-ს დათვლა აერთიანებს სოფლის მეურნეობის, სამონადირეო და სატყეო, და თევზის მრეწველობის სფეროების მონაცემებს, როგორც ერთიან თანხობრივ ციფრს და მოიცავს ზემოთ აღნიშნულ უკანონო პრაქტიკას. ანგარიშების მიხედვით არსებულმა მშპ-მ აღნიშნული ჯგუფისათვის 2014 წელს შეადგინა 2,328 მილიონი ლარი, როგორც საწყისი ციფრი. ანგარიშების მიხედვით არსებული მშპ-ს ზრდის ტემპი, როგორც საწყისი ფასებისა, ოფიციალური ინფორმაციით შეადგენდა 1.6% 2014 წელს. მოწოდების და მოხმარების ცხრილები მშპ-ს დათვლისთვის ასევე წარმოდგენილია შემდეგი ტყის პროდუქტების ჯგუფებისათვის: ტყის პროდუქტები, ჭრები და მასთან დაკავშირებული მომსახურება, ხე-ტყე და ხე-ტყისგან დამზადებული პროდუქტები; ცელულოზის და ქაღალდისაგან დამზადებული პროდუქტები. სოფლის მეურნეობა შეადგენს ძირითად წილს მშპ-ში 2,328 მილიონი ლარის ოდენობით 2014 წელს. ამგვარად, ტყის ჯგუფი შეიცავს ყველა ტიპის ნაწარმ პროდუქტს სატყეო სექტორიდან და არა მარტო ხე-ტყის მასალა არის ჩართული. ხე-ტყის პროდუქტების ჯგუფში პირველადი და მეორადი ხე-ტყე ერთად არის დაჯგუფებული. ცელულოზისა და ქაღალდის ჯგუფში თითქმის ყველაფერი იმპორტირებულია და არ მოიხმარს ადგილობრივი ხის ბოჭკოს. ყველა ეს მონაცემი მთლიანი მშპ-ს შესახებ ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: www.geostat.ge.

6.8.1 დამატებითი ღირებულება მშპ-ს გამოთვლა. დეტალური ანგარიში.

საქსტატი ასევე ახორციელებს მშპ-ს დათვლის მეორე ციკლს სხვადასხვა სექტორში. სატყეო სექტორი ერთ-ერთ მათგანს წარმოადგენს. აღნიშნული ანგარიშები გამარტივებულია და დამატებითი ღირებულების კომპონენტი წარმოადგენს შრომით ხარჯებს წარმოებაში, რომელიც ოფიციალურად წარედგინება საქართველოს მთავრობას საგადასახადო მიზნით. ამიტომ, აღნიშნულ შემთხვევაში, მშპ-ს ანგარიშებში არ არის წარმოდგენილი უკანონო წარმოება ან უკანონო კომპანიები, განსხვავებით მთავარი ანგარიშისა, რომელიც ადრე განვიხილეთ. სხვა ხარჯთაღქმორები აქ არ არის გათვალისწინებული. ამიტომ, დამატებითი ღირებულებები წინამდებარე მშპ-ს დათვლის მეთოდოლოგიის მიხედვით შესაძლოა შემცირებული შეფასებებია რეალური დამატებითი ღირებულების წვლილისა სატყეო სექტორიდან. მშპ-ს გამარტივებული ანგარიში წარმოდგენილია ცხრილში 6-9.

	მშპ მლნ ლარი	ოფიციალურად დამზადებული, ლარი/მ ³ მორი
ხე-ტყის დამზადება	7.3	10.4
მომსახურეობა, ხე-ტყისჭრა&სატყეო	0.2	0.3
სახერხი	13.3	103.9
ხე-ტყის დამუშავება კონსერვანტებით	5.6	?
ხე-ტყის დამუშავების მრეწველობა	28.2	1197-1490
იატაკის აუწყობელი პანელები	0.1	-
სადურგლო	25.1	-
მერქნისაგან დამზადებული ტარა	0.1	-
ხე-ტყის სხვა პროდუქტი	2.3	-

2014 წლის ანგარიში შემდეგი სახით წარმოადგენს დამატებით ღირებულებას: ხე-ტყის დამზადება - 7.3 მილიონი ლარი; სატყეო მეურნეობა და ხე-ტყის ჭრასთან დაკავშირებული მომსახურება - 0.2 მილ. ლარი; სახერხი - 13.3 მილ. ლარი; ხე-ტყის დამუშავება კონსერვანტებით - 5.6 მილ. ლარი, და ხე-ტყის დამუშავების მრეწველობა - 28.2 მილ. ლარი.

ხე-ტყის დამუშავების მრეწველობა შეადგენს ყველაზე მაღალ დამატებით ღირებულებას და წილს მშპ-ში, მას მოყვება სახერხი მრეწველობა. ხე-ტყის დამუშავების მრეწველობის ფარგლებში ქვე-ჯგუფი „სადურგლო“ ქმნის აბსოლუტურად ყველაზე მაღალ დამატებით ღირებულებას.

დამატებითი ღირებულება ხე-ტყის დამუშავების კონსერვანტებით საკმაოდ მაღალია. ეს მოულოდნელი იყო იმის გამო, რომ ჩვენ ვერ მოვიძიეთ ინფორმაცია ხე-ტყის კონსერვანტებით დამუშავებაზე წინამდებარე კვლევაში გამოყენებულ სხვა სტატისტიკურ წყაროებში. ამიტომ, აღნიშნულ საქმიანობაზე ბევრის თქმა არ შეგვიძლია.

საქსტატის მიერ მშპ-ს დეტალური ანგარიშის მიხედვით ჩვენ გამოვთვალეთ დამატებითი ღირებულება, როგორც ლ/მ³ მორზე ტყეში – ციფრები მარჯვენა სვეტში ცხრილში 6-9. ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია შევადაროთ მორის დამატებითი ღირებულება ტყეში და როგორ იცვლება ეს ღირებულება იმისდა მიხედვით თუ რისთვის მოიხმარება ეს მორი. ეს შეფასებული დამატებითი ღირებულებები შესაძლებელია შევადაროთ ღირებულებებს, ცხრილიდან ცხრილში 6-8, რომელშიც სხვა მეთოდოლოგიაა გამოყენებული, სადაც უფრო მეტი ხარჯთვალაქტორია გათვალისწინებული ვიდრე მშპ-ს გამარტივებულ ანგარიშში.

აღნიშნულ ორ ანგარიშს შორის დიდი განსხვავებებია. თუმცა ორივე აჩვენებს მაღალ დამატებით ღირებულებას ხე-ტყის დამუშავების მრეწველობაში. ორ ანგარიშს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა სახერხის კუთხით. ცხრილში 6-8 აღნიშნული ღირებულებები თითქმის არ აჩვენებენ დამატებით ღირებულებას (უფრო ნეგატიურ ღირებულებას აჩვენებენ) სახერხის კუთხით. მოცემულ სექციაში ჩვენ უკვე განვიხილეთ ეს საკითხი და დავასკვნით, რომ არის ერთი ოფიციალური და ერთი არა ოფიციალური ფასების სია (ე.წ. 'პრაის ლისტი')

ქარხნებში მოხმარებულ მორეზზე. მეორეს მხრივ, საქსტატის გამარტივებული ანგარიში აჩვენებს ძალიან მაღალ დამატებით ღირებულებას სახერხისათვის. საერთაშორისო ღირებულებებთან შედარებით ეს ღირებულება ძალიან მაღალია. ეს შესაძლებელია იყოს შედეგი დახერხილი მერქნის (ფიცრის) რეალურად უფრო მეტი წარმოებისა შედარებით ანგარიშებში არსებულ ხე-ტყის წარმოებასთან (ფაქტი, რომელსაც ჩვენ აგრეთვე ექვევებ ვაყენებდით ხელმისაწვდომი სტატისტიკის ადრეულ განხილვაში).

6.9 საგადასახადო ბალანსი

ერთ-ერთი მეთოდი შეფასებისა, თუ თუ როგორ ითვალისწინებს სატყეო სექტორი საზოგადოების მოთხოვნებს, არის საქართველოში ხე-ტყისგან დამზადებული პროდუქტების წვლილის დაანგარიშება საგადასახადო ბალანსში. ჩვენ გამოვიყენეთ საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის სტატისტიკური მონაცემები, UNECE-ს და FAO-ს მონაცემთა ბაზები საქართველოს სატყეო სექტორის შესახებ და FAO-ს მონაცემთა ბაზა სავაჭრო დინებების შესახებ რათა შეგვეფასებინა სატყეო პროდუქტების საგადასახადო ბალანსი 2014 წლისთვის. ბალანსი წარმოდგენილია ცხრილში 6-10.

ცხრილი 6-10. ტყის პროდუქტების წვლილი სავაჭრო ბალანსში 2014 წელს

ექსპორტი	იმპორტი	სავაჭრო დეფიციტი
23 მლნ ლარი	197 მლნ ლარი საიდანაც	174 მლნ ლარი
	ხის პანელები: 36%	
	ხის ავეჯი: 35%	

ტყის პროდუქტებში მნიშვნელოვანი უარყოფითი სავაჭრო დეფიციტია - 174 მილიონი ლარი 2014 წელს. მაღალი დეფიციტის მთავარი მიზეზია, ხის პანელების და ხის ავეჯის დიდი მოცულობის იმპორტი. მაღალი უარყოფითი საგადასახადო ბალანსი, ზოგადად ხელს უშლის ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. საგადასახადო ბალანსის თვალსაზრისით, უნდა აღინიშნოს, რომ რადგანაც საქართველოში არ არის ხის პანელების საკმარისი წარმოება, ხდება მისი იმპორტი უზარმაზარი მოცულობებით. ისეთი პროდუქტები, როგორც არის მერქანბურბუმელის ფილები, OSB (ორიენტირებული მსხვილი ბურბუმელის ფილები) და MDF (საშუალო სიმკვრივის ბოჭკოვანი ფიბროლიტი) მოითხოვს დაბალი ხარისხის ხე-ტყის ნედლეულს. დაბალი ხარისხის ხე-ტყის ნედლი მასალის საშემე ხე-ტყედ გამოყენების მაგივრად, მისი გამოყენება შესაძლებელია ადგილობრივი ხის პანელების დამზადებისათვის. ეს გაზრდიდა დარგში დამატებით ღირებულებების შექმნას და მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს საგადასახადო ბალანსის გაუმჯობესებას.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ხის ავეჯის წარმოება ვერ აკმაყოფილებს ადგილობრივ მოთხოვნილებას ხე-ტყის გადამუშავების მრეწველობის სიმძლავრეების გათვალისწინებით.

ამის მიზეზი შესაძლოა იყოს დაბალი კონკურენტუნარიანობა დიზაინისა და ფასების თვალსაზრისით.

6.10 ეკონომიკური დანაკარგები სოციალური და უკანონო ჭრების გამო

ჩვენ უკვე დავასკვნით, რომ სოციალური და უკანონო ჭრები იწვევს უზარმაზარ ეკონომიკურ დანაკარგებს. ეკონომიკური დანაკარგების შეფასების ერთ-ერთი მეთოდი ითვალისწინებს ბაზრის ფასების მიხედვით აღნიშნულ მოცულობებზე და მიმდინარე შემოსავლის გამოკლებას, შედეგად ვიღებთ დანაკარგების შეფასებას. სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ დიდი

მოცულობები, როგორც ამ შემთხვევაში, გადაადგილდება სუბსიდირებული ან უკანონო ბაზრებიდან ღია ბაზარზე, საბაზრო ეკონომიკა იცვლება: მომხმარებლები იცვლიან თავიანთ საბაზრო გემოვნებებს და ნახულობენ სხვა საშუალებებს საკუთარი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ამრიგად, ის საბაზრო ფასები, რომლებიც ჩვენ დღეს გაგვაჩნია, გაქრება როგორც კი ღია ბაზარზე ახალი მოცულობები გამოჩნდება და დაემატება; ფასები მნიშვნელოვნად დაიწევს. ჩვენ შევსწრებივართ კიდევაც სხვა ქვეყნებში, რომ მსგავსმა ტრანსფორმაციამ შესაძლოა გამოიწვიოს დღევანდელი ბაზრის ზოგიერთი სეგმენტის სრული გაქრობა.

რაც შეეხება სოციალური პროგრამებიდან მიღებულ დანაკარგებს, შეფასების ძირითად მეთოდს წარმოადგენს 'დაკარგული მოსაკრებლების' გამოყენება საშემე და სამასალე ხე-ტყის სოციალურიდან საბაზრო ჭრებისკენ მოძრაობისას (ცხრილი 6-1). სოციალური ჭრებით გათვალისწინებული სამასალე ხე-ტყის წვლილი მიეყიდება მრეწველობას უფრო მაღალ ფასად, მაგრამ ზუსტი ფასები ჩვენ არ ვიცით. ამიტომ, ეს პოტენციურად მაღალი ღირებულება სამასალე ხე-ტყისა დათვლისას არ არის გათვალისწინებული.

ამის შედეგია ძირითადი დანაკარგები - სოციალური ჭრების პროგრამა სახელმწიფოს მინიმუმ 30 მილიონი ლარის დანაკარგს აყენებს. სამასალე ხე-ტყის უფრო მაღალი ღირებულების შემთხვევაში დანაკარგი კიდევ უფრო მეტი იქნება. გამოთვლებისათვის ჩვენ გამოვიყენეთ შეფასება ადრეულ სექციებში წარმოდგენილი მოცულობებისა და წინამდებარე სექციაში მოცემული ინფორმაცია ფასების შესახებ.

რაც შეეხება უკანონო ჭრების შედეგად მიღებულ ეკონომიკურ დანაკარგებს, CENN-მა 2016 წელს, წარმოადგინა ეკონომიკური დანაკარგების ანგარიში 446 მილიონი ლარის ოდენობით, იმის დაშვებით, რომ აღნიშნული ხე-ტყე ახლანდელი საბაზრო ფასებით გაიყიდა. თანამედროვე სატყეო მრეწველობა, ამა თუ იმ ასპექტში, ეყრდნობა დიდი მასშტაბის უკანონო ჭრებს და წარმოებას, რაც ნიშნავს დაბალფასიან ნედლეულს. არის მხოლოდ ნაწილი არსებული მრეწველობისა, რომელსაც გააჩნია საშუალება გადაიხადოს სრული საბაზრო ღირებულება.

ამიტომ, უკანონო ჭრებით გამოწვეული დანაკარგების შესაფასებლად გამოვიყენეთ ზემოთ აღნიშნული მეთოდოლოგია და დანაკარგი შეფასდა მინიმუმ 100 მილიონ ლარად. რა თქმა უნდა, ძირითად მეთოდოლოგიას თუ შევადარებთ, ამ შემთხვევაში სამასალე მორებზე უფრო მაღალი ფასი იქნება. ფასი დაახლოებით მოსაკრებლისა და ამჟამინდელ საბაზრო ღირებულებას შორის იქნება. თუმცა, მოცემულ სიტუაციაში ჩვენ არ ვიცით თუ საბოლოოდ რა დონეზე

დასტაბილურდება საბაზრო ფასი. ამიტომ, ჩვენი დასკვნის მიხედვით, უკანონო ჭრების მიერ გამოწვეული დანაკარგები წელიწადში საშუალოდ 100-დან 400 მილიონ ლარს შეადგენს.

ჯამში ეს ნიშნავს დანაკარგს სახელმწიფოსათვის მინიმუმ 130 მილიონი ლარის ოდენობით. თუმცა შეიძლება დანაკარგმა 300 მილიონსაც მიაღწიოს წელიწადში. ეს ნიშნავს, რომ დანაკარგები აღნიშნული საქმიანობიდან 10-20-ჯერ აღემატება მიმდინარე ხარჯებს საქართველოს ტყეების მართვაზე.

6.11 ეკონომიკური შეფასების მოკლე მიმოხილვა

ეკონომიკურ შეფასებებში არის სერიოზული უზუსტობები, რაც, თავის მხრივ, გამოწვეულია უზუსტობებით საბაზო მონაცემებში. სატყეო სექტორისათვის სამომავლო გონიერი პოლიტიკის

ფორმირების მიზნით, მთავრობამ სასწრაფოდ უნდა უზრუნველყოს მაღალი სიზუსტის ეკონომიკური მონაცემების შეგროვება და მათი საჯარო ხელმისაწვდომობა.

შეფასებებში არსებული უზუსტობების მიუხედავად იკვეთება საერთო სურათი, რომ გასაყიდი ღირებულებები, დამატებითი ღირებულებები და წვლილი მშპ-ში მნიშვნელოვნად იზრდება ღირებულებების ჯაჭვის გასწვრივ (საშეშე ხე-ტყედან დახერხილ ხე-ტყემდე და ხე-ტყის გადამუშავების მრეწველობის პროდუქტებამდე). საშეშე ხე-ტყის დამზადებაში თითქმის არავითარი ღირებულება არ არის, ხოლო ხე-ტყის გადამუშავების მრეწველობაში არის ძალიან მაღალი ღირებულებები. ცხადია, რომ საქართველოს სატყეო სექტორმა სასწრაფოდ უნდა დაიწყოს სვლა უფრო მაღალი დამატებითი ღირებულების მქონე წარმოების შექმნისკენ, სექტორის ეკონომიკის გაუმჯობესების მიზნით.

ჩვენ ვერ შევძელით ხე-ტყის მოძრაობის ჯაჭვის სხვადასხვა კომპონენტის მოგების ზუსტი შეფასება, მონაცემების არქონის გამო. თუმცა, როგორც სხვა ეკონომიკურ ანალიზებში აღინიშნა, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოგების მარჟები ძალიან დაბალია ან თითქმის არ არსებობს. ჩვენ ასევე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სხვადასხვა მიზეზების გამო, მრეწველობა თითქმის არ არის კონკურენტუნარიანი არც ადგილობრივ, და არც საერთაშორისო ბაზრებზე. მიზეზები განხილული იქნება სექციაში 7. მთავრობამ და თავად დარგმა სასწრაფოდ უნდა განახორციელონ სექტორის განვითარებაზე მიმართული ქმედებები, რომლებიც უზრუნველყოფენ შემოსავლის სოლიდურ მარჟებს, ხოლო თავად სატყეო მეურნეობა აღარ იქნება ჩრდილოვან საქმიანობაზე დამოკიდებული.

ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში არსებობს ტყის პროდუქტების უზარმაზარი სავაჭრო დეფიციტი 2014 წელს. ეს ნეგატიურად აისახება ქართული საზოგადოების ზოგადი განვითარების შესაძლებლობებზე. საგადასახადო ბალანსის გაუმჯობესება შესაძლებელია დამატებითი ღირებულებების წარმოების და მნიშვნელოვანი მომგებიანობის შექმნის ხარჯზე..

7. სტრუქტურული შეზღუდვები

კანონმდებლობაზე (სექცია 4), ხე-ტყის ბალანსზე (სექცია 5) და ეკონომიკურ შეფასებაზე (სექცია 6) მუშაობისას GFA-ს გუნდმა, საქართველოს სატყეო სექტორში გამოავლინა რიგი სტრუქტურული შეზღუდვების. აღნიშნული სტრუქტურული შეზღუდვების დამატებითი

იდენტიფიცირებისათვის ჩვენ ასევე გამოვიყენეთ სავლე დაკვირვებები და ხელმისაწვდომი ლიტერატურა.

სატყეო მეურნეობის და სატყეო სექტორის არამდგრადობა, აგრეთვე არადამაკმაყოფილებელი ეკონომიკური მაჩვენებლები, ეს ყველაფერი სათავეს იღებს სტრუქტურული შეზღუდვებისაგან და წარუმატებელი სტრატეგიისაგან. ეს ნიშნავს, რომ მცირე გაუმჯობესება ბევრს არაფერს არ შეცვლის. *სექტორში მდგრადობის და ეკონომიკური მაჩვენებლების გასაუმჯობესებლად სტრუქტურული ცვლილებებია საჭირო.*

7.1 მართვაში არსებული ნაკლოვანებები

საქართველოს სატყეო სექტორის მართვაში სერიოზული ნაკლოვანებები არსებობს.

სახეზეა მეთოდოლოგიის, სტრატეგიის და კოორდინაციის დეფიციტი მთელი სატყეო სექტორის მასშტაბით. არ არსებობს გაგება იმისა, რომ საქართველოს სატყეო სექტორს გააჩნია სამი კომპონენტი: სატყეო მეურნეობა, სატყეო მრეწველობა და ბაზრები, და რომ უნდა არსებობდეს ამ სამივე კომპონენტის ყოვლისმომცველი მართვა. ძალისხმევა მხოლოდ (თანაც, ისიც მხოლოდ ნაწილობრივ) სატყეო მეურნეობაზეა მიმართული. თუ მიზანი არის შეიქმნას ეკონომიკაზე დაფუძნებული სატყეო მეურნეობა, მაშინ იგი დამოკიდებული უნდა იყოს თავად მრეწველობაზე, რომელიც თავად იხდის იმ ხე-ტყის საფასურს, რომელსაც მოიხმარს. გარდა ამისა მრეწველობას ჭირდება ბაზრები საკუთარი პროდუქტების გასაყიდად, რათა შეძლოს გადაიხადოს იმ ხე-ტყის საფასური, რომელსაც თავად მოიხმარს. ამრიგად, სატყეო სექტორის მთელი სისტემა უნდა იყოს კოორდინირებული ყოვლისმომცველი მართვის საშუალებით. ეს დეფიციტი ასევე იქნა იდენტიფიცირებული RERAM-ის კვლევების ფარგლებში (RERAM, 2016a). თუმცა, მოცემულ მომენტში არ არსებობს არც პოლიტიკური პრიორიტეტი, არც ნება შეიქმნას მოქმედი, ყოვლისმომცველი სექტორი. არ არსებობს სახელმწიფო ორგანიზაცია, რომელიც ჩართული იქნება სატყეო მრეწველობის, ბაზრებისა და ბიზნეს სტრატეგიების განვითარებაში სექტორის ფარგლებში.

სარწმუნო მონაცემები ინვენტარიზაციის შესახებ აუცილებელი პირობაა სექტორის განვითარებისათვის. საქართველოს ტყის ფონდის შესახებ, ახალი მონაცემების არქონის პირობებში, სექტორის მართვა ეფუძნება არასწორ ვარაუდებს და ტყეების არასრულ ღირებულებებს. ტყეებს მრავალი ფუნქცია გააჩნიათ – ფაქტი, რომელიც აღიარებულია ეროვნულ სატყეო სტრატეგიაში - და ამ ფუნქციებს შორის არის ფაქტორები, რომლებიც, ერთმანეთზე გარკვეულ გავლენას ახდენენ. მართვის პრიორიტეტი უნდა იყოს აღნიშნული ფაქტების სწორი დაბალანსება.

ეროვნული სატყეო სტრატეგიის პრიორიტეტები კონტრპროდუქტიულია. ეროვნულ სატყეო სტრატეგიაში არსებული პრიორიტეტია სოფლის მოსახლეობის საჭიროებების დაკმაყოფილება. ანუ, მათი საშემე და სამასალე მერქნით უზრუნველყოფის ინტენსიური სუბსიდირება. ეს პირდაპირ კონტრპროდუქტიულია ეკონომიკურ ბაზაზე არსებული სატყეო სექტორისათვის და

ენინა აღმდგეგება წინამდებარე კვლევას, რომლის მიზანია დაადგინოს შესაძლებელია თუ არა საქართველოში ჩამოყალიბდეს ეკონომიკურად ორიენტირებული ტყის მართვა, ხე-ტყის უტილიზაციის საფუძველზე. ეროვნულ სატყეო სტრატეგიაში არსებული პრიორიტეტის გათვალისწინებით, ეკონომიკის პრინციპებზე დაფუძნებული ტყის მდგრადი მართვის მიღწევა საქართველოში შეუძლებელია. არსებობს აუცილებლობა გადაიხედოს პოლიტიკური პრიორიტეტები სატყეო მეურნეობის შესახებ საქართველოში ტყის ყველა ღირებულების გათვალისწინებით.

ტყის მმართველ და ზედამხედველობის ორგანოებს არ გააჩნიათ სათანადო კვალიფიკაცია გადაიყვანონ ტყის მართვის პროცესი მდგრად პრინციპებზე. თუმცა, ხორციელდება ქმედებები აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრისათვის. ჯერ კიდევ უცნობია, საკმარისია თუ არა ეს ქმედებები.

სექტორის მდგრად განვითარებას ხელს უშლის მნიშვნელოვანი ჩრდილოვანი პრაქტიკა ხე-ტყის მოძრაობის მიუღია ჯაჭვში. შეუძლებელია მდგრადი სატყეო მეურნეობის და სექტორის შექმნა არსებული ჩრდილოვანი პრაქტიკის აღმოფხვრის გარეშე. სექტორი უნდა ეყრდნობოდეს კანონიერ და გამჭვირვალე ოპერაციებს და არა როგორც ეს დღეს არის მეტწილად - ანუ, უკანონო საქმიანობას. ხორციელდება ქმედებები, აღნიშნული ჩრდილოვანი პრაქტიკის აღმოფხვრისათვის, მაგრამ ეს ქმედებები უნდა გამყარდეს და დაჩქარდეს.

კანონმდებლობა მკაცრად ზღუდავს ტყის მართვის ორგანოების უფლებამოსილებას შექმნას, შეინარჩუნოს და მოახდინოს რეინვესტირება ხე-ტყის ჭრებიდან მიღებული შემოსავლისა. სექციაში 4 ჩვენ აღვწერეთ თუ როგორ უშლის ხელს კანონმდებლობა საქართველოს სახელმწიფო სატყეო საწარმოებს – NFA-ს და APA-ს მთავარი სარგებლობის ჭრების განხორციელებაში და თუ როგორ გაეძინება შემოსავალი სექტორიდან სააუქციონო ფასის და ბუნებრივი რესურსით სარგებლობის მოსაკრებლების განაწილების გამო.

სატყეო სექტორში სერტიფიცირება არ არის ჩამოყალიბებული. სერტიფიცირების სისტემა საბაზრო ინსტრუმენტია ოპერაციების მდგრადობისაკენ წარმართვისათვის. სერტიფიცირება აუცილებელია, როგორც სატყეო მეურნეობისათვის, ასევე სატყეო მრეწველობისათვის. საერთაშორისო ბაზრები სერტიფიცირებულ ხე-ტყეს ეფუძნება. საქართველოს ადგილობრივ ბაზარზე არ არსებობს დაინტერესება ხე-ტყის კანონიერებით ან მდგრადობით, და არ არსებობს მოთხოვნაც სერტიფიცირებაზე, რაც უკანონო და ჩრდილოვან ოპერაციებს გაფურჩქვნის საშუალებას აძლევს.

7.2 საბაზრო პირობები და შესაძლებლობები

შიდა ბაზარი ტყის მრეწველობის პროდუქტებისათვის დაბალფასიანი და დაბალი ხარისხის არის. ქართველი მომხმარებლები მეტად რეაგირებენ ფასზე ვიდრე ხარისხზე. შედეგად, კლიენტები შედარებით დაბალი ხარისხის პროდუქტებს ყიდულობენ. ისინი ცვლიან ტრადიციულ, ხის ბაზის შემცველ პროდუქტებს, როგორც არის კარების ჩარჩო, ფანჯრები, ჭურჭლის კარადები, იატაკი და სხვა ნავთობშემცველი პროდუქტებით, რადგანაც ისინი უფრო დაბალფასიანია ვიდრე ანალოგიური ხის ბაზის შემცველი პროდუქტები. რაც შეეხება ხის ბაზის შემცველ პროდუქტებს, ადგილობრივი მწარმოებლები აწყდებიან სირთულეებს ფასის და ხარისხის კონკურენციაში, მსხვილ საერთაშორისო მწარმოებლებთან, რომლებიც საქართველოში ექსპორტს ახორციელებენ; ასე რომ, კონკურენცია მწვავეა. სამშენებლო სექტორი

არ მოიხმარს ხე-ტყეს დიდ რაოდენობით ქალაქებში მიმდინარე მშენებლობებზე; ძირითადი სამშენებლო მასალებია ცემენტი, რკინა და შუშა. ხე-ტყის გამოყენების შემთხვევაში, მოხმარებული ხე-ტყის მასალის ხარისხისათვის არ არსებობს სამშენებლო კოდეზი. მრეწველობა ძალიან, თითქმის სასიცოცხლოდ დამოკიდებულია სამთავრობო შესყიდვებზე. ამ ყველაფრის გამო, შიდა ბაზარი დაბალფასიანია, რაც ხელს უშლის დარგს მიიღოს სოლიდური და მდგრადი ეკონომიკური შემოსავლები, და პირიქით, ხელს უწყობს ჩრდილოვან საქმიანობას და დაბალ გადახდისუნარიანობას.

არსებობს ადგილობრივი ბაზრის განვითარების აუცილებლობა. ეს ნიშნავს განათლებას და ინფორმაციას მომხმარებლებისათვის ხის გამოყენების უპირატესობების შესახებ - პროდუქტების ვარგისიანობის ვადა, გარემოზე ზემოქმედება, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რისკები, რეალური ღირებულებები სხვა პროდუქტებთან შედარებით და სხვა. ბაზარზე არსებული ყველა ხე-ტყის პროდუქტი სერტიფიცირებული უნდა იყოს. ეს სახელმწიფოსა და დარგის ერთობლივი ძალისხმევით უნდა იქნას მიღწეული.

საერთაშორისო ბაზრებზე არსებობს შესაძლებლობები, მაგრამ საქართველო არ არის ადაპტირებული მათი გამოყენებისათვის. საერთაშორისო ბაზრები მწვავე კონკურენციის პირობებში არსებობენ როგორც ფასის, ასევე ხარისხის თვალსაზრისითაც. თუ შევისწავლით ვაჭრობის სტატისტიკას დახერხილ ხე-ტყესთან მიმართებაში (FAO-ს მონაცემთა ბაზა ვაჭრობის შესახებ), დავინახავთ, რომ ექსპორტი შეზღუდული რაოდენობის ქვეყნებში ხორციელდება. სავაჭრო დინებებში მაღალი ცვალებადობაა ცალკეულ წლებს შორის. ამიტომ, ჩვენ გამოვიყენეთ უფრო ხანგრძლივი პერიოდი (5-8 წელი) სავაჭრო სტატისტიკის იდენტიფიცირებისათვის. ცვალებადობა სავაჭრო დინებებში ცალკეულ წლებს შორის მიუთითებს იმაზე, რომ სავაჭრო ურთიერთობები მოკლევადიანია და უფრო წააგავს ბაზარს დაუყოვნებლივი მოწოდებით და გადახდით.

რაც შეეხება წიწვოვან დახერხილ ხე-ტყეს, მთავარი საექსპორტო ბაზრები სომხეთი და თურქეთია, შემდეგ აზერბაიჯანი და ირანი გაცილებით უფრო მცირე მოცულობებით. ეს დაბალფასიანი ბაზრებია.

რაც შეეხება ფოთლოვან დახერხილ ხე-ტყეს, თურქეთი და ირანი მთავარი საექსპორტო ბაზრებია, შემდეგ მოდის არაბთა გაერთიანებული საემიროები და უფრო და უფრო მზარდი მოცულობების ექსპორტი ხორციელდება ჩინეთში. შედარებით დიდი მოცულობები იგზავნება იტალიაში და მცირე მოცულობები ევროკავშირის სხვა ქვეყნებში. თუმცა, ეს შეიძლება ჩაითვალოს როგორც უკანონო ვაჭრობა ევროკავშირის მხრიდან იმის გამო, რომ მისი წესები და რეგულაციები იმპორტიორებისაგან მოითხოვს გარკვეული პროცედურების განხორციელებას, რომელიც უზრუნველყოფს ხე-ტყის ლეგალურ წარმოშობას. ამიტომ, თუ საქართველოში სერტიფიცირება არ დაინერგება, ეს საექსპორტო ბაზრები მალევე შეიძლება დაიკარგოს. დროთა განმავლობაში, სერტიფიცირების მოთხოვნა სხვა ქვეყნებშიც დაკანონდება.

როგორც აღინიშნა, საერთაშორისო ბაზრები მოითხოვენ მაღალ ხარისხს და კონკურენტუნარიან ფასებს, რაც აუცილებელია ბაზარზე დამკვიდრებისათვის. ექსპორტირებული ქართული დახერხილი ხე-ტყე სავარაუდოდ ითვლება დაბალი ხარისხის პროდუქციად, საშრობი საშუალებების არქონის, შეზღუდული ხარისხობრივი სორტირების, მომრგვალებული და ბლაგვი კუთხეების გამო.

GAIN-ის (2010), Aksu et al-ის (2011), Akyuz et al.-ის (2013), RISI-ის (2013), VEDP-ის (2014) და TURKSTAT-ის მიერ მოწოდებული მონაცემებისა და კვლევის მიხედვით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საქართველოსათვის თურქეთი საინტერესო ბაზრად უნდა ჩაითვალოს. თურქეთი მსოფლიოს მე-16 ეკონომიკაა სიდიდით, სადაც 80 მილიონამდე მაცხოვრებელია. სატყეო მრეწველობა დაახლოებით 22%-ს შეადგენს ჯამური საწარმოო მრეწველობისა და შედგება დაახლოებით 60,000 კომპანიისაგან, სადაც დასაქმებულთა საერთო რიცხვის 11% მუშაობს. ქვეყანა ხის ავეჯის, მყარი აწყობილი იატაკის და სადურგლოს დიდი მწარმოებელი და მოვაჭრეა. ევროპაში თურქეთი MDF-ის წამყვანი მწარმოებელია მზარდი ახალი სიმძლავრეებით, და მერქანბურბუმელის ფილების მეოთხე უდიდესი მწარმოებელია ევროპაში. წლიური მოხმარება სამასალე მრგვალი ხე-ტყისა 12-13 მილიონ მ³-ს შეადგენს, მაგრამ წლიური ჭრები მხოლოდ სადაც 8 მილიონმ³/წ აღწევს და ეს ძირითადად დაბალი ხარისხის მაგარი მერქნია. ასე რომ, ქვეყანა მეტად არის დამოკიდებული ხე-ტყის ნედლეულის და მეორადი ხის მრეწველობის პროდუქტების იმპორტზე. საქართველოსთვის უნდა არსებობდეს საბაზრო შესაძლებლობები მაღალი ხარისხის ფოთლოვანი ხე-ტყის თურქეთში ექსპორტისათვის. კიდევ ერთი შესაძლებლობაა ხის ბურბუმელისა და ნაფოტების ექსპორტი თურქეთის ხის პანელების სწრაფად მზარდი მრეწველობისათვის, და დაბალი ხარისხის საშემე ხე-ტყის მოხმარება, რომელიც დღეს სუბსიდირდება და უნაწილდება სოფლის მოსახლეობას. თუმცა, თურქეთში ხის პანელების სწრაფად მზარდი მრეწველობის ფონზე ალბათ რთული იქნება საქართველოში შეიქმნას კონკურენტუნარიანი პანელების საწარმოო სიმძლავრეები, რომლებიც ექსპორტზე იქნება ორიენტირებული.

ირანი კიდევ ერთი პოტენციური ბაზარია ექსპორტისათვის. ირანის სატყეო სექტორის რაიმე ახალი მიმოხილვა არ არსებობს. Arian et al-ის (2007) მიერ ჩატარებული კვლევა წარმოადგენს უახლეს ხელმისაწვდომ მონაცემებს. GFA-ს გუნდი გაესაუბრა აღნიშნული ავტორების ჯგუფს ირანის ბაზარზე მიმდინარე ბოლოდროინდელი ტენდენციების შესახებ. ირანში დაახლოებით 72 მილიონი მაცხოვრებელია, უმეტესად ახალგაზრდები. ამ დროისათვის ეკონომიკური ზრდა სტაბილურია, თუმცა, გრძელვადიანი პერსპექტივა უცნობია და დამოკიდებული იქნება ქვეყნის პოლიტიკურ განვითარების მიმართულებაზე. ტყის დამზადების წლიური მოცულობა თითქმის 1 მილიონ მ³-ს შეადგენს. ასე რომ, ქვეყანა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ხის პროდუქტების იმპორტზე. საქართველოდან ირანში შესაძლებელია ავეჯის, ხის დეკორატიული პროდუქტებისა და დახერხილი მერქნის ექსპორტი.

ჩინეთში სწრაფად იზრდება ტყისა და ტყის მრეწველობის პროდუქტების იმპორტი, რაც შესაძლებლობას ნიშნავს საქართველოსთვის. თუმცა, ჩინეთის ბაზრები ჯერჯერობით უკიდურესად დაბალფასიანია.

საქართველოსათვის არსებობს ევროკავშირთან ვაჭრობის შესაძლებლობები, თუ საქართველოში დამზადებული პროდუქცია იქნება სერტიფიცირებული, გამომშრალი, მაღალი ხარისხის და კონკურენტული ღირებულების. დღეს ეს ასე არ არის.

საერთაშორისო ბაზრებზე წარმატების მიღწევისათვის *აუცილებელია ბაზრის ყოველმხრივი შესწავლა. ქართულ კომპანიებს საერთაშორისო ბაზრებზე მუშაობის გამოცდილება თითქმის არ გააჩნიათ. გარდა ამისა, ქართული კომპანიები ძალიან პატარაა იმისათვის, რომ ჰქონდეთ*

შესაძლებლობა განახორციელონ შესაბამისი ბაზრების შესწავლა. თუნდაც კომპანიებმა შექმნან საბაზრო გაერთიანებები, ისინიც კი მეტისმეტად მცირე იქნებიან აღნიშნული მასშტაბური ამოცანისათვის. ბაზრის კვლევისათვის საჭირო ეფექტური ინსტრუმენტის შექმნისათვის საჭიროა ფინანსური დახმარება სახელმწიფოს მხრიდან.

7.3 სამრეწველო სტრუქტურა

საქართველოში არსებული სატყეო-სამრეწველო სტრუქტურა პრობლემებს განიცდის. მრეწველობის ძირითადი ნაწილი (დაახლოებით 90%) კლასიფიცირებულია როგორც მცირე საწარმოები. არსებული სამხერხაოების თითქმის ნახევარი და 35% არსებული სამხერხაოების სიმძლავრეებისა შეფასებულია როგორც ჩრდილოვანი მრეწველობა,

დარგში სახეზეა მართვისა და ტექნოლოგიების, საბაზრო ცოდნისა და პროფესიონალური უნარ-ჩვევების დეფიციტი. RERAM-ის მიერ ჩატარებულმა კვლევამ (RERAM, 2016b) დადო იგივე დასკვნა. რეალურად, დარგში მომუშავე ბევრ მენეჯერს და ხელმძღვანელს გააჩნია ან მცირე, ან საერთოდ არააჩნია გამოცდილება სატყეო სექტორში მუშაობისა. მათი გამოცდილება სხვა დარგობრივ სექტორებს უკავშირდება. მენეჯერები მოძველებული ბიზნეს აზროვნებით ხელმძღვანელობენ. როგორც აღინიშნა, ხელმძღვანელობას არ გააჩნია ცოდნა საერთაშორისო ბაზრების, ზოგადად მარკეტინგისა და გაყიდვების სტრატეგიების ჩამოყალიბების უნარი.

დანადგარები უმეტესად დაბალი წარმადობისაა, ხოლო თავად მრეწველობა არაეფექტური და არაეკონომიური საწარმოო სქემებით მუშაობს. მაგალითად, გამოშრობის ნაცვლად ქართული სახერხები აწარმოებენ სველ /მწვანე დახერხილ ხე-ტყეს. შედეგად, ფასის განსხვავება

დახერხილი მერქნის ერთ კუბურ მეტრზე სადღაც 100 ლარს შეადგენს. გარდა ამისა, არ არსებობს შესაბამისი სისტემური ბიზნეს დაგეგმარება და ხარისხის კონტროლის სისტემა.

ყველაფერი ზემოთხსენებულის შედეგია დაბალი ხარისხის პროდუქცია, რაც აიძულებს სატყეო მრეწველობას გაიტანოს საკუთარი პროდუქცია მხოლოდ დაბალფასიან ბაზრებზე.

ყველა ამ ფაქტორის ჯამური შედეგია ის, რომ მრეწველობა თითქმის არ არის კონკურენტუნარიანი არც შიდა, არც საერთაშორისო ბაზრებზე. RERAM-ის მიერ ჩატარებულმა კვლევამ (RERAM, 2016b) დადო იგივე დასკვნა.

ამრიგად, სექტორში უდიდესი ხარვეზებია განათლებისა და კვალიფიკაციის კუთხით. RERAM-ის პროექტის ფარგლებში ჩატარდა იმედის მომცემი ეფექტური ტრენინგ-პროგრამა რამდენიმე კომპანიის მონაწილეობით. ტრენინგი და სწავლება უნდა გაფართოვდეს მთელი მრეწველობის მასშტაბით, ხოლო მათ ორგანიზებაში თავად სატყეო სექტორის გარდა სახელმწიფოც უნდა ჩაერთოს.

7.4 საშემე ხე-ტყის ალტერნატივა

როგორც ავლნიშნეთ, საშემე ხე-ტყის განაწილება სოციალური პროგრამების ფარგლებში იწვევს მნიშვნელოვან ფინანსურ დანაკარგებს სატყეო სექტორისა და სახელმწიფოსათვის, ამცირებს სატყეო მეურნეობაში შექმნილ დამატებით ღირებულებას და სატყეო მრეწველობაში რეინვესტირების შესაძლებლობებს. თუ გავითვალისწინებთ ხე-ტყის უკანონო ჭრებს, აღნიშნული პრობლემა კიდევ უფრო მწვავედ გამოიყურება. უკანონო ჭრების სრული

მოცულობა, რომელიც მოიხმარება საშეშე ხე-ტყისათვის, შედეგად იწვევს ტყის არამდგრად მართვას და არსებული სატყეო რეზერვის ახლო მომავალში გაქრობის საფრთხეს.

ამიტომ, არის აუცილებლობა სოფლის ენერგეტიკული საჭიროებების უზრუნველსაყოფად მოძიებული იქნას ალტერნატიული საშუალებები. როგორც ავღნიშნეთ, ხე-ტყის მოძრაობის ჯაჭვში წარმოიქმნება ხე-ტყის ნარჩენების მნიშვნელოვანი რაოდენობა. თუ გამოვიყენებთ კანონიერი ჭრების შედეგად მიღებული ხე-ტყის ნარჩენების ადრე წარმოდგენილ შეფასებას, და გამოვაკლებთ იმ ნაწილს, რომლის მოხმარება პოტენციურად შესაძლებელია სატყეო სექტორში და ვივარაუდებთ 90%-იანი სარგებლობის ხარისხს, მივიღებთ 198,000-243,000 მ³-ის მოცულობის ხე-ტყის ნარჩენებს, რომლის მოხმარებაც შესაძლებელია ენერგეტიკული დანიშნულებით. ამას შეგვიძლია დავუმატოთ სამხერხაოებში წარმოქმნილი ნარჩენები. იმის გავითვალისწინებაც, რომ სახერხი მრეწველობის მიერ შიდა ბაზარზე მოხმარებული მორის მოცულობას (აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ იმპორტი და ექსპორტი) და ხე-ტყის სტანდარტული გამოსავლიანობის მაჩვენებლებს მსოფლიო ბანკის ანგარიშიდან (2005), მივიღებთ ნარჩენების წარმოებას 90%-იანი უტილიზაციის ხარისხით, რომელიც შეადგენს დაახლოებით 33,000-42,000 მ³-ს წიწვოვანი ხე-ტყის დამზადებაში 2014 წელს. შესაბამისი ციფრი ფოთლოვანი ხე-ტყის დამზადებაში უტოლდება 36,000-46,000 მ³. ხე-ტყის გადამამუშავებელი მრეწველობა ასევე ქმნის ნარჩენებს, რომლის დაანგარიშებაც განხორციელდა მეთოდოლოგიის მიხედვით, რომელიც აღწერილია მერქნის ბალანსის სექციაში, და რომელიც გამოვიყენეთ ხე-ტყის გადამამუშავებელი მრეწველობის სხვადასხვა ქვეკატეგორიების შესაფასებლად. ნარჩენების მოცულობა შეფასებულია როგორც დაახლოებით 5,000-7,500 მ³ 2014 წელს. ჯამში იგი უტოლდება დაახლოებით 272,000-338,000 მ³-ს.

ამ მოცულობის ნარჩენების გამოყენება შესაძლებელია ხის საწვავი გრანულების წარმოებისათვის და შემდგომში გრანულებზე მომუშავე გამათბობლებში საწვავის სახით მოხმარებისათვის. გრანულებზე მომუშავე გამათბობლები გაცილებით უფრო ენერგოეფექტურია ვიდრე ტრადიციული გამათბობლები, რომლებიც საწვავად საშეშე ხე-ტყეს მოიხმარენ. გრანულებზე მომუშავე გამათბობლები შესაძლოა მათზე ორჯერ უფრო ეფექტურები იყოს, თანაც, ამჟამინდელი მოთხოვნა საშეშე ხე-ტყეზე შესაძლებელია შემცირდეს 500,000-700,000 მ³-ით. თუ მოჭრილი საშეშე ხე-ტყის გამოყენება გაგრძელდება გრანულების წარმოებისათვის, აღნიშნული მოთხოვნა შესაძლებელია კიდევ უფრო მკვეთრად შემცირდეს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქართველომ უნდა შეწყვიტოს სოციალური ჭრები, რათა გააუმჯობესოს ტყის ეკონომიკა, გაამკაცროს უკანონო ჭრებზე ზემოქმედება, რათა მიაღწიოს ტყის მდგრად მართვას, შეინარჩუნოს ტყის რეზერვები და მიიღოს ეკონომიკური თვალსაზრისით მდგრადი სატყეო სექტორი.

გრანულების გამოყენება გათბობისათვის მხოლოდ ერთი ალტერნატივაა სოფლების ენერგეტიკული უზრუნველყოფისათვის, და ტყეებისა და მათთან დაკავშირებული ყველა ღირებულების გადასარჩენად. თუმცა, ეს არ არის საკმარისი. მთავრობამ უნდა შეისწავლოს გაზის, ქარის და მზის ენერჯის და სხვა წყაროების გამოყენების შესაძლო ალტერნატივების კომბინაცია. აგრეთვე მდგრადი ბიომასის შესაძლო გამოყენება, რათა გამოინახოს მდგრადი

საშუალება სოფლების ენერგეტიკული უზრუნველყოფისათვის. ეს პრობლემა სამინისტროს დონეზე უნდა გადაწყდეს

7.5 საინვესტიციო გარემო

სატყეო კომპონენტი, სატყეო მრეწველობა და ბაზრის განვითარება არასაკმარის ინვესტირებას განიცდიან. როგორც აღინიშნა, არასაკმარისი ინვესტირება სატყეო მეურნეობაში ნაწილობრივ ადგილობრივი მიზეზებით არის გამოწვეული. სატყეო მეურნეობაში ინვესტირებას თავად კანონმდებლობა ზღუდავს. ის ფაქტი, რომ სოციალური ჭრები პოლიტიკურ პრიორიტეტად არის აღიარებული, საინვესტიციო კაპიტალის შექმნის შესაძლებლობას ამცირებს. უკანონო ჭრებზე და წარმოებაზე სუსტი კონტროლი იწვევს უზარმაზარ დანაკარგებს ფინანსური საშუალებებისა, რომლებიც, პოტენციურად, შესაძლებელია, სატყეო მეურნეობაში იქნას გამოყენებული ინვესტიციების სახით.

არასაკმარისი ინვესტირების შედეგად სატყეო მრეწველობას უჭირს მოჯადოებული წრიდან გამოსვლა - „არაეფექტური წარმოება-დაბალი ხარისხი - დაბალფასიანი ბაზრები“. GFA-ს გუნდის საუბრებში მრეწველობის წარმომადგენლებთან გრძელვადიანი საინვესტიციო კრედიტების არქონა, იდენტიფიცირებული იქნა როგორც მთავარი დაბრკოლება მრეწველობის განვითარების გზაზე.

საჭიროა უზარმაზარი კაპიტალი მთელი სატყეო სექტორის მდგრად საფუძველზე გადაყვანისათვის. სავარაუდოდ, ეს მოთხოვნა კაპიტალზე შეუძლებელია დაკმაყოფილდეს მხოლოდ საქართველოს ძალებით. აღნიშნული ხარვეზის შესავსებად საჭიროა საერთაშორისო ინვესტორები და დონორები. თუმცა, ამჟამინდელი პირობები საქართველოში - გაურკვეველობა ტყის სექტორის მართვის სტრუქტურებში, დაუზუსტებელი მონაცემები, ტყის მარაგების ბუნდოვანი მომავალი და ინტენსიური უკანონო ქმედებები სექტორში - სულაც არ უწყობს ხელს საერთაშორისო ინვესტორების დაინტერესებას საქართველოს სატყეო სექტორით.

მთავრობამ და სატყეო სექტორმა ერთობლივად უნდა იმუშაონ საინვესტიციო კაპიტალის მოზიდვისათვის, რაც აუცილებელია მისი მდგრადი განვითარებისათვის.

8. დასკვნები და რეკომენდაციები

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენდა შეფასება იმისა, შესაძლებელია თუ არა ხე-ტყის სარგებლობაზე დაფუძნებული, ეკონომიკაზე ორიენტირებული, მდგრად პრინციპებზე დაყრდნობით, სატყეო მეურნეობის დაარსება საქართველოში. ჩვენ ვასკვნით, რომ არსებულ პირობებში ეს არ არის შესაძლებელი.

თუმცა, დღეს არსებული სიტუაციის შეცვლა შესაძლებელია. სატყეო სექტორი განიცდის სერიოზულ ფინანსურ დანაკარგებს უკანონო ჭრების (მინიმუმ 100 მილიონი ლარი წელიწადში) და სოციალური ჭრების (მინიმუმ 30 მილიონი ლარი წელიწადში) გამო. ამრიგად, თუ აღნიშნული ქმედებები გადაიქცევა კანონიერ, გამჭვირვალე და საბაზრო პრინციპებზე დაფუძნებულ მდგრად საქმიანობად, სექტორი შეძლებს - მხოლოდ მთავარი სარგებლობის

ჭრებიდან - შექმნას დამატებითი შემოსავალი - 40 მილიონი ლარი წლიურად ხე-ტყის დამზადებით¹⁷.

გარდა ამისა, ხე-ტყის გადამუშავების მრეწველობის შიდა ორგანიზაცია ძალიან მოძველებულია, მისი უმეტესი ნაწილი ეფუძნება უკანონო ჭრებს და წარმოებას. ჯანმრთელი და კანონიერი სისტემის შემთხვევაში მრეწველობა შეძლებს მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს ფინანსური მაჩვენებლები და ფინანსური წვლილი სექტორში. ჩვენ ვერ შევძელით ამ პოტენციური გაუმჯობესების მოცულობის გაანგარიშება.

წინა სექციაში ჩვენ გამოვავლინეთ რიგი მიმდინარე სტრუქტურული ხარვეზებისა საქართველოში, რომლებიც არ აძლევენ სექტორს საშუალებას ჩამოაყალიბოს მდგრადი და ფუნქციონერებადი სატყეო სექტორი. აღნიშნული ხარვეზები მნიშვნელოვანწილად განაპირობებენ სექტორის დაბალ ეკონომიკურ მაჩვენებლებს.

უკანონო პროცედურების გაუქმების, სოციალური ჭრების სისტემის და სატყეო მრეწველობის გარდაქმნის, კვლევის მიერ გამოვლენილი სტრუქტურული ხარვეზების აღმოფხვრის შემთხვევაში, სექტორის ეკონომიკური მაჩვენებლები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება.

თუ აღნიშნული პირობები განხორციელდება, ვფიქრობთ, რომ ხე-ტყის სარგებლობაზე დაფუძნებული, ეკონომიკაზე ორიენტირებული, მდგრად პრინციპებზე დაყრდნობით, სატყეო მეურნეობის დაარსება საქართველოში შესაძლებელია. უფრო მეტიც, ეს ახალი რეჟიმი ასევე მნიშვნელოვნად გაზრდის ეკონომიკურ წვლილს საქართველოს მოსახლეობაში.

რეკომენდაციები

როგორც წინამდებარე სექციის შესავალში აღვნიშნეთ სტრუქტურული შეზღუდვების შესახებ, GFA-ს გუნდის დასკვნით, უმნიშვნელო გაუმჯობესება თითქმის არ გააძლიერებს სექტორის მდგრადობას და ეკონომიკურ მაჩვენებლებს. ამის მისაღწევად საჭიროა ღრმა სტრუქტურული ცვლილებები.

გთავაზობთ კონკრეტულ რეკომენდაციებს, რომლებიც აუცილებელია რეალური პროგრესის მისაღწევად.

¹⁷შესაძლებელია გამოთხოვა დეტალებისა დაანგარიშებული „40 მილიონი ლარისა წლიურად“.

1. სამინისტროთაშორისი კომისიის ჩამოყალიბება, რომელიც იმუშავებს “საქართველოს სატყეო სექტორის მობილიზაციაზე”. კომისიის მიზანი უნდა იყოს ეკონომიკურად მომგებიანი კონცეპციისა და სტრატეგიის შექმნა საქართველოს სატყეო სექტორის მდგრადი განვითარებისათვის. აღნიშნული კონცეპციისა და სტრატეგიის მიხედვით მთელი სატყეო სექტორი (სატყეო მეურნეობა, მრეწველობა და ბაზრები) უნდა განიხილებოდეს როგორც ერთი ინტეგრირებული სისტემა.

კომისიამ უნდა აღმოფხვრას სექციაში 7 აღნიშნული ყველა სტრუქტურული შეზღუდვა და ხარვეზი.

კომისიამ უნდა ჩართოს დიალოგში და უნდა ითანამშრომლოს სექტორის ყველა დაინტერესებულ პირთან, რათა აღმოფხვრას ინტერესთა ჯგუფების მიერ სექტორში გამოვლენილი პრობლემები.

შემუშავებული კონცეპცია და სტრატეგია უნდა იქნას მოწონებული მთავრობის მიერ და გადაეცეს პარლამენტს დასამტკიცებლად და პოლიტიკური მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად.

2. კომისიის ჩამოყალიბება და მუშაობა დროს მოითხოვს. თუმცა, ძალისხმევის გააქტიურება ტყის ინვენტარიზაციის დასრულებისათვის და მონაცემთა ხარისხის გასაუმჯობესებლად დანარჩენი სექტორისათვის უკიდურესად აუცილებელია. ეს ინფორმაცია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კომისიის მუშაობისათვის. ახალი მონაცემების ხარისხი უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რათა გარანტირებული იყოს სიზუსტის მაღალი დონე.
3. უკანონო პროცედურებს სექტორში მასშტაბური სახე აქვს. ამ საკითხის გადაწყვეტას სექტორის მომავლისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. უკანონო პროცედურების პრევენციაზე, გავლენაზე და რეაგირებაზე მიმართული ღონისძიებები მნიშვნელოვნად უნდა გაძლიერდეს და დაჩქარდეს. აღნიშნული ღონისძიებები დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს და ვეღარ დაუცდის შემოთავაზებული კომისიის მუშაობის პირველ შედეგებს.

9. წყარო

კვლევაში გამოყენებული ლიტერატურა და სხვა საინფორმაციო წყაროები

ა) პუბლიკაციები

	Lang	Med
Aksu B., Koc H.K., and Kurtoglu A. (2011). <i>The forest products industry in Turkey</i> . African Journal of Business Management Vol. 5 (6) pp 2363-2369.	E	Pap
Akyuz K.C., Gedik T., Balaban Y., Vildirim I., and Temiz A. (2013) <i>Bullying at Forest Products Industry in Turkey</i> . International Journal of Economic and Administrative Studies. Vol 6 Number 11.	E	Pap
Arian A., Vlosky R.P., and Zamani M.K. (2007). <i>The wood products industry in Iran</i> . Forest Products Journal, Volume 57, Issue 3	E	Pap
Arin, T. and J. Siry. 2000. <i>Total Economic Valuation of Georgian Forests under the Current Resource Management Regime</i> . Forest Sector Development Centre. Tbilisi.	E	Dig
Asian Development Bank. 2014a. <i>Country Partnership Strategy. Georgia. 2014-2018</i> .	E	Dig
Asian Development Bank. 2014b. <i>Country Partnership Strategy. Georgia. 2014-2018. Poverty Analysis (Summary)</i> .	E	Dig
Caucasus Biodiversity Council. 2012. <i>Ecoregion Conservation Plan for the Caucasus. 2012 revised and updated edition</i> . WWF Caucasus. Tbilisi	E	Dig
Caucasus Environmental NGO Network (CENN). 2016. <i>Assessment of Firewood Consumption and Firewood Production Potential in Georgia</i> . Report prepared in the framework of the FLEG II (ENPI East) Programme.	E, ქ	Dig
Department of Environmental Supervision of the Ministry of Environment and Natural Resources Protection. 2016. <i>Information on instances of illegal logging and illegal transportation revealed by the Inspection of Environmental Protection, LEPL Agency of Natural Resources and the Department of Environmental Supervision</i> . MoENRP. Tbilisi.	E, ქ	Dig
Ecorys and Case (2012). <i>Trade Sustainability Impact Assessment in support of negotiations of a DCFTA between the EU and Georgia and the Republic of Moldova</i> . Commission of the European Communities. Brussels.		
GAIN (2010). <i>Forest Products Report for Turkey</i> . Global Agriculture Information Network, May 2010. USDA Foreign Agricultural Services, Washington DC	E	Dig
Government of Georgia. 2014a. <i>Georgia National Report on Achieving the Millennium Development Goals</i> .	E	Dig
Government of Georgia. 2014b. <i>Socio-economic Development Strategy of Georgia "Georgia 2020"</i> .	E	Dig
Helbig F. 2016. <i>Energy demand assessment in the municipalities of Dedoplistskaro and Akhmeta</i> . Frank Helbig Renewable Energy Consulting. GIZ.	E	Dig
Knauf.M. 2015. <i>An Analysis of Wood Market Balance Modelling in Germany</i> . Forest Policy and Economics. Volume 50, January 2015.	E	Pap

Machavariani M. 2010. <i>Forestry Standards and Practices in Georgia</i> . Report commissioned in cooperation the projects: (i) "Improving Forest Law Enforcement and Governance in the European Neighbourhood Policy East Countries and Russia" (ENPI-FLEG Programme); (ii) "Forestry in Georgia: Sustainable Production, Sustainable Consumption" - project is funded by the United States Agency for International Development (USAID).	E	Dig
Madras School of Economics. 2009. <i>Wood Balance Study - Tamil Nadu</i> . Madras School of Economics, Chennai, India	E	Pap
Metreveli, K. 2002. <i>Forest and Forest Products Country Profile: Georgia</i> . Geneva Timber and Forest Discussion Papers. FAO, Rome.	E	Dig
Nigel A. 2014. <i>Case study. Vertical and horizontal analysis of the wood furniture industry</i> . Working Paper, USA	E	Pap
OECD. 2013. <i>Anti-corruption Network for Eastern Europe and Central Asia. Istanbul Anti-Corruption Action Plan. Third round of monitoring</i> . Georgia monitoring report.	E	Dig
Pearce D., Atkinson G., and Mourata S. (2006). <i>Cost-benefit Analysis and the Environment. Recent Developments</i> . OECD. Paris	E	Pap
RERAM. 2016a. <i>Resource Efficiency and Sustainable Manufacturing in the Forest-based Sector of Eastern Europe (ENP-EaP countries). Final Conference Proceedings</i> . RERAM EU FP7 Project no 609573.	E	Dig
RERAM. 2016b. <i>State and challenges of forestry and woodworking industries in Ukraine, Moldova, Georgia and Poland and recommendations for sustainable development, May 2016</i> . RERAM EU FP7 project no. 609573	E	Dig
RISI (2013) <i>Turkey and the Woodchip Import Market: Not just for pulp anymore</i> . RISI Wood Biomass Markets. www.risiinfo.com (paywall).		
RWA (2003). <i>Forest Sector Rationalization and Institutional Development Plan. Final Report and Strategic Action plan for Restructuring</i> . RWA International Ltd, UK	E	Dig
Savcor. 2005. <i>Ensuring sustainability of forests and livelihoods through improved governance and control of illegal logging for economies in transition. Country Report – Georgia</i> . The World Bank. Washington.	E	Dig
Skogen (2016) <i>Ukrainian contaminated wood</i> . (In Swedish) Skogen # 9, 2016	S	Pap
State Audit Service of Georgia (2016). <i>Management of Commercial Wood Resources</i> .	ქ	Dig
Torchinava, P. 2015. <i>State of the World's Forests (SOFO) 2016: "Forests and Agriculture – Land Use Challenges and Opportunities"</i> . Country case-study: GEORGIA. Final Report. FAO, Rome.	E	Dig
US Department of State. 2015. <i>Georgia Investment Climate Statement 2015</i> . Washington DC. June 2015.	E	Dig
VEDP (2014). <i>Export Opportunities in the Turkish Wood Market</i> . Virginia Economic Development Partnership, USA	E	Dig
World Bank. 2014. <i>Country Partnership Strategy for Georgia FY2014 – FY2017</i> . Report Number 85251-GE. World Bank. Washington.	E	Dig
World Bank. 2016. <i>Doing Business 2016: Measuring Regulatory Quality and Efficiency</i> . Washington, DC: World Bank Group. DOI: 10.1596/978-1-4648-0667-4. License: Creative Commons Attribution CC BY 3.0 IGO	E	Dig
World Experience for Georgia. 2014. <i>Assessment of wood and agricultural residue biomass energy potential in Georgia</i> . Prepared for UNDP under micro-capital grant agreement for non-credit related activities of 26.06.14	E	Dig

ბ) ვებ გვერდები და ელექტრონული მონაცემთა ბაზა

FAO ხე-ტყის დამზადება და სავაჭრო სტატისტიკა:
<http://www.fao.org/forestry/statistics/84922/en/>

საქსტატის ონლაინ მონაცემების პორტალი <http://geostat.ge/index.php?action=0&lang=eng>

გლობალური ხე-ტყის ორგანიზაცია (2014) საერთაშორისო ფასები მორზე და დახერხილ ხე-ტყეზე, ივნისი 30, 2014.

http://www.globalwood.org/markets/timber_prices_2014/aaw20140602.htm

GWMI (2016) ინფორმაცია ხე-ტყის ბაზარზე. გლობალური ხე-ტყის ორგანიზაციის ინფორმაცია. <http://www.globalwoodmarketsinfo.com>

თურქსტატის მონაცემები სატყეო მრეწველობის და ვაჭრობის შესახებ. <http://www.turkstat.gov.tr>

UNECE ტყის რესურსები, პროდუქტები, ვაჭრობა: მონაცემთა ბაზა
; <http://www.unece.org/forests/fpm/onlinedata.html>

ტყის რესურსების საერთაშორისო გლობალური ფასების ინდექსი დახერხილ მორზე
<http://woodprices.com> (წვდომა ფასიანია)

მსოფლიო ბანკის პორტალი ქვეყნებზე: <http://data.worldbank.org/country/georgia>

10. დანართი

დანართი 1.

კვლევის ტექნიკური დავალება

(კონტრაქტის განხორციელების დროს შეტანილი
ცვლილებებით)

Terms of Reference: Wood Market Study for Georgia

GIZ Ref. 81192592

1. Objectives and tasks

The overall objective of the market study is to clarify whether an economically oriented forest management based on wood utilisation can be established in Georgia¹⁸.

The study should provide an overview of the available timber resources in Georgia, as well as describe and explain the existing supply chains of all accrued forest wood assortments, their further uses or processing until their final consumption. The firewood supply to the local population is of high importance.

The focus and prime target of the market analysis is on the domestic market (private direct consumption and industry consumption) and the local wood industries in Georgia. However, export opportunities in neighbouring countries markets should also be examined. The local timber industries should be described. This should enable the forest industry companies in Georgia to present themselves and their products to domestic and international markets. At the same time, potential (foreign) forestry companies and investors should be able to obtain a preliminary overview of the market situation in Georgia.

The legal and regulatory framework and obstacles of forest utilization, the production and marketing of wood products, the import and export of wood products, and the investment environment shall also be examined within the market study.

2. Approaches

Since the information base is frequently incomplete the market study should be developed in the form of scenarios. As a baseline scenario for the supply and utilisation of wood in Georgia, the current situation is to be described. Part of the input data for the baseline scenario can build on existing information (e.g., on the wood supply side: forest area, forest area in protective categories, tree species and age class distribution and growth), others will have to be formulated based on plausible assumptions (e.g., wood harvesting intensity, proportion of harvested assortments). It should be possible to parameterise other scenarios both on the supply and consumption side. On the supply side this could, for example, include an extension of protected forest areas, the increasing opening-up of productive forests through forest roads or a shift in the proportions of available assortments. On the consumption side it might, for example, be possible to illustrate the effect of increasing use of gas terminals in households on the need for firewood.

The proposal will contain statements relating to the intended methodology. The developed scenarios need to be approved of by the customer. Since there is a lack of data for several aspects, conducting familiarising primary studies should be taken into account.

The wood market study is meant to develop a clear, precise terminological concept for forestry and timber utilization and should be used stringently. The potential wood utilisation should be differentiated according to the potentials which are given by the natural environment, those which

¹⁸ The market study should present results that enable a comparison to alternative forest management systems in Georgia, for example, those established within the framework of internationally financed programmes which focus on biodiversity or carbon sequestration. The comparison itself is not part of the market study.

are restricted due to the existing legal framework (e.g., no use of timber on slopes with an angle greater than 25°), and the potentials of actual wood utilisation in forest areas which can be accessed by machinery. For this purpose, it is advisable to develop a “subtractive approach” (total forest area minus forest area in protective categories, minus forest area on steep slopes,

etc.). Experts have estimated the actual harvestable forest area in Georgia to be approximately 600,000 ha. Furthermore, the range of round wood assortments should also be clearly defined. For example, in the current forest practice it is quite common that tree stems which would be suitable for processing in sawmills due to their dimensions and quality are being used as firewood. The conceptual approach must be agreed upon with FPS in the inception phase.

3. Sources

The tendered market study may draw on many individual sources. However, it should be assumed that the information only partially reflects the reality, is often out of date, that the transferability of the results and experiences of individual regions or individual projects to the overall situation in Georgia is questionable, and that information is often only available in Georgian.

Sources for forest condition (list is not exhaustive):

- Forest management plans and forest management maps (these are mostly outdated, sometimes even from the 1990s; they provide basic data on forest cover, tree species proportions and stock; basic aggregated data is supposed to be available for the nine regions of the country; this, however, could not be verified)
- Current forest inventory in one pilot region (Borjomi¹⁹), implemented by Geoland, Tbilisi
- Forest inventory and forest mapping Kharagauli (2011), implemented by Unique forestry and land use GmbH, Freiburg

Sources for timber sector factors (list is not exhaustive):

- Excel file of the National Bureau of Statistics with a list of wood industry companies in Georgia, including names, addresses, phone numbers ...
- Main parameters of the Georgian national forest sector for the period from 2008-2013 (see copy obtained from Mr. Mamuka Khoshtaria, Executive Director of the Georgian Woodworkers and Furniture Manufacturers Association, edited by Prof. Kandelaki from Agrarian University. Parameters include: turnover, number of enterprises, number of employees; separated into “forestry and wood production”, “wood processing industry” and “furniture manufacturing”)
- Import and export data from the Customs Office
- The Economic and Social Impacts of Unsustainable Forest Management Practices and Illegal Logging on Rural Population of Georgia (see www.enpi-fleg.ge/pdf/Final_Report_Executive%20Summary_eng.pdf)
- Supporting the Development of the State Program on Providing Rural Population with Timber Forest Resources, including Firewood in Georgia (CENN-Project)
- Issued firewood certificates (available at the level of the nine regions)
- FAOStat on the production and foreign trade of forestry and timber products (see <http://faostat3.fao.org/home/E>)

¹⁹ Final results of this inventory in Borjomi will be available shortly.

Regulatory framework (list is not exhaustive):

- National Forest Concept for Georgia (2014)
- Forest Code of Georgia (draft, should be adopted by Parliament mid-August)
- Draft proposal “National Principles and Main Criteria for Sustainable Forest Management in Georgia” (March 2015)
- Regulation of Forest Use (No. 242)

The knowledge of experts should be included in all subsections. There are people and institutions within the country that can provide expertise on certain aspects of the study. These are (for example):

- Employees of the specialist departments of the MENRP
- CENN
- Prof. Kandelaki
- Georgian Woodworkers and Furniture Manufacturers Association

4. Gaps and Obstacles

Within Georgia, the natural environment, forestry, economic and social circumstances are very heterogeneous. In the recent past there have been repeated changes of basic forest policies and strategies. The responsibilities and organizational structures of the state authorities, including the main actors have also changed several times. The legal framework contains, to some extent, contradictory statements and numerous exceptions. The actual utilisation of wood is not always conducted within the legal framework.

During the preparation of the market study it should therefore be assumed that

- The available data often represent only a partial reality,
- A significant part of the actual forestry and timber activities are not quantified in Georgia,
- Experiences and results from individual projects or regions cannot necessarily be applied to other regions.

The biggest disadvantage in implementing the market study is the current lack of a nationwide forest inventory, which would otherwise provide information on the forest area, tree species composition, potential uses, etc. Applicants for the wood market study must therefore provide a detailed concept for the derivation of potential forest uses. In the absence of a national forest inventory for Georgia, the market study will have a provisional status and should be updated accordingly once a national forest inventory has been conducted.

The supply of and demand for wood and wood products in Georgia occurs at the same time / coexist next to each other, albeit on different markets in Georgia. On one of the markets the prices are determined by political or social requirements (especially firewood), on the other the price is determined based on the economic model of supply and demand. Overall, this leads to a sub-optimal allocation of the resource wood, for example, the combustion of high-quality wood assortments in private households.

5. Outcomes

The tendered market study only considers wood and wood products markets. Non-timber forest products (NTFPs) are excluded from the study. Also excluded is the production and use of

charcoal²⁰. The preparatory study was able to identify the following products and areas of application for wood in Georgia: firewood, saw logs, poles and posts, railway sleepers, lumber, roof trusses, pallets, furniture, parquet, doors and windows, stairs, fencing.

The following outputs are expected:

- Formulation of the present-day wood chain and quantification of its parameters

“Realised / actual use of wood and wood products in Georgia in 2014”

- by groups of tree species (hardwood / softwood)
- by assortments (firewood / saw logs / other)
- by utilisation (private households / sawmills / production of furniture / other industrial uses)
- by origin (domestic production / import / export)
- Estimation of the available wood (legal/illegal) quantities on the market for industrial uses

Estimation of potential sustainable wood removals

- Identification of factors in the wood chain and its legal, institutional and business environment that are limiting the economic gain from wood removals
 - Identification and recommendation of “no regrets measures” to address the most critical factors and to increase economic gain
- Description of the forest industry sectors according to the number and size of companies, effect of employment, contribution to the GDP and type of products produced
- Estimation of current actual domestic production of logs, sawn wood and furniture.
- Description of typical wood flow chain for firewood and saw logs, including their quantities and stakeholders (including felling, transport and trade) until their respective end use
- Description of the general social, political and economic situation in Georgia to clarify the environment for possible investments in the forestry and timber industry of Georgia
- Description of the legal framework for investments by (foreign) companies in Georgia
- Estimation of the imports and exports of logs, sawn wood and fuel wood.
- Description on possibility to import timber for the purpose of reducing the fuel-wood consumption from Georgian sources; Estimation of its positive and negative sides.

While compiling the market study, it is important to create links to other organisations and individuals who are dealing with similar issues (e.g., CENN for firewood utilisation).

6. Time frame and work organisation

The study is to be completed within the time frame stipulated in Article 6 of the Service Contract. Seasonally favourable time frames and the temporal integration into other projects need to be discussed with and approved by the customer. One of the international experts shall be the contact person for the customer with regard to all organisational and technical matters. This contact person will also coordinate the work of the project team and is responsible for the timely and complete submission of the various drafts of the market study.

²⁰ The production of charcoal is forbidden by law.

